

729
172

מוזיאון תל אביב
תל אביב

חאביבאטענע געגענהייט



1973

4

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

№ 4 (74)

თბილისი—აგვისტო

68221

შ ი ნ ა ა რ ს ი

თანამედროვეობა — მთავარი საზრუნავი 3

რემსპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

ვანო შილაკაძე — გაკვრით სოხუმის თეატრზე 9

ეთერ ქაჩაია — მხატვრული დონის სრულყოფისათვის 11

ვაჟა ძიგუა — „საბრალდებო დასკვნა“ რუსთავეის თეატრში 13

ია აბულაძე—ნუცუბიძე — „ტრიბუნალი“ თელავის სახელმწიფო თეატრში 16

თეატრალურ საზოგადოებაში 17

ვახტანგ კასრაძე — საბავშვო თეატრალური სანახაობანი ცხინვალში 18

შოთა რევიშვილი — გერმანული დრამატურგია ქართულ სცენაზე 21

რაფიელ შამელაშვილი — დიქტორის ხმის შესახებ 25

თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის გამსვლელი სხდომა ცხინვალში 28

სიმონ ნაციაშვილი — გამოფენა მიეძღვნა კუბას 29

სტუდენტთა ახალი საერთო საცხოვრებელი 30

დოდო ბოჭგუა — მოგონებები ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუქინზე 31

კუკური გოგიაშვილი — მხსიყენ, მარადის! (ლექსი) 32

გამოთხოვება

იოსებ მეგრელიძე — თეატრის მოამაგე მეცნიერი 33

ღვაწლმოსილთა გახსენება

თამაზ ანთაძე — კოსტა მასლურაძე-ხელოვანი 35

ჩვენი იუბილარები

შერაბ ხინიკაძე — იური ცანავა 37

ნიკო კველიშვილი — იოსებ ცხვირაშვილი 39

აკაკი გეწაძე — თეატრისკენ მიმავალი ჩემი ბილიკები 41

ვანო მჭედლიშვილი — ხაშურის სახალხო თეატრი 45

თეატრალური წიგნის თარო

იამზე გვათუა — „ქართული სათეატრო კრიტიკა“ 46

რედაქტორი—მრეგინა ქარელიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო

კოლეგია:

3. გომიკაშვილი, ნ. გურაბანიძე, ნ. გუნია, თ. ებაძე,
 3. იაკაშვილი, ვ. კიკნაძე, ლ. ლომთათიძე, გ. ლომთაიფანიძე,
 დ. მვალიძე, ბ. ჭლანტი, ნ. შვანგირაძე, დ. ჩხიძე,
 3. ციციშვილი, დ. ჯანელიძე.

თანამედროვეობა—მთავარი საზრუნავი!

მართული საბჭოთა თეატრის განვითარების მომდინარე ეტაპზე თანამედროვეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რადგან ჩვენი დღეების, თანამედროვე ცხოვრების წარმოჩინების გარეშე არ შეიძლება თეატრმა ვალმოხდილად ჩათვალოს თავისი თავი მყუდრებისა და ქვეყნის წინაშე. მაგრამ ჩვენი დღეების ცხოვრებას ჩვენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თეატრი თანამედროვეა. ამისათვის აუცილებელია თეატრალური აზროვნების თანამედროვე დონის დაძლევა, იმ ხერხებისა და ფორმების სრული დაუფლება, რომელიც საშუალებას მოგცემს მყუდრებელს ელაპარაკო დიდი ხელოვნების პოზიციებიდან.

სწორედ ამ საკითხებზე იყო ლაბარაკი თეატრალური საზოგადოების მიერ მოწყობილ დისპუტზე იენისის დამოღეს რომ გაიმართა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში საბჭოთა თეატრის ამსახველ ნაწარმოებთა განხილვა-გაგრძელებას მიეძღვნა.

დისპუტი არ შემოთარგვლულა მხოლოდ განსახილველ საკითხში, მისი დირსება ის იყო, რომ როგორც მომხსენებელმა, ისევე მოკამათებმა განიხილეს საერთოდ თანამედროვეობის საკითხი ამ თეატრში. განიხილეს საკითხი თუ რამდენად და როგორ არის თეატრი თანამედროვე. იყო აზრთა სხვაობა, იყო კამათი და ყველაფერი ეს იყო მეტად სასარგებლო საერთო საქმისათვის.

დისპუტი შესავალი სიტყვით ვახსნა თეატრალური საზოგადოების თეატრმცოდნეობისა და თეატრალური კრიტიკის სექციის თავმჯდომარემ, პროფესორმა ეთერ გუგუშვილმა, შესავალ სიტყვაში მან ილაპარაკა ამგვარი დისპუტების მნიშვნელობაზე და სიტყვა მოხსენებისათვის მისცა თეატრმცოდნე ალექსანდრე შალუტაშვილს.

თავისი მოხსენების შესავალი ნაწილში მომხსენებელი ლაბარაკობს საერთოდ თანამედროვეობის საკითხებზე, განიხილავს ამ საკითხს ჩვენი საუკუნის 70-იან წლების მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების შუქზე და აღნიშნავს, რომ თანამედროვეობა არ ნიშნავს მხოლოდ თანამედროვე თემისადმი მიძღვნილი პიესის დადგმას. ეს დრამატურგის დამსახურებაა, თეატრისათვის კი მთავარი უნდა იყოს ისიც, თუ რამდენად თანამედროვე პოზიციებიდან გამომდინარე განახლებული იგი პიესას.

შემდეგ მომხსენებელი ამბობს:

— გასული სუბონის რეპერტუარში განხორციელებული თანამედროვეობის ამსახველი სამი პიესა თანხმებითა იმ აქტუალური საჭიროებოტო საკითხებისა, რაც დღეს ჩვენი რესპუბლიკის ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

მარჯანიშვილის თეატრის სწორმა, უტყუარმა სარეპერტუარო პოლიტიკამ წარმატებით გადაწყვიტა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თანამედროვეობის პრობლემა თეატრის თვალსაზრისით.

მაგრამ როგორა დგას ამ თეატრში თეატრალური სახიერების, თეატრალური აზროვნების დონის საკითხი, პასუხობს თუ არა ის ასევე აქტუალურად თანამედროვეობის პრობლემებს. სარეისორო ხელოვნების, სამსახიობო განსახიერების, დეკორაციული გადაწყვეტის თვალსაზრისით. თუ ამ სამი სექტორული გვერდის მიხედვით თეატრის შემოქმედებით მხატვრულ ხასის (და ეს არც არის ვასაკვირი) არც თუ ისე სახარბიელო სურათი წარმოგვიდგება. რასაც სიტყვა მხატვრულ სახეზე ჩამოვარდა, დავიწყოთ აქედან. დაიწყოთ უმთავრესით, თანაც მე მესმის რომ ეს ძნელად გასაწყვიტი პრობლემა იმ რთული კატაკლზმების შემდეგ, რაც ამ თეატრმა ბოლო წლებში განიცადა; მაგრამ დადგა რომ, როდესაც ამგვარმა მოთარგმნებამ კანონიერი პრეტენზიის უფლება მოიპოვა. დღეს ჩვენ მოვალე ვართ მოვთხოვით თეატრს ბევრი რამ. ქებას და გუნდრტყის კმევამ (ზოგჯერ თამსახურებულმა, ზოგჯერ რაუმსახურებულმა) მოაოუნა თეატრისა და თეატრალური საზოგადოებრიობის გამახვილებული ინტერესი მარჯანიშვილის თეატრის ბედის, მისი მხატვრული ხასის, შემოქმედებითი სკოლის მიმართ. თეატრის აწინაღობი მდგომარეობა არ იქლება მანუგეშებელ სურათს თეატრის ხელაინილი დღის განსახაზვარად. გაურკვეველი და ბუნდოვანია თეატრის შემოქმედებითი, ნატურული პროგრამა, როგორც სარეისორო ხელოვნებაში, ისე სამსახიობო შესრულებაში.

თეატრალური ხელოვნების განვითარებას დღეიანდელ ეტაპზე აკადემიური თეატრის მუშაობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩათვალოს.

თეატრალური აზროვნების თანამედროვე დონე შორს ვასცდა იმას, რასაც ჩვენ მარჯანიშვი-

ლის თეატრის ზოგიერთ სპექტაკლში ვხვდებით.

თეატრმა ექვსი სეზონი დასის შევსებას თუ დაკომპლექტებას შეაღია. იგი ამ ხრივ ყველაზე მარტულ, ყველაზე იოლ გზას დაადგა. რამდენაე კარგი მსახიობი შენაზნა, იმდენი თავის თეატრში გადმოიხიბრა. საქმეს, რომელსაც ისინი ამ თეატრის სცენაზე ეწევიან, ვერ ანაზღაურებს ვერ ახდენს კომპენსაციას იმისას, რაც მათმა წარმოსვლამ მოუტანა პერიფერიულ თეატრებს და ამ მსახიობებსაც.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმ უტყუარ კემპარიტებაზე, რომ თეატრი იქმნება თანამოაზრეთა ერთიანობით და არა ნიჭიერი მსახიობების თავმოყრით. ის უზარ კი, რომელიც ვაერთიანებდა, აღაგზნებდა და ახლად დამადებდა ძველ, ჩვენთვის ნაცნობ მსახიობს, რეჟისორს და, ასე ვასინჯეთ, მხატვარსაც კი, არ იკვეთება მთელის რელიეფურობით თეატრის მუშაობაში.

„აპარკუნე ჰემიომელი“ თითქმის სამი ათეული წლის წინათ დაიწერა. ეს პიესა დღესაც ცოცხლობს და ვარკვეულ თეატრალურ და შემეცნებით ინტერესს აღძრავს. პიესის სიცოცხლისუნარიანობა ამ ნაწარმოების სასარგებლოდ ლაპარაკობს. მივიწყების ბურუსი არც შემდგომ გადაეფარა მას.

არც დღევანდელი მაყურებელი აღიქვამს ამ სახეს უცხოდა. ალბათ ეს ინტერესი ამოძრავებდა თეატრს, როცა იგი ხელს კიდებდა ი. ეაკელის ყველაზე პოპულარული პიესის დადგმას. ალბათ, გამბობთ, იმატომ რომ სხვა ინტერესი მაჩანნიშვილულთა სპექტაკლში ამ შეიქმნევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დადგმაში ორი რეჟისორი გამოიყვალა. სარისკოს და საღალაპუნლოს თეატრმა ნაღდი და გარანტირებული ამჯობინა. ცნობილი ვახდა, რომ ქუთაისში კარგი, რიგიანი სპექტაკლი შეიქმნა ამ მსახიობზე. იგივე თუ გამოირდებოდა, არ იქნებოდა ურცო. ასე ვართულებოდა მაჩანნიშვილის თეატრი. ამიტომაც მოიწვია ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მესხი და ზავე თეატრის მთავარი მხატვარი ფაჩუაშვილი. ასეც მოხდა, მით უფრო რომ ამ სადადგმო ჯგუფის მოწვევის მოსრვე თვად პიესის ავტორიც ვახლდათ.

რას გვეუბნება ეს ფაქტი თავისთავად? ჩენი აზრით არაფერს საგულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი რეპუტაციის თეატრს, როგორც მაჩანნიშვილის თეატრია, არ შეიძლება ამოძრავებულს მხოლოდ რიგიანი სპექტაკლში შექმნის სურვილი. ეს ცოტად, ასეთი თეატრისათვის. ეს ფაქტი უკვე უპრაინციპობას ნიშანია. აქ თეატრი იმ ელემენტარულ, მე ვიტყოდი, გულუბრყვილო გზას დაადგა, რაც გამოჩინა დასის დაკომპლექტების საქმეშიც: ნიჭი-

რი, ნაცადი მსახიობი, ნიჭიერი ნაცადი რეჟისორი! ყველა ვარაუდი თითქმის გამართლებული უნდა იყოს, ყველა თამასუქი განადღებული. მაგრამ არის კია ასე? ვიი რომ არა. აქ მვედევლობის გარეშეა დარჩენილი მთელი რიგი მომენტები. კერძოდ: რამდენად შეერწყმის ეს რეჟისორი ამა თუ იმ თეატრის მხატვრულ ქსოვილს და, პირაქით, კოლექტივი-რეჟისორს. რა სიახლე შეიძლება მოიტანოს ახალმა რეჟისორმა, რა არის სავარაუდებელი, როგორ წასწევს იგი საქმეს, რასაც თეატრი ადგას მხატვრული სინამდვილის ძიებათა სფეროში. ეს კითხვები არც წამოჭრილა, რადგან ხელშეახებულ შემოქმედებითი გზი და პროგრამა არ სჩანს. დარჩა მხოლოდ კარგი სპექტაკლის შექმნის სურვილი. მაგრამ როგორია შედეგები კარგი სპექტაკლის შესაქმნელად ხელსაყრელ სიტუაციაშიც კი, როდესაც კოლექტეში არ არსებობს გარკვეული შემოქმედებითი პროგრამა?

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „აპარკუნე“ არ არის თანამედროვე თეატრალური აზროვნების დონის შესაფერისი სცენური ნაწარმოები. თეატრალური ხელოვნების განვითარების დღევანდელი დონე კი გვევალდებულებს მოეთხოვოთ ეს აკადემიურ კოლექტივს მოურიდებლად და მარდაპირი.

სპექტაკლს საოცრად ვნებს პლასტიკური და მუსიკალური ვადაწყვეტის სიღარიბე, არა ანსამბლურობა. ვახტანგ ნინუა აქ მარტოსულივით ტრიალებს. მას ეცილოკაევა ჰემიომელის დემოკრიტე. ეს არის და ეს. ჩვენს მოლოდინს ჰეპელას როლში არაფრით არ ამართლებს ქართული სცენის ერთ-ერთი უნიჭიერესი ქალის ელენე ყიფშიძის განსახიერება. რახან სახასიათო როლებს შემსრულებლთა ნიჭიერებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ქოროაქმს დმერთთან სამდურავი რა ეთქმის; მაგრამ კიკიტას სახის ნაცვლად ქოროაქმე რომ თავისი მსახიობური აპარატებითაა ვართული და შტამპებიც მოექმალავა, როგორ ფიქრობს, რა ხეირს დაყარის მის პროფესიას ამ გზით სიარულზე? ან თუნდაც ხურცილავას არქიფო! დიდად სცილდება ეს როლი იმ სახასიათო სახეებს, რასაც მსახიობი სოხუმის თეატრის სცენაზე ქმნიდა.

შემდეგ ალ. შალუტაშვილი ლაპარაკობს ალ. ჩხაიძის პიესაზე — „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“. სამავალითოდ სახავს ალ. ჩხაიძისა და რეჟისორ ნ. გაჩავას შემოქმედებით მეგობრობას. იგი ამბობს:

— რეჟისორისა და დრამატურგის თანამშრომლობა მუდამ მიიმედებულ-მანუგეშებელია. ასეთი თანამეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა უკვე დამყარდა რეჟისორ ნუგზარ გაჩავასა და ალექსანდრე ჩხაიძეს შორის.

გვსურს დავარწმუნოთ ჩვენი თავი, რომ რე-



ვისორ გაჩავეს არჩევანი გამოწვეულია იმის ღრმა შეგნებით, რომ ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე ყველაზე საჭირო და სასარგებლოა მებრძოლი პუბლიცისტური თეატრის არსებობა.

რეჟისორის ამ რწმენამ არ შეიძლება პატივისცემა არ აღძრას ჩვენში. ის რომ მებრძოლ თეატრს უჭერს მხარს, მკლავდება მასალის შერჩევში, შუამდობარ, უტყუარ არჩევანში, მაგრამ, სამუხებროდ, ასეთივე სწორ და უტყუარ ხაზს ვერ ვნახულობთ ჩხაიძის პიესის რეჟისორულ გადაწყვეტაში, მსახიობურ შესრულებაში. სპექტაკლის პუბლიცისტურ ფორმაში მოქცევა საჭირო და აუცილებელიც იყო. რეჟისორს კი მთავარი ზრუნვის საგნად ხასიათების ფსიქოლოგიური ბუნება უქცევია და აღწევს კიდევ მიზანს, ამკლავნებს ამ საქმეში საშურ გემოვნებას, ზომიერებას, სისადავეს. მაგრამ ის ამბავი, რომ ნაწარმოების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი გამოწვეულია სხვა ამბით და რეჟისორს კიდევ სიმძიმის ეპიცენტრი სხვა მხარეზე აქვს გადატანილი, საჭირო და სასურველ შედეგს არ იძლევა. ეს შენიშვნა შესაძლოა ზოგიერთს უაღგლოდ, ანდა პარადოქსალურად მოეჩვენოს, მაგრამ მინდა მათ შევხსენო, რომ ჩხაიძის პიესა „ღღის წესრიგშია ერთი საკითხი“ პუბლიცისტური დრამის სფეროში ძვეს და მისი სხვა სფეროში გადასაცვლება არ არის მართებული. პიესის ჟანრის არასწორი გაგება შურს იძიებს თავად სპექტაკლზე. ჟანრული გაურკვეველობა ატყეია სპექტაკლს, და ამის გამოც, სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტაც გაურკვეველი დარჩა. აი რატომ მიგვაჩნია ჟანრის საკითხი თეატრის მუშაობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპულ საკითხად.

შემდეგ ალ. შალუტაშვილი ყურადღებას ამახვილებს მსახიობთა თამაშზე და ამბობს:

მინდა ვილაპარაკო მსახიობ ოსაძეზე და იმ პროფესიონალურ კეთილსინდისიერებაზე რაც მას, როგორც შემოქმედს, ახასიათებს, ვერაფერია ვნა ვნა ოსაძე მარჯანიშვილის თეატრის სცენარება და არც ერთი მთავარი როლი არ უთამაშვინია. მას უფრო ეპიზოდური რგებია წილად, ვიდრე მთავარი როლები. მაგრამ გინახავთ, როდისმე მისი თამაში სასხვათაშორისო ყოფილიყო, გაეფუტებინოს როლი, ეპიზოდი, ანდა სახე? პროფესიონალიზმი, ნამდვილად შემოქმედის კეთილსახიერება მას ამის უფლებას არ აძლევს. სამაგიეროდ, რამდენი ახალგაზრდა და საშუალო თაობის ისეთი მსახიობი ვიკავ, უგერვილოდ, სასახვათაშორისოდ რომ ეკიდება ეპიზოდური როლების თამაშს. რამდენი შესაძლებლობა დაკარგული თუნდაც „აპარკუნეში“.

გერასიმე გარყანიძის სცენური სახეც ქართული გლეხკაცობის იმ ეპიზოდური სახეების

გამოცილებების საფუძველზე აღმოცენებული რაც წლების მანძილზე შეუსრულებია ამ თეატრში კრონის, მაკეტის, მეფე ერეკლეს მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობს ტარეელ საყვარლდენს.

რამდენი სიითბო, მეგობრული სიფაქიზე, გულითადობა ოსაძესა და საყვარელიძეს შორის გამართულ დიალოგში. ეს ერთი ეპიზოდი გერასიმესა და სოფლის უბრალო ფოსტალიონს შორის მათი ურთიერთდაპოვიებულების მიუღიბიოგრაფიას გადაგვიშლის.

მეორე პლანიც წარმართავს თენგიზ არჩაძე თავის როლს. ის უფრო განიცდის, ვიდრე გამოხატავს, უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე წარმოთქვამს. ნაგულისხმები აზრი და ფიქარი განსაუთრებულ ყურადღების ობიექტად აქცევს ამ სახეს. ეს ძლიერი პიროვნებაა, ძლიერი პიროვნება, რაღაც მნიშვნელოვანი აზრით შეფიქრანებული, რწმენა გაზარებული, მაგრამ მართი პიროვნება, რომლის დამარცხება, ანდა ონტოციდათი გრადუსით შემობრუნება თუ უკან დახევა მძიმე არტილერიის გარეშე არ მოხერხდება.

რახან შეუდექით, მივყვით ბოლომდე. მ. ბუბურიშვილის გუტამ ხელაძე. პიროვნული, ადა. მიანური მომხმეგლეობა მსახიობისა განსაკუთრებული სიმპათიით განვწყაყბს მისი სცენური ორეულის მიმართ. სცენური ორეული აქტუელად როდი ვასსენეთ. იგი არ ცდილობს, შესაძლოა არც თვლის საჭიროდ, აზრებს, სიმართლეს, რისთვისაც იბრძვის და რაც ასე თავისად ეჩვენება მსახიობს, როგორც მოქალაქეს, სხვას გადაულოცოს, ხასიათის სამოსელში გაახვიოს. ანალოგიურ ხერხს მიმართავს მსახიობი ზურცილავაც შალვას როლში. თუმცა როლის დინამიკის, რაღაც ხასიათის შექმნის ნიშნები მის შესრულებაში აქა-იქ მაინც გაივლებს ხოლმე.

ზ. ლაფერაძემ მაყურებელი, როგორც იტყვიან, ხელში აიყვანა. რეჟიციის გარეშე არაფერია დარჩენილი. მაგრამ სილოვანის როლი ამ ხერხებითა და საშუალებებით, რასაც მსახიობი მიმართავს და რეჟისორიც ნებას აძლევს, ხომ არ არის სპექტაკლის სტილიდან ამოვარდნილი?

კარგა ხნის უმოქმედობამ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ა. ქუთათელაძის პროფესიონალიზმი. ჩვენ თითქმის შეგებებული ვიყავით იმ აზრს, რომ დირექტორობამ უკვე ინაცვალა რეჟისორი. ნუგეშად ის გვქონდა, რომ ამას ვერავის დააბრალებდა, საკუთარი თავის გარდა. და აი მოხდა საოცარი მეტამორფოზა.

ა. ქუთათელაძემ ყველა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა, სურვილი, მონდომება და ჟინი ისეთი დიდი იყო მასში, რომ მან საკუთარ თავს, საკუთარ შესაძლებლობას აჯობა, აღემატა. მაგრამ



ყველას რომ საყუთარი წვლილი მიეზღოს, სამართლიანობა მოითხოვს ორიოდ სიტყვით მინც შეეჩერდეთ ამ სპექტაკლის პირველყოფარზე — პეისაზე და მის ავტორზე. გ. ხუხაშვილი პირველი ავტორია, ვინც სერიოზულ ფორმისეულ სიახლეებს სერავავს ჩვენს დრამატურგიაში. იგი მუდამ ცდილობს იყოს თანამედროვე თეატრისა და დრამის სიახლეების საქმის კურსში, აქვს თანამედროვე სტილის შეგრძნებას გამახვილებული აღღო და უნარაზნად იყენებს კიდევ მას. მწერალი ისე და იმ სახით ალაგვას თავის დრამებს, რომ თავად შეიცავენ თეატრალურ ინტერესს, წმინდა ფორმისეულ სფეროშიც. მაყურებელი, რომელიც დღემდე არ ზიარებია თანამედროვე თეატრალურ სიახლეებს, მის ნაწარმოებებში აღმოაჩენილი ახალი სამყაროს ხილვით, ახალი სინამდვილის გაცნობა — თანაზიარობით იხიბლება. ეს ის დრამატურგიაა, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო სპექტაკლის შინაარსს, არამედ მნიშვნელოვან წილად მის ფორმასაც.

ამ პეისის შემოსვლას მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თან შეწყყავა თეატრალური სიახერების სიახლე. მსახიობთა სცენური ვანცდის და გარდასახვის თავისებურება. ამან არ შეაძლება თავისი კეთილმყოფელი გავლენა არ იქონიოს მსახიობთა სასცენო პრაქტიკაზე. და რაც მთავარია, არა გაფართოვოს მაყურებელთა ესთეტიკური აღზრდის, თეატრალური აღქმის არე და პორიზონტები.

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა აქ ყველადერი, მსახიობთა განსახიერებით დაწეებული და დამთავრებული განათებით, ესთეტიკურ ხარისხშია აყვანილი. მთლიანობაში ეს იმდენად მოსაწონი და მისაღები სცენური ნაწარმოებებია, რომ ვკსურს შეგნებულად თავი ავარიდოთ ამა თუ იმ უზუსტო თუ უგემოვნო ეპიზოდების კრიტიკას. აქ თეთიული მსახიობი რამდენიმე სახის ავტორია; ყოველ შემთხვევაში, ორის მინც: ერთი ის, რასაც ისინი წარმოადგენენ, განსახიერებენ, ან განიცდიან. და მეორე აავად მსახიობი, თავად კოტე მახარაქე. მზია მახვილაძე, მედია ბებილიშვილი, დოდო ჭიჭინაძე და ასე შემდეგ.

ამ სპექტაკლის ავტორები, მონაწილეებო ქმნიან მწვენიერ ილუსიურ თეატრალურ სამყაროს, ამ სამყაროში მათ შეეყვართ უციდურეს; თეატრალური პირობითობის საშუალებების მომარჯვებით. ისინი ქმნიან ამ სპექტაკლისათვის ორგანულ სცენურ რეალიზმს, თეატრალურ სინამდვილეს და ამას აკეთებენ ისეთი ძალით, რომ გვაიძულებენ ვიწამოთ, განვიცადოთ და დავიჭეროთ ისე როგორც მათ სწამთ. განიცდიან და ჯერათ.

საწყენად ნურავის დარიება თუ აქ საჭიროდ

არ ვთვლით დაწვრილებით ვილაბარაკობას დიდ მუშაობაზე, რომელიც კოტე მახარაქე გასწია სპექტაკლის ცენტრალური სახის განსახიერებისას; ამ მუშაობის დიდებულ შედეგებზე, მსახიობის უდიდო გამარჯვების მიზეზებზე, მარჯანიშვილის თეატრში მისი ახლად დაბადების ისტორიაზე; ანდა იაკობ ტრიპოლისისა და გ. ციციშვილის მიერ შექმნილ გრანდიოზულ მკვირვ მამის ხასიათზე, მზია მახვილაძისა და დოდო ჭიჭინაძის ქალური სათნოებით ქვეულ ნატოს სახეზე, ბიბილიშვილის ბევრი ეპითეტის ღირს მწვენიერ გვანცაზე, მონიავს და ეგუტის აქტიორულ წარმატებებზე (სხეულები: იოსების, დათოს, კაპანის როლის შემსრულებელ მსახიობებზე; ან ზანდა იოსელიანის სერიოზულ შემოქმედებით განაცხადზე დედის ეპიზოდურ როლში, იმ აქტიურ შთავგონებაზე, რომელსაც უნებურად თუ შეგნებულად ეზიარა სცენის დიდოსტატების ვერცხვ ანჯაფარაძის ან თამარ ჭავჭავაძის ბედლამწეარი დედების ხილვით, როდესაც ისინი კასონას გმირავით ზუნებურად კედებოდნენ სცენაზე.

მისხენების შემდეგ ვამიართა საინტერესოა აზრთა გაცეცლა-გამოცეცლა.

თეატრალურმა კრიტიკოსმა გივი ბარამიძემ თავის სიტყვაში ყურადღება გამახვილა აღნიშნული სამი სპექტაკლის მხატვრული გაფორმების საკითხებზე.

კონკრეტულად გ. ბარამიძეს მოსწონს და დედებითად აფასებს „პარაკუნე ჭიჭიშვილის“ მხატვრულ გაფორმებას (მხატვარი ჯ. ფაქუშვილი), იგი მას ოცხელის მეთოდების გავრცელებად მიიჩნევს; ამასთან, ნეგატიურ შეფასებას აძლევს გ. ალექსი-მესხიშვილისეულ ნამუშევარს სპექტაკლში „ღღის წესრიგშია ერთი საკითხი“. იგი აღნიშნავს, რომ მხატვარი მოქმედებდა მრუდე სახაზავით.

დრამატურგ ალექსანდრე ჩხაიძის სიტყვა გამსკვალული იყო გულისტკივილით იმის გამო, რომ მწერალთა კავშირს არ ძალუძს გადამწყვეტი როლი შესარულოს პეისის დადგმის საქმეში. ამასთანავე იგი აღნიშნავს. რომ ზოგიერთ რეკენზენტო ჩქმალავს დრამატურგის როლს და ამით ცდილობს წინ ჩამოაწიოს რევიზორის დამსახურება, რაც არავითარ გამართლებას არ პოულობს. შემდეგ ალ. ჩხაიძე აღნიშნავს, რომ მისი პეისის „მოკროფინი“ („ღღის წესრიგშია ერთი საკითხი“) ამ თეატრში დადგმა სასიამოვნოდ მიანიჩა, მაგრამ აუცილებლობად თვლის რომ პეისები იბუქდებოდეს ყურნალებში.

თეატრმცოდნე ნათელა არველაძე ლაპარაკობს სპექტაკლზე „ღღის წესრიგშია ერთი საკითხი“ და ამბობს, რომ მას განსაკუთრებით მოეწონა რაიკომის მდივნის მისვლის სცენა გარაყანაძის სახლში, მაგრამ შემდეგ ამ სცენას სათანადო

გავრცელება არ მიეცაო, — გულსტიკვილით აღნიშნავს იგი. ამასთანავე ნ. არველაძე ეხება ტყისმცველის (ტ. საყვარელიძე) სახეს და აღნიშნავს, რომ ეს როლი სათანადოდ არ არის ამოხსნილი. არც დრამატურგისა და არც რეჟისორის მიერ.

შემდეგ ნ. არველაძე ლაპარაკობს პიესა „მოსამართლის“ შესახებ, კრიტიკულად განიხილავს მის ზოგიერთ თვისებას და ამბობს:

— საქმე მთელი ცხოვრების ასახვა კი არ არის, არამედ ცხოვრების ღრმად ასახვა. შეიძლება ერთი დღის ცხოვრება ასახო და იყო ღრმა! ამ მხრივ საინტერესოა „უხედური ცაცის ბედნიერი დღეები“, რომელშიც ასახულია სამი ბედნიერი გმირის ცხოვრებიდან, მაგრამ ამ გმირის ცხოვრებიდან ინფორმაცია მივიღებ ცოტა უფრო მეტი, ვიდრე მოსამართლის მთელი ცხოვრებიდან.

ყურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი. **ოთარ ევაძე** ლაპარაკობს გ. ხუხუაშვილის „მოსამართლეს“, მხარს უჭერს სპექტაკლს ქებით იხსენიებს მის დამდგმელ ანზორ ქუთათელაძეს და ამბობს:

— მიმაჩნია, რომ „მოსამართლეს“ აქტიორების ისეთი ოსტატობაა გამოვლენილი, რომ კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი.

იბადება კითხვა, არის თუ არა ეს პიესა თანამედროვე, მიიღო თუ არა იგი მასყურებელმა? — მიიღო! ჩვენ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს. თეატრი მარტო იმიტომ კი არ არის, რომ ჩვენ მოვიწინით ან არ მოვიწინით. თეატრი იმიტომაც არის, რომ მასყურებელი აღზარდოს. შემდეგ ორატორი ლაპარაკობს ნ. გაჩავას მიერ დადგმულ ალ. ჩხაიძის პიესაზე, განიხილავს მის ნიუანსებს და მხარს უჭერს სპექტაკლის დეკორაციული გაფორმების გ. ბარამიძისეულ შეფასებას. იგი ასევე განიხილავს „აბრაყუნე ჭიჭიმის“ და ამბობს:

— რაც შეეხება აქტიორულ შესრულებას, ჩემი აზრი უნდა მოგახსენოთ ვახტანგ ნინუაზე. აღფრთოვანებული ვარ მის მიერ შესრულებული აბრაყუნე ჭიჭიმელით. ამ მსახიობის თამაშში, საბედნიეროდ, ვერ ვნახე დადგენილი შტამები, ჩანს მსახიობის შინაგანი წვა.

ბოლოს კი დასძენს:

— მე მიველოცავ მარჯანიშვილის თეატრს, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში მოგვცა სამი თანამედროვე სპექტაკლი. მეტყველებად, მაგრამ ყველა დადებითად შესაფასებელი. თუ ამ გზით ვანაგვრებობთ სვლას იმედი გვაქვს, რომ მომავალი სეზონი იქნება უყეთესი.

დრამატურგი **გიორგი ხუხუაშვილი** ლაპარაკობს თანამედროვე თეატრის საკითხებზე, შემდეგ იგი ჩერდება ნათელა არველაძის გამოსვლაზე

და მიუღებლად თელის გამოსვლის ხასიათს. მიიჩნევს, რომ ასეთი გამოსვლა საქმეს რეგებს.

— მაინც რა არის ის სამი თვისება, რომელზედაც ნ. არველაძე ლაპარაკობს. რას ნიშნავს თანამოაზრეთა ერთიანობა? ჩვენ ყველანი თანამოაზრენი ვართ, ყველას რაღაც ერთიანი სული გავგანია, ერთი ბედის აღამიანები ვართ. რად ვინდათ ეს დამახასიათებელ ნიშნად აქციოთ, იმიტომ, რომ ერთი თეატრი გვიჩვენეთ განსხვავებულად? ჩვენ არ გვინდა ეს, ჩვენ გზები უნდა ვეძებოთ პატიოსნებით, ვეძებოთ სად არის შეცდომები და წარმატებები, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ არ ავცდეთ გზას და ვილაპარაკოთ იმაზე — არის თუ არა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში კონსერვატიზმი. არის თუ არა ლიტერატურული და რეჟისორული შტამები და თუ არის, რატომ?

საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტები, ტ. შვეჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიის ლურჯი **დოდო ალექსიძე** დამსწრეთ უზიარებს ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულ თეატრის საერთაშორისო კონგრესზე მიღებულ თავის შთაბეჭდილებებს. იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ რაოდენ უჭირთ ზურჯუაზიული ქვეყნების თეატრის მოღვაწეებს, მას სამავალითოდ მოჰყავს გამოჩენილი ფრანგი რეჟისორი ჟან ლუი ბარო, რომელიც კონგრესზე დიდხანს ვერ დარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ ამ გამოჩენილი მოღვაწის თეატრის დახურვა ემუქრება უსახსრობის გამო; შემდეგ გულისტკივილით ლაპარაკობს მასყურებლის პრობლემაზე და განაგრძობს:

— ჩვენ მოვისმინეთ საინტერესო მოხსენება, მე ძალიან მომეწონა, იგი პრინციპულად სვამს მთელ რიგ პრობლემებს. მე არ მგონია, რომ ეს პრობლემები მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრის წინაშე იდგეს. იგი ეხება თანამედროვე ქართულ საბჭოთა თეატრს საერთოდ. შემდეგ, დ. ალექსიძე ლაპარაკობს გამსახილველ სპექტაკლებზე, აქტიორულ სახეებზე და მიაღწა შეფასებას აძლევს კ. მახარაძის, ტ. საყვარელიძისა და ვ. ნინუას შესრულებლობით დონეს.

თეატრალური კრიტიკოსი **ვახილ კეცაძე** გულისწყრომით ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენს შორის ფეხი მოიკიდა გულგრილობამ. საქმე იქამდე მიდის, რომ ისიც კი არ გვაინტერესებს, თუ არა ფიქრობენ კოლექციები ჩვენს ნამუშევარზე. ამის მაგალითად ვ. კიკნაძე მიიჩნევს იმას, რომ დღევანდელ დისპუტზე თეოთ მსახიობებიც კი არ მოვიდნენ. შემდეგ ამბობს:

— რა ხდება მარჯანიშვილის თეატრში? მიუხედავად იმ დიდი სიმწიფეობისა, რომლის წინაშეც ეს თეატრი დგას, მაინც არის ცოცხალი

ნერვი. რომელსაც შეუძლია თეატრი გამოიყვანოს რთული მდგომარეობიდან. აქ ლაპარაკი იყო ძიებისა და თანამედროვეობაზე. თანამედროვე თეატრი, უპირველეს ყოვლისა, პრობლემების ძიების თეატრია. უნდა მოიძებნოს პრობლემა, საკითხი, რომელიც აწუხებს ხალხს. მაყურებელი გაცილებით სასეა ინფორმაციებია, ემოციებით, ვიდრე სცენიდან ვაჩვენებთ. სწორედ ამის გამო დაიკარგა კონტაქტი.

ვ. კვინაძე ლაპარაკობს სამი განსახილველი სპექტაკლის შესახებ, ეხება მსახიობთა თამაშს და აღნიშნავს, რომ სამივე სპექტაკლში კ. მახარაძის (მოსამართლე). ტ. საყვარელიძის (გარაკანძე) და ვ. ნინუას (აპრაკუნე ჭიშკიელი) მიერ შექმნილი სახეები ქებას იმსახურებენ.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი **კოტე მახარაძე** აღნიშნავს, რომ სპექტაკლების განხილვისას უნდა ვილაპარაკოთ ყველა მსახიობზე და არა მარტო მთავარი როლების შემსრულებლებზე. სპექტაკლ „მოსამართლესთან“ დაკავშირებით იგი ამბობს:

— ეს არის რეჟისორისა და აქტიორთა თანამშრომლობის შესანიშნავი ნიმუში. ჩვენ იმდენ ვმუშაობდით ამ სპექტაკლზე. ეს იმიტომ კი არა, რომ გვეხალისებოდა მუშაობა, არამედ იმიტომ, რომ ვხევედით მას, განუწყვეტლივ მუშაობდნენ დრამატურგი და რეჟისორი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხუხაშვილი არის იშვიათი გამოჩენილი, რომელიც თეატრის კოლექტივის მაქსიმალურად უწყევს ანგარიშს, იგი კომპრომისზე კი არ მიდის, არამედ ანგარიშს უწყევს მას.

კ. მახარაძე არასწორ ფაქტად მიიჩნევს ზოგიერთ გამოსვლას, კონკრეტულად მას მიიჩნეა, რომ მცდარია ნ. არველაძის მოსაზრება, როცა იგი ლაპარაკობს თანამოაზრეთა თეატრზე.

ვიყოთ შემოქმედებით თანამოაზრენი! არ მეგულება ორი ისეთი თანამოაზრე, როცა რაც დოღო ალექსიძე და მე ვართ ყველა სკვროში. მე ვოსურებდი, რომ ყველგან იყოს ასეთი თანამოაზრეობა და ერთგულება, სიტყვით კი არა — საქმით.

მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი, რეჟისორი **ანზორ ქუთათელაძე** ლაპარაკობს დრამატურგებთან მუშაობის საკითხებზე და ამბობს, რომ თეატრისადმი დიდ ინტერესს იჩენენ დრამატურგები გეწაძე, ხუხაშვილი, ჩხაიძე, ისინი სიყვარულით მოდიან ჩვენთან და ჩვენი და მათი წარმატებები იდენტურია.

ანზორ ქუთათელაძე თეატრის სახელით დიდ მადლობას მოახსენებს მომხსენებელ ალექსო შალუტაშვილს, რომელმაც ძალიან ობიექტურად შეაფასა თეატრის მუშაობა. — მან ძალიან ბევრი რამ ვაქცაქურად, ობიექტურად, სამართლიანად გვითხრა და რაც არ უნდა მძიმე იყოს ამის მოსმენა, ჩვენ კმაყოფილებით ვიღებთ. ნათქვამიდან ბევრი რამ მეტისმეტად საგულაუხმოა და ბევრიც დამაფიქრებელი, ამიტომ მომავალ სეზონში ჩვენ გავითვალისწინებთ ამ მოსაზრებებს. — თქვა სიტყვის დასასრულს ა. ქუთათელაძემ.

მსგავსი დისპუტები, სამწუხაროდ, ხშირად არ ეწყობა. ეს დიდი ნაკლია. ჩვენ უფრო ინტენსიურად უნდა წარემართოთ მუშაობა, ხშირად გაემართოდ დისპუტები, განხილვები, მყურებელთა კონფერენციები, მყურებელთა შეხვედრები და სხვა. ასეთ ღონისძიებებს ყოველთვის მარგებლობა მოაქვთ.

გაქვრივ სოხუის თეატრზე

ვანო შილაბაძე

არაზის ეგონოს რეცენზიას ვწერდე. ვიცი, რომ რეცენზია ასე არ იწერება. რეცენზიის დასაწერად სპეციალური მომზადება საჭირო. მასლების შეგროვება, პიესის წაკითხვა, პიესის ავტორის შემოქმედების გაცნობა. მე ყველაფერი ამას მოკლებული ვახლავართ. კაცმა რომ თქვას, რეცენზიასაც რომ ვწერდე, არც თუ რაიმე მნიშვნელობა ექნება მას, რადგან სპეციალისტი თეატრალი არ ვახლავართ და სხვის საქმეში ხელის ფათური გამოძივა. შთაბეჭდილება კი ისეთი რამაა, რომელიც არ შეიძლება არ მოქონდეს ჩემებური, თავისებური, ე. ი. სუბიექტური, რომელიც შეიძლება არავის შთაბეჭდილებას არ ჰკავდეს. აღამიანი ვარ, და, ცხადია, არ შეიძლება აღქმას მოკლებული ვიყო.

ამრიგად, შევთანხმდეთ: მე კაცი ვახლავართ, აღამიანი და ამიტომ შთაბეჭდილებათა მიღების უნარიც მაქვს. ეს სავესებით ბუნებრივია. ხოლო რაკი სპეციალისტი თეატრმოდენე არ ვახლავართ, ისიც არავის არ უნდა გავუკვირდეს, თუ ჩემი შთაბეჭდილებების ჩემული შეფასებაც ვერ იქნება კვალიფიციური. მაგრამ მაყურებელი ხომ მაინცა ვარ, ე. ი. ის ვარ, ვისთვისაც თეატრი არსებობს და ამიტომ ჩემს არაკვალიფიციურ შთაბეჭდილებებსაც უთუოდ ვარკვეული ფასი აქვს თეატრისათვისაც და მაყურებლისთვისაც.

რაკი მაყურებელი ვახსენე, ჩემი შთაბეჭდილება სწორედ ამით უნდა დაიწყო. სოხუმის თეატრში მაყურებელი ვერა ენახე. მართალია, ზამთარი იყო, იანვრის ბოლო რიცხვებია, მაგრამ არც ისე ცუდი ამინდები იდგა. თეატრშიაც თათქოს ციოდა, მაგრამ ესეც, ალბათ, იმიტომ იყო საგრძნობი, რომ ხალხი არ იყო. 7-8 კაცი იჯდა დარბაზში. უკვე გადასცდა დაწყების დროს რომ დარბაზში მაყურებელთა მთელი ჩგვუფი შემოვიდა. თურმე უნეი თეატრის ყოჩაღმა აღმინისტრატორმა პირდაპირ მატარებლიდან მოიყვანა. ტურისტები იყვნენ. დარბაზი რადიოფიციერებულთა და აფხაზურ ენაზე მიდის წარმოდგენა თუ ქართულზე, საყურებებით შეუქალია ენის უცოდინარმაც მოისმინოს, დასხდნენ, სასწრაფოდ ყველა მოამარაგეს საყურებებით, ვინც ვერ მოახერხა საყურებების შეერთება და რეგულირება, თეატრის დამხმარე პერსონალის საშუალებით სასწრაფოდ მოაწესრიგეს საქმე და წარმოდგენაც დაიწყო...

საქმე და წარმოდგენაც დაიწყო...

ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“. დაიწყო და გამოიკა მსახიობების თამაშმა. როგორ არ უნდა გავოცებულყოყვი, როცა ასე კარგად თამაშობდნენ და საღ? თითქმის ციოდა ელ დარბაზში, სადაც მსმენელებს შენი ენა არ ენმის და თარჯიმანის საშუალებით გისმენს... საღ ჰქონდათ ამ მსახიობებს ამდენი ცეცხლი, რომ ასე ბრწყინვალედ თამაშობდნენ? მსახიობის ხელოვნება ხომ სცენაზე, მაყურებლის წინაშე იბადება! რეპეტიციები, როლებიც ზავებობრება, ეს უბრალოდ წინასწარი საშუალებია, ნამდვილად ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად. ნამდვილ ხელოვნად მსახიობი სცენაზე იქცევა. ესაა მისი ზემოთავონების წუთები და ამ ზემოთავონების წყარო მაყურებელია. ამისთვის იწველა თვევითი, იხეპირა როლი, ამისთვის ეძინა ძოუჯვენარად და დღე და ღამე ასწორა, რომ იქ, სცენაზე, მაყურებლის წინაშე წარმდგარიყო როგორც ნამდვილი შემოქმედი, იქ ეჩვენებინა თუ რა ძალაა მასში, ამ ჩვეულებრივ აღამიანში, როგორ ოსტატურად შეუძლია შეინიღბოს, გარდაისახოს და გვიჩვენოს ნამდვილი ხელოვნება, განგაცდევინოს ვანუცდელი.

მსახიობი ჩვეულებრივი აღამიანია. მაგრამ სცენაზე ზემოთავონებით ალტინებული ბუმბერაზად წარმოგვიდგება და ამ ძალის მიმჩნეებელი მაყურებელია, მაყურებელთა მასა, რომელიც დარბაზში ზის და მსახიობის მიერ შექმნილ ქვეყანაში გატრუნული ნანაობს. თუ მაყურებელს ვერ გრძნობს მსახიობი, თუ მასთან კონტაქტი ვერ დაამყარა, იგი ევლარ ამაღლდება ხელოვნებამდე. წარმოდგენა უბრალო კითხვა-პასუხი გამოყო. დარბაზში ვიღაც ჩახველებს და მსახიობი მოესხე მიხვდება, რომ იგი ვერ ამაღლებულა ხელოვნებამდე. დიახ, ჩახველება რომ ჩახველებაა, იმის მიხედვით შეიძლება გავზომოს მსახიობმა მისი კავშირი დარბაზთან. ცარიელი დარბაზი მსახიობს ართმევს შესაძლებლობას ამაღლდეს ნამდვილ ხელოვნამდე, სრულყოფილად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი... ამიტომ როგორ არაფერი ვთქვა ამის თაობაზე? როგორ ვაპატიო სოხუმელებს ასეთი გულგრილობა თავიანთი თეატრისადმი და ისეთი ნიჭიერი მსახიობებისადმი, როგორც მათი სყოლიათ. ვერ ვიყოქრე, შემთხვევითია მეთქი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ



ისევ დავესწარი ალ. კასონას „მესამე სიტყვას“, კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ლესია უკრაინკას „ტყის სიმღერას“ აფხაზურ ენაზე, ხოლო ბოლოს გ. ნახუციანიშვილის „შოთან ხიხოც“ ენაზე და მასურბლის მხრივ ყოველთვის ერთნაირი მდგომარეობა ვახლდათ. სპექტაკლი კი ყოველთვის ბრწყინვალედ ჩატარდა. ეს მე სასწაულად მიმაჩნია მსახიობების მხრივ. თუ საერთოდ ასეა. მაშინ მართლაც ვაშა თქვა — სოხუმის თეატრის მუშაკები...

შესაძლებელია, რაღაც გამართლება ვუპოვოთ ამა თუ იმ წარმოდგენაზე, ან პიესაზე მასურბლის ნაკლებობას, მაგრამ ეს ნაკლებობა არ იყო! მართალია ისიც, რომ ტელევიზია და კინო დიდ მეტოქეობას უწევს თეატრს, მაგრამ ამოდენა ქალაქში, როგორც სოხუმშია. ასე-ორასი კაცი მაინც როგორ არ უნდა მოიპოვებოდეს თეატრის გულშემატკივარი! ტელევიზია და კინო ვერასოდეს ვერ შეცვლის თეატრის ცოცხალ სიტყვას!...

აი, ჩემი შთაბეჭდილება!
 ორიოდ სიტყვა სპექტაკლებზეც.
 ო. იოსელიანის პიესამ — „სანამ ურემი ვადბრუნდება“ მთელი საბჭოთა კავშირის თეატრები მოიარა. ასეთი რამ, ცხადია, უსაფუძვლოდ არ ზდება. პიესის უღიღესი ღირსება თემის აქტუალობაა. იგი მიწასთან დაბრუნებისაგან მოგვიწოდებს, იმ მიწასთან, რომელიც მუდამ იყო ადამიანისათვის ძუძუს მწოველი. ახალგაზრდობა მარჩენალ მიწას გაუბრბის. თუმცა მიწის მოწოდებულ სიკეთეზე უარს რთად ამბობს. სოფელი თითქმის დაცარიელდა. იგი ავაბო ბოგვერაძისთან შრომაში გამოჯაგული ხან-შესული ადამიანების ანაბარა დარჩა. და ეს მარტო ჩვენში როდია. ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა მიწის სამუშაოთა დიდი ნაწილის მანქანებისთვის დაკისრება, მაგრამ მანქანები ადამიანის გარეშე უმოქმედო რკინის ხუთლაა. ესეც არ იყოს, ყველაფერს მაინც ვერ გააკეთებს მანქანა... ახალგაზრდობა კი ქალაქისაგან იტყვის, სოფლის მუშაობას ვა-ურბის. მოხუც ავაბო ბოგვერაძეს და მის მე-ულღეს ხუთი ვაჟიშვილი გაუზრდია და არც ერთი ოჯახს არ შერჩა. ამის ტრადიციულად განიკუ-დის მთავარი გმირი ავაბო და გვარწმუნება ყველას, რომ ასე ვაგვრძლება დამოუხველია, სოფელი არ უნდა გადაშენდეს, იგი უნდა დარჩეს. ამ საკითხის ასე მკვეთრად დასმა ანიჭებს ამ პიესას აქტუალობას. თორემ, კაცმა რომ თქვას, პიესას საგრძნობლად აკლია დინამიკუ-რობა, მოქმედება. ამის გამო იგი მსახიობისათვის უფრო ძნელად შესასრულებელი ხდება: მსახიობი ხშირად იძულებულია მოქმედება სიტყვით შეცვალოს, როლის შესრულება — დეკ-ლამაციით.

ამასაც თუ გავითვალისწინებთ და ცარიელ დარბაზსაც მოვიგონებთ, საკმაოდ ნათლად მოგვიდგება როლების შესრულებელთა სინე-ლებები. ამიტომ განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მსახიობები ისე კარგად ასრულებენ როლებს, რომ მასურბლის მავიწყდება მათ წინაშე აღმართული სინელებები. ასე რომ ჩემი აღფრთოვანება ყოველგვარი შედავა-თის გარეშე მეუთენის ყველა შემსრულებელს. მაინც გამოვეყოფდი — ავაბო ბოგვერაძის რო-ლის შესრულებელს ტ. ხორავას და კარპეს შესრულებელს ნ. მასხუიას. ამ უკანასკნელს შეიძლება ის ვუსაყვედურო, რომ სცენაზე შე-მოსვლამდე, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ყვირის, რადგან ავაბო მკვდარი ჰგონია. გამარჯვებასა-ვით გამოდის. სხვაფრთვ ბრწყინვალეა მისი შესრულება.

რაკი გამარჯვება წამომცდა, ისიც უნდა აღნიშ-ნო, რომ გამარჯვებულია მთელი სცენა, როცა ეენახში მუშაობით დაქანტული ავაბოს შვილე-ბი შემოიღიან სცენაზე. განსაკუთრებით ვადა-ქარბებელი მეჩვევა მინისტრი შვილის მიერ იბნის ჩვენება, თუ როგორ გაუძნელდა მუშაო-ბა. არაა ეს დამაჯერებელი იმითმაც, რომ ამ კაცს იმდენად არ უყვარს შრომა, იმდენად გა-ღარჩვეულია, რომ ასე სამინდოდ დაღლილად არამც და არამც არ იმუშავებდა.

კარგად წარმოგიდგენს თანამედროვე დად-გულა მემჩანი ქალბატონის როლს თ. ბოლქვა-ძე (ლანდა). კარგია კეისარის როლში თ. მელა-ნი, რომელსაც ძალიან იზივითად შენიშნავთ ყალბ ინტონაციას და დუხვეწავს ჟესტს.

ალ. კასონას პიესაში („მესამე სიტყვა“) ნამდ-ვილად მომხიბლა, აღმადროვებია მასწავლებელი ქალის, მარგარიტას როლის შესრულებელმა თ. გონიტაშვილმა. სხვა როლში ის არ მინახავს, მას ამბულსა ვერ ვიცივობ, მაგრამ რაშიც გნახე, იმდენად კარგი იყო, რომ აღტაცების დამაღვას ვეღარ ვახერხებ. ახალგაზრდა ჩანს და ვიმედო-ვნებ, ასეთი ქება არ გაათამამებს, არ გააზარბა-ცებს, პირიქით — მუყათითობისაგან წაუბიძ-გებს. თავიდანვე იპყრობს მასურბლის გულის-ყურს და მერე ძალიან ვეცადე დამეჭირა თუნ-დაც ერთი ყალბი ჟესტი, ერთი ყალბი ინტონა-ცია, მაგრამ ვერ მოვახერხებ.

ძალიან კარგი იყო იმავე პიესაში პაბლოს როლის შესასრულებელიც ლ. ფილფანი. კარკე-ბი იყენენ მამოდებშიც მატლდა (თ. ბაბლიძე) და ანჰელინა (ნ. ყიფიანი), მაგრამ ცდილობდ-ნენ მეტყველებით გაესვათ ხაზი თავიანთი არისტოკრატიულობისათვის და ცოტა არ იყოს არაბუნებრივი გამოუდიოდათ.

ამ პიესაში ყურადღება მიიქცია შემდეგმა დე-ტალომ: სტუმარი ქალი მართათი იბორიებს (რაც იმას გვანიშნებს, რომ ცხელა), იქვე ქალი-



შვილი ზუხარს ეთბუნება (ე. ი. ცივა). ერთმა-
ნეთის გამოშვების მიზანსაცხეობა.

გ. ნახუტურიშვილის „შაითან ხიხო“ დრამა-
ტურგიულად ბრწყინვალედ გამართული პიესაა
და, თუმცა ფაბულა ზღაპრულ იერს ატარებს,
უაღრესად რეალისტურია და თანამედროვე. ქა-
რითადად იღვა პიესისა იმაში მდგომარეობს,
რომ ყოველგვარი ბოროტება ამ ქვეყნად უთუ-
ოდ დაითრგუნება სიკეთის მიერ. სიკეთეს განა-
სახიერებს ღარიბი, მაგრამ გონიერი ხიხო. ამ
როლში ბრწყინვალე იყო ნ. მასხელია. განსა-
კუთრებით ჩამჩა ხსოვნაში აგრეთვე ქ. დოლა-
ძე, რომელიც ზუხარა-ხანუმის შედარებით მეო-
რე ხარისხიან როლს ასრულებდა. კარგი იყო
პ. ნალბანდიშვილის მუსიკა, რომელიც აღმოსა-
ვლურ ინტონაციებზეა აგებული. სამწუხაროდ,
ამ დადგმის პროგრამაც აღარ შემოჩენია, რომ
უფრო დავაგონკრეტო ჩემი შთაბეჭდილებანი.
ასევე დამეკარგა ლესია უკრაინკას პეისის
(„ტყის სიმღერა“) დადგმის პროგრამა, რომელ-
ზედაც წარმოდგენის მსგელობის დროს შენი-
შენებს ვაკეთებდი. ამიტომ მხოლოდ იმათ

დაკმაყოფილებდი, რომ აღნიშნავ სოხუმის
თეატრის აფხაზური დასის დიდ წარმატებას.
შევენიერი დასი მყოფიათ. მომხიბლა ამ დასის
მეტყველებამ. დიას, ამას აღნიშნავ იმიტომ,
რომ აფხაზური ენა ერთი უძნელესთაგანია სწო-
რედ ბევრით შედგენილობით. ჭარბადაა მასში
უცხოელისათვის მწვანე გამოსათქმელი ჩქამა-
ერი ბგერები. ეს თითქმის უცხო ყურისათვის
მწვანე მოსამგნს ხდის ამ ენაზე საუბარს.
მაგრამ თურმე ასე შეიძლება გვეჩვენოს საუბ-
რის ცალკეული ნაწევრების მომგნისას, ხო-
ლო თუ ლიტერატურულ აფხაზურ ენაზე მოუ-
ბარს ხანგრძლივად უსმენთ დაგაწმუნდებით,
რომ იგი მუსიკალური ენა ყოფილა...

უნიათო შთაბეჭდილებების გამოხეუერებისა-
თვის ბოლოში მოვიხიდი სპექტაკლის ავტორებ-
თან, მაგრამ პირველ შენიშვნას უბოდიშოდ
გავიმოკრებ: სოხუმელებს მართებთ სათანა-
დოდ დააფასონ მათი თეატრის შესანიშნავი
კოლექტივები და მარტო ნუ მიატოვებენ მათ
სცენაზე.

მხატვრული ღონის სრულყოფისათვის ეთერ ქაჯაია

სოხუმის თეატრის ქართული დასის რეპერ-
ტუარი სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს. მის
ერთადერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის,
რომ თანამედროვეობა სათანადო ადგილს იკა-
ვებს მასში. თუმცა თეატრის რეპერტუარში
გვხვდება აქტუალობას მოცულებული და დაბალი
მხატვრული ღონის ნაწარმოებებიც.

მიმდინარე სეზონში თეატრმა აჩვენა ოთ-
ხი პრემიერა: ი. დრუცის „კასა მარე“, ალ. ჩხა-
იძის „მიკროფონი“, ე. ბრაგინსკისა და ე. რიაზა-
ნოვის „სტატისტიკა და სიყვარული“ და ე. ბუა-
ჩიძის „პროვინციელი ქალიშვილი“. თუ მზე-
დებლობაში მივლებთ, რომ რეპერტუარში სულ
შვიდი თუ რვა სპექტაკლია, რომელიც უმრავ-
ლესობის მეორეჯერ ნახვის სურვილი არაერთარ
შემთხვევაში არ ალგებრებთ, გასაგებია რატომ
მიმდინარეობს წარმოდგენები ცარიელ დარ-
ბაში.

თეატრში სამი რეჟისორი მუშაობს და ეფექ-
რობთ, სეზონის (შვიდი თვის) მანძილზე მეტს
თუ არა, თითოთგან ორ ახალ სპექტაკლს მაინც
უნდა მოველოდეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ
ბოლო პრემიერა გაიმართა 30 მაისს, 31-ში კი
სეზონი დაიხურა. ე. ი. მეოთხე პრემიერის ბე-
დი ამ სეზონში ორი საღამოთი დამთავრდა.

რატორი იყო ამ დადგმების მხატვრული ღო-
ნე? ვე-კარგი თითოეულ მათგანს გააჩნდა. თით-
ქმის არც ერთ დადგმაში არ იყო რეჟისორუ-

ლი ჩანაფიქრის, თუ გამომსახველობითი საშუ-
ალებების სიხალე. შეიძლება ითქვას, რომ ეს სე-
ზონი არ აღინიშნა განსაკუთრებული რეჟისო-
რული ნაშეუვრით. მათი შემოქმედება ერთფე-
როვანი და ოდნავ მონოტონურიც იყო. ასევე
ცოტა იყო ამ სეზონში მძალმხატვრული აქტი-
ორული სახეები.

სეზონის საუკეთესო როლებად შეიძლება ჩა-
ითვალოს ვენერა ნუფარიძის ვასილუცა და გი-
ორგი რატაიანის პაპა იონი (ი. დრუცის „კასა
მარე“).

...სცენაზე ლამაზი კასა მარეა. მხატვარი ეე-
გენი კოტლიაშოვი დახვეწილი გემოვნებითა და
მაღალი ოსტატობით ახერხებს წარმოსახის
მოლდავეური კოლორიტი. აქ თამაშდება მთელი
სპექტაკლი. მას ემოციურობისა და მომხიბლე-
ლობას მატებს მამია ბერიცაშვილის მოლდავეურ
ხალხურ ჰანგებზე დაწერილი მუსიკა. ერთი შე-
ხედვით მარტვი სიუჟეტით გვეძლევა აზრთა და
პრობლემათა მრავალმხრივობა. სპექტაკლის
ცენტრშია ახალგაზრდა ქვრივი ვასილუცა. ის
მუყაითი კოლმუერნე და სანიმუშო დედაა. ომმა
დაამხო მისი კასა მარე (დარბაზი ქალისაგან
ბედნიერებისათვისაა მორთული). დაეღუპა ქმარი
და მარტოხელამ დააეჯავცა ამეამად სამხედრო
სამსახურში გაწვეული ერთადერთი ვაჟი. მთე-
ლი ამ ხნის მანძილზე ახალგაზრდა ქვრივი ოც-
ნებით ზთავდა ლამაზ კასა მარეს და ბოლოს



ნამდვილად მორთო. მას კვლავ მოუწინააღმდეგებდა პერნიცია (საქორწინო ცეკვა)... და ახალმა სე-
ვერულმა ააქეკვა კიდევ. მისი მიჯნური სულ
სამიოდვე წლითაა მის ვაჟზე უფროა. ის მოვი-
და მასთან და ორივე ბუნდური იყო — ოღონდ
მათ შორის კლდედ ჩამდგარი ასაკობრივი სხვა-
ობა სტანჯავდა ვასილუკას... გ. ნუფარაძის ვა-
სილუკას თან ახლავს ღრმა შინაგანი ემოციუ-
რობა, დრამატიზმი. თვით ყველაზე ბუნდური
წუთშიც კი მის გმირს არ ტოვებს ფარული სევ-
და, შინაგანი ტრაგიზმი მისი თაობის განუკუ-
რნებელი ჭრილობით გამოწვეული. განსაკუთრე-
ბით ძლიერია მსახიობი, როდესაც მისი გმირი
მეორედ, მაგრამ ახლა თვითონ მოშლის მის კანა
მარეს და თავიდან, მესამედ დაიწყებს მის
მორთვას — ამჯერად ვატიშვილისათვის. მსა-
ხიობი არ ამარტივებს გმირის ხაზაიას, არამედ
დიდი დამაჯერებლობით ხსნის მისი ბუნების
მრავალმხრივობას და სირთულეს.

გიორგი რატიანის პაპა იონი კი დიდებულია
მსახიობის გარდასახვის სიძლიერით. გარკვეუ-
ლი ფორმა, მოძრაობა, საუბარი — არსად არ
ამხლებს მსახიობის ახალგაზრდობას და მოხდე-
ნილობას. ყველაფერი ბუნებრივად და დიდი
დამაჯერებლობით კეთდება. ჩვენს წინაშეა წელ-
ში მოხრალი, ღრმად მოხუცა და დიდი პაპა
იონი და არსად არ იგრძნობა მსახიობი.

ამ სეზონის ასევე საინტერესო სახეებია: თ.
ბოლქვაძის კალენგინა (სტატუსტიკა და სიუვა-
რული), ლ. ფილფანის ევეკენი დეუდარაინი
(„მიკროფონი“), ს. პაჭკორიას ნესტორი და ნ. ბე-
ქაძის პაველკე („კასა მარე“). უნდა აღინიშ-
ნოს, რომ კარგა ხანია არ არის გამოყენებულ
მსახიობებს: ფ. შედენაის, თ. ბაბლიძის, გ. რა-
ტიანის, ლ. ფილფანის აქტიორული შესაძლებ-
ლობანი. ჩვენ მათგან მოველით დიდ და სერი-
ოზულ ნამუშევრებს და ვერ ვკმაყოფილდებით
როგორი უმნიშვნელო სახეებით. ასევე არა სა-
სურველად გვეჩვენება ბ. თოფურაძის სტატი-
რულ-კომიკური როლებში გამოყენება. ეს ამკა-
რად არ არის მისი ამჟღავნება.

თეატრს წელს შეემატა ახალგაზრდა მსახი-
ობები: თ. მილდიანი, ლ. გაბუჩია, ლ. კალანდია,
ნ. ყურაშვილი, გ. სირაძე, ვ. არღვლანი, ლ.
შონია. როგორც მოსალოდნელი იყო, რეჟისო-
რებმა ჯეროვანი ყურადღება დაუთმეს მათ. ყო-
ველ მათგანს მიეცა სამუშაო და მათ მიერ უკ-
რამდენიმე საინტერესო სახეც იქნა წარმო-
დგენილი. თ. მილდიანის პირველი სეზონი აღი-
ნიშნა ორი სერიოზული როლით: სოფიკა
(„კასა მარე“) და ფოსინე („პროვინციული ქალ-
შვილი“). მსახიობს ეტყობა დიდი მონდომება
და სერიოზული დამოკიდებულება როლისადმი,
მაგრამ მას გამოუცდლობით ზოგჯერ დლა-
ტობს დამაჯერებლობა, აკლია ემოციურო-

ბა. ლ. კალანდია ჩინებულად შესრულდა რო-
ლი „სიუყვარული და სტატუსტიკა“. ნ. ბე-
ქანიშნაძედ ფლობს სცენას, აქვს ჩინებულ-
რიტმი და პლასტიკა. ასევე კარგია მისი მებუ-
ფეტე როზა („მიკროფონი“). ამავე როლში
კარგად გამოვიდა მსახიობი ლ. გაბუჩია. მაგრამ
მათ მიერ სრულიად გაუსწნელი დიდი ელეო-
ნორას სახე („კასა მარე“), რამდე ძირითადი
ბრალი ეღება რეჟ. ბ. ტორონჯაძეს. იგრძნობა,
რომ მან ფაქტურად უყურადღებოდ, ახალ-
გაზრდა მსახიობების ანაბარა დატოვა როლი.
სრულიად საწინააღმდეგო შემთხვევა გვაქვს
„მიკროფონში“. რეჟ. ს. ქლიობის გამოცდილი
ხელი მოსჩანს მსახიობების ნ. ყურაშვილისა და
გ. სირაძის მიერ შალვა გარაყანიძისა და გურამ
ხელაძის როლებს შესრულებისას. შეიძლება
თქვას, რომ ორივე მსახიობი დიდ წარმატე-
რებას აღწევს სპექტაკლში. გ. სირაძე დამაჯერებ-
ლად წარმოგვიდგენს უპრეტენზიო, მაგრამ
პრინციპულ ახალგაზრდა ეურნალისტს გურამ
ხელაძეს. სამწუხაროდ, მსახიობი მსგავს ე-
მაჯერებლობას ვერ აღწევს თენგიზ სინაურობის
როლში („პროვინციული ქალიშვილი“). ამჯერად,
მისი გმირი, ახალგაზრდა შეყვარებული სტუ-
დენტი გულგრილი და მოღუთნებულად კია. ნ.
ყურაშვილის შალვა გარაყანიძე („მიკროფონი“),
ნაპოლეონ ქიქელიძე („პროვინციული
ქალიშვილი“), მიუხედავად იმისა, რომ სადავოდ
გვეჩვენება მსახიობისაგან შალვა გარაყანიძის
სახის გაგება და სუსტ მატერიალ სახეზე მისი
ქიქელიძე, მაინც მსახიობისადმი რწმენა
გვიძრავს. მის აქვს ყველა მონაცემი იმისა,
რომ უფრო რთული როლები განასახიეროს. მას
შეუძლია და უნდა მოეთხოვროთ კიდევ გმირის
განცუდობა და მოქმედების შინაგანი გახსნა. ეს
სეზონი მათთვის პირველი სეზონი იყო და თუ
ყველამ ვერც მოასწროთ ეთქვა საკუთარი სტე-
ყვა, ან კი სასურველად ვერ თქვა — წინ ბე-
კრი შესაძლებლობაა. გვეკრძა, რომ ისინი მას გა-
მოიყენებენ.

ამ სეზონის სპექტაკლების მხატვრული გა-
ფორმება მეტი სიფაქიზისა და ორგანიზაციის
სურვილს ბადებს. თთხი სპექტაკლიდან, მხო-
ლოდ „კასა მარე“ (მხატვარი ევ. კოტლიაროვი)
ამ მხრივ სრულყოფილი კარგი ჩანაფიქრია სამ
ნახევარწრეში „სიუყვარულისა და სტატუსტიკის“
გათამაშება (მხატვ. თ. ევანია), მაგრამ მხატვრუ-
ლად და ტექნიკურად ის დაუმუშავებელია.

მიუხედავად ცალკეულ წარმატებებისა, აუ-
ცალკეულობა დიდი ყურადღება დაეთმოს სპექ-
ტაკლების მხატვრული დონის ამაღლებას. პრო-
ფესიული სრულყოფა ყველგან და ყვე-
ლაფერში უნდა მოჩანდეს. სამწუხაროდ, ამ
მხრივ ბეკრი სპექტაკლი ცოდავს. სახელმწიფო
პროფესიული თეატრისათვის ყოველად მიუტე-

ვეებლია ისეთი სპექტაკლი, როგორც არის „პროვინციული ქალიშვილი“ (რეჟ. ბ. ტორონ-ჯაძე).

სოხუმის ქართული თეატრის ენერგულ უნარიან კოლექტივს მეტი წარმატების მოპოვება შეუძლია და კიდევაც მოეთხოვება.

„საბრალდებო დასკვნა“ ჩხსთავის თეატრში

ვაჟა ძიგუა

ნოღარ დუმბაძის მწერლური „ვახტანგისა და იმედი“ დროს იოლიკავა და რთულიც. იოლია იმიტომ, რომ მისი გმირები უმალ აღწევენ მკითხველის შინაგან სამყარომდე, სირთულეს კი სწორედ ამ საიდუმლოების დაუფლება განპირობებს. ნ. დუმბაძის ნაწარმოებები სამართლიანად სარგებლობენ მკითხველთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით. რითი შეიძლება ავხსნათ მწერლის აღიარება? — თემის აქტუალობით. მოვლენებისა და სიტუაციათა რეალური შეფასებით. გმირის ფსიქოლოგიაში ღრმა წვდომით, ცხოვრებისეული იუმორით.

მწერლის ბოლო ნაწარმოებია, რომელიც „თეთრი ბაირალები“ სახელწოდებით ისტამბულადა ჟურნალ „მნათობში“, გამოქვეყნებისთანავე უჩვეულო ინტერესით აიტაცა მკითხველმა. მკითხველის პოზიცია პირველმა რუსთავის სახელმწიფო თეატრმა გაიზარა და ნ. დუმბაძის ახალ გმირებს დირსეული სცენური სიცოცხლე მიაჩნია; შემდგომ მას კვალში თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრი მიჰყვა, რომელმაც სავსებით განსხვავებული და უთუოდ საყურადღებო ვადაწყვეტა მოუქმებნა ნ. დუმბაძის ამ ნაწარმოებს.

„საბრალდებო დასკვნა“ თემის აქტუალობითა და ხასიათების სიმძაფრით ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია. მწერალს აღეღვებს და აწუხებს თანამედროვეობის საკრიტიკო საკითხები.

პიესის მიხედვით მოქმედება მხოლოდ საკანში მიმდინარეობს. ერთი შეხედვით, თითქოს ძნელია მთელი საღამო უქვირო საკანში გამომწყვდეულ პატიმრებს. უსმინო მათ წუწუნსა და ვაიბას, გაიზარო მათი „ფილოსოფიური“ შეხედულებები. რუსთავის თეატრის კოლექტივმა შეძლო ამ გარეგნული საშინაობის ვადაუხანა. მაყურებელი შეუხედველი ინტერესითა და ხალისით ადევნებს თვალს დამანაშავეთა „პაექრობას“, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის დამდგმელს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს გიგა ლორთქიფანიძეს, რომელმაც სპექტაკლში კიდევ უფრო გამოკვეთა სცენური მოქმედებისათვის აუცილებელი კონფლიქტი, თითოეულ მიზანსცენას აზრობრივი დატვირთვა, ფორმის სიმძლავრე და ელასტიკურობა მიაჩნა.

რეჟისორის ჩანაფიქრს მხარი აუბა მხატვარმა

მაგია მალაზონიამ. რომლის გაფორმება გვიხიდავს ლაკონიზმით, ფერებისა და გამომსახველობითი საშუალებათა სიმუხნით (რა თქმა უნდა, გარეგნული თვალსაზრისით). მხატვარს მსუბუქად, ძალდაუტანებლად შეეყავათ პატიმართა სამფლობელოში. სულ რამდენიმე შტრიხით მ. მალაზონია აღწევს წარმოდგინების პირქუში ციხისთვის დამახასიათებელი ატმოსფეროს ყველაფერი ორგანულად უკავშირდება მოქმედ პირთა განწყობილებებს, მათს სულიერ ტკივილებსა და ემოციურ აღზევებებს.

სარეცენზიო სპექტაკლში მაღალ დონეზე დგას აქტორული ანსამბლი. თითქმის ყველა სახე სავანგებო აღნიშვნისა და გაანალიზების ღირსია.

ნაწარმოებისა და პიესის მთავარი მოქმედი გმირია ზაზა ნაკაშიძე — რომანტიკული, მეოცნებე, ფაქიზი ბუნების ყმაწვილი. მაგრამ მოხდება ისე, რომ ამ უწყინარსა და კეთილშობილ ახალგაზრდას სამინდელ ბრალდება აპკიდებენ — მკვლელობის თანამონაწილედ ჩათვლიან. საკანში ზაზა — მალაზ გორგილაძე შემოდის ლასლასით, დამძიმებული ნაბიჯებით და თავის კუთხეს ეპატრონება. საკანის „მინადართა“ შეკითხვაზე — თუ რისთვის ამოჰყო თავი საპატიმროში, ზაზა ცილობის გულწრფელად დააჯეროს „კოლეგები“ თავის უღანაშულობაში, ესოდენ მწარე ხვედრის შემთხვევითობაში. მაგრამ ნამდვილ დამნაშავეებს სასაცილოდაც არ ყოფნით გულმტრეკილო ჰაბუკის აღსარება — „აქ ყველა უღანაშულოა და ნეტარი ანგელოზი“ — ირონიით პასუხობენ ისინი ზაზას სამართლის აღიარებას. ზაზა ორმაგად იტანჯება — დაუმსახურებელი პატიმრობისა და მის პატიოსნებაში დაქუცების გამო. მალაზ გორგილაძე კარგად გადმოგვიცემს თავისი გმირის ამ გაორბულ ვანცდას.

გაღის დღეები, ზაზა ეჩვევა პატიმართა წენეულებებს, ძალაუხერხად ურიგდება შექმნილ ვითარებას. პატიმრებში ეჩვევიან ზაზას და უკვე აღარ არიან მისდამი უნდობლად გამსჭვალულნი, თანდათანობით რწმუნდებიან, რომ ზაზა, მართლაც, გაუგებრობის მსხვერპლია. ახლა უკვე აღარ აკვირებთ ზაზას მტკიცება, რომ მას კაცი არ მოუკლავს. გულის სიღრმეში გამოძიმებელიც დარწმუნებულია ზაზას სიმართლეში, მაგრამ ფაქტება? ყველა ფაქტი ბრალ-



დებულის წაწინააღმდეგოდ ლაღადებს, ფაქტს კი, თუნდაც იგი მოჩვენებითი იყოს, სანამ არ გააცემტყერებ — ვერ გაქმტყევი. პატიოსან სიტყვაზე უნდა მენდო, მე სხვა მოწმე არ მყავს. თართოლეითა და ცრემლწამდგარი თვალებით ემუღარება ზაზა მართლმსაჭულენის წარმომადგენელს, მაგრამ გამოძიებელი კანონის მომდევარია, ცარიელ სიტყვებს იგი ვერ დაეყრდნობა. შინაგანი ექსპრესიითა და მღელვარებით ატარებს მალხაზ გორგილაძე გამოძიებულთთან დაპირისპირების სცენებს; იგი მიუღო არსებით განიცდის თავის მძიმე ხვედრს — შემზარავი დანაშაულის მიტმანნებას და ცდილობს „შეიძლება მალე განიტვირთოს ამ საშინელი ცილისწამებისაკან. ამიტომაც, ყოველი მისი სიტყვა თუ მოძრაობა, ეესტი თუ მიმოკა დაძაბულია, მკვეთრი და ნერვიული. გამოძიებლის ყოველ მშვიდ პასუხზე იგი უფრო მეტად იმუხტება, ვერ ერევა საკუთარ გრძნობებს, ცდილობს ხელის ერთი დაკვრით გამოაშკაროს სიმართლე. ყველა ამ პროცესს ზომიერებითა და აქტიორული ტაქტით წარმოგვიდგენს მ. გორგილაძე.

ლირიკული ინტონაციები, შინაგანი სიბოლო და განცდის სიფაქიზე გამოავლინა მ. გორგილაძემ დედასთან შეხვედრის სცენებში. დედა-შვილის დიალოგს გულგრილად ვერ მოუტმენთ, ყოველი მათი მიმართვა ერთმანეთისადმი, უბრალო პაუზაზე კი, საოცრად მეტყველია და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი.

დედის როლს ჩინებულად ანსახიერებს თამარ სხირტლაძე. მსახიობის ყოველ ფრაზა, მიზნა-მოზრა, მხოლოდ ერთ გარემოებას უსკამს ხაზს, რომ მისი სიტოცება და არსებობა ამ ქვეყნად, შვილის არსებობასთანაა გადაჭდობილი, რომ შვილის ბედნიერების გარეშე სუნთქვავი კი უჭირს. როგორი მეტყველია თ. სხირტლაძის დედა, როდესაც სავარგებოლ მოღუღებულ ყავას აწვდის პატიმარ შვილს; თვალები ცრემლებითა აქვს სავსე, მაგრამ ეს ცრემლები ამკრარად წუთიერი კმაყოფილების გამომხატველია — დედის ხელს დანატრებული ზაზა ხარბად ეწაფება ყავას და ეს ახარებს ტანჯული დედის გულს.

პატიმრებს ჰყავთ თავიანთი მამასახლისი — კიკიკო გოგოლი, რომლის ფუნქციები საკანაში მეტად საპატიოა: ზედმოწვევით უნდა იცნობდეს თითოეული მსჯავრდებულის საბრალდებო დასკვნას, — რათა შემდგომ თავდაცვ გამოუტანოს მას განაჩენი; კბილებით უნდა იცავდეს საკანის ინტერესებს და საერთოდ, როგორც იტყვიან, მოწოდების სიმძალეზე უნდა იდგეს თავის „ხელქვეითებთან“. გოგოლის როლი დავისრა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს კოტე თოლორაძის, რომელიც საინტერესო აქტიორული ნამუშევრით წარუდგა მაყურებელს. იგი

აქცენტრებას ახდენს თავისი გმირის შინაგანი სამყაროზე, იმ კეთილ საწყისებზე, რომელსაც შემოარჩენია მის ბუნებას.

დედლარიანის მიმართ ერთგვარი რაღი და შიში ყველა პატიმარს აქვს, ვერავინ ბედებს მის საწინააღმდეგოდ რაიმეს თქმას ან მოქმედებას. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ოთარ მდღენიუთუხუცესმა თავისი შესრულებით ღმირანს სახეს შესძინა რომანტიკული ზეაწულობა. მისი ცალყუბა ღმილი, თითქოს სევდიანი, ორაზროვანი გამოხედვა, პატიმრათვის უჩვეულოდ ღირსეული თავდაქერა — დედლარიანის პორტრეტს სახიერ შტრიხებს მატებს და კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენს. შუსანიშნავია ნუნუ ექიმთან გათამაშებული სცენა, როდესაც გრძნობამორეული ღმიონა ფარატინა ფთოლივით აიტაცებს ხელში შიშისაგან ათრთოლებულ ქალს, შემადლებულზე შიშისგან და თითქმის ჩურჩულია წაუკითხავს მას ბესიკის „ტანო ტატანო-ს“. ეს ადგილი ერთ-ერთი გამომსახველი მონაკვეთია სპექტაკლში.

საკანში ერთ პატიმარს შოშის ეძახიან. მართალია, შეკანი იგივე ვალია, მაგრამ შოშია გოგოლაძე სრულებით არ გავს ჩიტს, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სცენებზე უფრო დიდხანს ზის რკინის ხლართებით შეღობილ სარკმელთან და დაღვრემილი გასცქერის აშველ-ჩამტვლანს, ნერვიულობს კიდევ, თუკი რომელიმე დამთხვეული კითხაში ჩამოსხმულ ლულს (რომელსაც ფანჯარასთან მოთავსებულ პატარა ჯიხურში ყიდიან) სულს შეუბერავს და ქაფს გადააქცის; ამ დროს იგი, მართლაც, წაავაგს მობუზულ ჩიტს, რომელსაც თავისუფლება სწყურია.

შოშია მხიარული ბუნებისაა, ხშირად ართობს პატიმრებს თავისი მტკვრემტყველებით, ოხუნჯობით, სიმღერებით, მაგრამ საქმარისია მოავონდეს ცოლი, რომლის გაუმძღობობის წყალობითაც იგი დღეს აქ იმყოფება, რომ მყის შეეცვალოს გუნება.

— ციამე, შვილებო, დურაქი მამა მოგოკვდეთ, რას ჰამთ, რას სვამთ, ვგდებულიყავი ჩემს ადვოკატზე, რა ჩემი საქმე იყო ასკილისა და მაყვლის წვენი, მაგრამ არ გამდა დედთქვენის მუცელი, ახია, ახიიი!... — მწარე გმინვასავით აღმოხდება შოშისა და ცრემლებით ასველებს თავისი ბარტყების სურათს.

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის თენგიზ მაისურაძის შესრულებაში შოშის შინაგანი სამყაროსთვის დამახასიათებელი ეს თვისებები კარგადაა მივანებული და გამოკვეთილი.



საინტერესო სცენური სახე შექმნა რესპუბლიკის დამახარებელმა არტისტმა ლეო ანთაქემ. მის გმირს (ჭეიშვილს) ნაწარმოებისა და პეისის მიხედვით სსსრ-ის, ანტიკლტურ, ეროვნულად გამოუვალ მდგომარეობაში უხდება ყოფნა და მოქმედება; ჯერ ერთი — საყოთარ ვერაღებზე უარს აცხადებს იმ მოტივით, რომ გარეგნულად მას არ დაემსგავსენ, რისთვისაც ალემენტის გადახდაზე კატეგორიული უარი განაცხადა და სწორედ ეს განაღდა მისი დაპატიმრების მიზეზი; საპრობილემო კი პატიმრებმა დააჯერეს, რომ დიდი ნემსი, რომელიც მას აქ მოსვლამდე გაუკეთეს — მამაკაცობას უკარგავს ათი-ათხუთმეტე წლით და ამ საქმეს მხოლოდ ვრცელი განცხადების შედგენითა და გაპარტისტებით ეშველება. ლეო ანთაქე — ჭეიშვილი ამინგარტის ესოდენ შეუწყნარებელი, უსამართლო „გადაწყვეტილების“ გამო, იგი მზადაა არათუ განცხადება „რომანიც კი შეთხზას, ოღონდ ეშველოს რაიმე მის უბედურებას. ამ დაბნეულობასა და შეძრწუნებას ზეაწეული თეატრალიზმითა და ფერადოვნებით წარმოგიდგენს მსახიობი.

ნაწარმოებისა და სპექტაკლის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა ტივრან გულთიანი. ამ როლს ბრწყინვალედ ასრულებს უდავოდ ნიჭური მსახიობი გივი ბერიკაშვილი. მსახიობის თამაში გვიზიდავს სისადავით, ძალდაუტანებლობით, ბუნებრივობით. იგი არსად არ სარგებლობს როლის მომგებიანი ბუნებით. ვადატრით და სუბსტიტს სიმართლიანად, უგულვებელყოფს წარმოსახვის ვარგველ ეფექტებს. გ. ბერიკაშვილი მიჰყვება სპექტაკლის განვითარების ლოკალურ კანქსს, რითაც ორგანულად ერწყმის დადგმის მილიანობას.

ასეთივე კოლორიტული პერსონაჟია გიგლა მოშიაშვილი. ეს სახე მკვეთრი დამახასიათებლობით წარმოგიდგინა ნოდარ მგალაბლიშვილმა. მოშიაშვილი ერთი შეხედვით მშობიარა და უმწეო ადამიანია, რომელიც მზადაა ყველას მოუხაროს თითი, იგი ყოველგვარ კომპრომისზე მიდის, ოღონდ მას არ შეეხონ. სხვა პატიმრებთან შედარებით მოშიაშვილი ყველაზე უღარდელიცაა. რადგან დარწმუნებულია, რომ საკანში მის ღიბხანს არ ამყოფებენ მეგობარი საქმოსნები მის წონა ფულს დადებენ და ერთ მშვენიერ დღეს ზედამხედველი დაუძახებთ: „მოშიაშვილი ბარკია“.

საკანს ჰყავს ზედამხედველი, რომელიც ნემსით თუ უნებლიეთ, თითოეული პატიმრის ყოველდღიური ყოფის მეთვალყურეა. შინაგანად იგი საღდაც უთანაგრძობს პატიმრობაში მყოფთ, მაგრამ ამის გამოძედავების უფლება მას არ

გააჩნია, თავისი კეთილგანწყობა უნდა შეძლებდეს, ვინაიდან ციხის კანონი ამის მოითხოვს. ზედამხედველის ამ „ფუნქციების“ შესრულებას ცხოვრებისეული სიმართლით გადმოგვეცმს მსახიობი სოსო გოგიჩაიშვილი.

პატიმართა ცხოვრებაში კეთილ ფერისავეით შემოიჭრება ნუნუ ექიმი (მსახიობი ზაზა ლებანიძე). მისი ყოველი გამოჩენა მზის სხივზე უფრო ცხოველმყოფლად მოქმედებს თითოეულ მათგანზე. მართალია, ყველა ტკივილს „ლუმინალით“ მყურნალობს, მაგრამ რომელი წამალი შეეღრება მის გვერდით თუნდაც ერთი წუთით ყოფნას... რითი გვიზიდავს ზაზა ლებანიძის ნუნუ ექიმი? — შინაგანი სიფაჭიზით, სულიერი სილამაზით, კდემაროსილებით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გამოძიებელთა (მსახიობები ოთარ ქუთოელაძე და ირაკლი ბალოაშვილი) ბუნებრივი თამაში. მათი შესრულება განტვირთულია ყოველგვარი პათოსისა და მანერულობისაგან, როგორც, რატომაც, ხშირად გვიხსიათებენ ხოლმე სცენადან მართლმსაჯულების წარმომადგენლებს.

საგანგებო გამოყოფის ღირსია ქართული სცენის აღიარებული დიდოსტატის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასაძის მიერ დიდი სითბოთი გამოქრწილი ისიდორე სულარიძის სახე. ა. ვასაძის გმირი ყველაზე სიტყვაძუნწი პატიმართა შორის, მაგრამ მის დუმბლში იმდენი რამ არის ჩაქსოვილი, მსახიობის თვალები იმდენ განცდას ირეკლავს, რომ სიტყვაზე არანაკლებ ძლიერ ზეგავლენას ახდენს მსყურებელზე. ამ სანდომიანი, ხანდაზმული კაცის მიმართ ფარდის გასწისთანავე შეუცნობელი სიმპათიით იმსკვალებით. მიუღ რიგ სცენებში ის ისიდორე თავისთვის ზის გარინდული, არაფერში არ ღებულაფს მონაწილეობას, მაგრამ შეუძლებელია მივიწყოთ მისი არსებობა, რადც ანდამატური ძალა დროდადრო აუცილებლად მიგახედებთ მისკენ და მიგახედებთ არა უბრალოდ, ინსტიტუტურად, არამედ იმ შეგნებით, რომ დიღხანს დააქერდლთ მის სევდიან, შეუცნობელი მწუხარებით აღსავსე სახეს.

ესე არ უნდა გავიგოთ, თითქმის სარეცენზიო სპექტაკლი უნაკლო იყოს. დადგმას ახლავს ცალკეული, ნაკლოვანებანი, ძირითადად ეს შეეხება ნაწარმოებას ვასცენოტურებისა და რეჟისორული გადაწყვეტის ზოგიერთ მომენტს, მაგრამ საერთო წარმართების ფონზე ეს ხარვეზი, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია.

„საბრაღდებო დასკვნა“. რუსთავის სახელმწიფო თეატრში მიმდინარე თეატრალური სეზონის ფრიალ მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშეშეგარია.

„ჭრიჭუნალი“ თელავის სახელმწიფო თეატრი ის ახულაძე-წესუბიძე

თელავის თეატრმა მყურებელს სეზონის უკანასკნელ პერიოდში უჩვენა ბელორუსი დრამატურგის ა. მაკაიონოვის ტრაგიკომედია „ტრიბუნალი“, (თარგმანი ვახტანგ კუბრაყასი), რომელშიც ასახულია საბჭოთა აღმშენებლის თავდადება სამამულო ომის პერიოდში.

პიესის მოქმედება ბელორუსიის ერთ-ერთ სოფელში მწყემს ტერეშკოს სახლში მიმდინარეობს. ირყევია, რომ ტერეშკო გერმანელების მხარეზე გადასულა და მათ ამისათვის მასასახლისობა უბოძებიათ მოსთვის. ამით გახარებული ტერეშკო ოჯახს წევრებს აძიქლებს პატივით მიიღონ გერმანელი კომენდანტი და მოლაღატ სირადოევი, ეს მამინ, როდესაც მისი სამი ვაჟიშვილი ფრონტზე გერმანელებს ებრძვის. შემფოთებული პოლინა და შვილები გადაწყვეტენ ხელი ააღებინონ მამას ამ განზრახვაზე, მაგრამ ხეყწნა-მუღარა ამაო გამოდგება. სიტუაცია უკიდურესობამდე იძაბება. ოჯახის წევრები იძულებულნი არიან თვითონ გამოედინენ მსაჭულთა როლში და გათოკალ ტერეშკოს ქაში ჩავდებიან ემუქრებიან. ბოლოს ყველაფერი ირყევია. ტერეშკო მოლაღატ არ ყოფილა, შირაქით, მოსთვის პარტიზანული დავალება მიუციათ და მტერ არაფერი. მაგრამ გაუჩრევლობა მინც იმხვერბლებს ვალოდკას სიცოცხლეს.

პიესის მთავარი გმირები მართალი და პატროსანი აღმშენებლები არიან. როცა საჭირო ვახდა მათ საშობლო ყველაფერზე მაღლა დაყენება და უყოყმანოდ გასწირეს მშობელი მამაკი ქვეყნის გადასარჩენად (ცოლისა და შვილებს მიერ მამის ქაში ჩავდების სურვილი). მართალია მასში გრძნობათა აფექტაცია უკიდურესობამდე არის წარმოდგენილი. მაგრამ მოულოდნელობა, მხვილი კონტრასტულობა ახლო დრამატული ხელოვნების ისეთ ფორმასთან როფორიც ტრაგიკომედიაა. უკიდურესობაზე აგებულ სიტუაციათა დამაჯერებელი მოქმედებით შეესება რთული ამოცანა, მაგრამ მოუხედავად ამისა კოლექტივს ეს ამოცანა დამაძყოფილებლად გადაუჭრია (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ სცენას, რომლებიც შემდგომ დახვეწას მოითხოვს).

სუბექტული დაღვა და მუსიკალურად გააფორმა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. მაცხოვანშვილმა. რეჟისორმა პიესას გამოუნახა შესაფერისი ფორმა და სუბექტული საინტერესო ვახადა მყურებლისათვის. იგი ბრმად არ მიყვება ავტორს, ეძებს ხასიათებს. სუბექტულის მოქმედების მსვლელობა და მიზანსციელები კარგად არის ერთმანეთთან შერწყმული და ამიტომ

სუბექტული ბუნებრივად ეთარღება. რეჟისორმა კარგად დინახა და საინტერესოდ წარმოადგინა პიესის სასცენო „ინტრიგა“. ემოციური სუბექტულის შესაქმნელად რეჟისორს ზოგიერთი ადგილი გაუშარბივებია და მსახიობთა მონაცემებს დაყრდნობია. ერთადერთი, რაც უნდა ვუსაყვედუროთ, ეს ის არის, რომ კარგად მოგუნებულ საინტერესო დეტალები მრავალჯერ მეორდება.

წარმოდგენის გამაჯრებების ქვეყთხელი მსახიობები არიან. რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს თინათინ ბურბუთაშვილსა და ალექსი კუპატაძეს კარგად იცნობენ თელავის თეატრალური ხელოვნების მოყვარულები. მათ არაერთი წამყვანი როლი შეუსრულებიათ და ამიტომ მყურებელთა საყვარელი მსახიობები არიან. იმედები ამჯერადაც გამართლდა.

ა. კუპატაძე ტერეშკოს სახეში საინტერესოდ გვახატებს უსუსური აღმშენებლის თითოეულ ქვესტს, სიარულს, ლაპარაკს მანერას. საერთოდ კი მსახიობი ცდილობს, რომ მისი გმირი მთლად წყალწაღებულად წარმოგვიადგინოს. მართლაც და რთული ამოცანის წინაშე იღვა მსახიობი. სწორედ ის ვითომდა უსუსური აღმშენებელი, რომელიც ხშირად სიცვლს იწვევს, წარმოდგენის ბოლოს გმირად გვევლინება. კარგია მსახიობი ფინალურ სცენაში, სადაც გაისმის აფეთქების ხმა, რაც იმის მათყუყებელია, რომ მისი შვილი ელოდვა ტრაგიკულად დაიღუბა.

თ. ბურბუთაშვილი ძალდაუტანებლად მოქმედებს. მისი პოლინა მრავალჯერ გველილი დედაა. მსახიობს ოსტატურად აქვს მორგებული პატივმოყვარე ქალის ნიღაბი და არსად არ დაღატობს სიმაართლის გრძნობა. გულიდა და ენაკვიშია იგი. ნიჭიერი მსახიობი არ ცდილობს ხელოვნურად გააცინოს მყურებელი და კომიკურ სიტუაციებში სწორი ხერხებით აღწევს წარმატებას.

პიესაში პარტიზან ვალოდკას საინტერესო სახეა გამოყვანილი. ალტაცებში მოყვარეობა ახალგაზრდა პარტიზანის მეტროლ ხასიათსა და შემართებას. გაიხსენოთ თუნდაც ვინაღუსრი სცენა, სადაც იგი საშობლოსათვის გმირულად სწირაუბ თავს. ყველაფერი ეს კი კარგ მხატვრულ ასახვას მოითხოვს. ამ როლის შემსრულებელ შ. გვიგაძეს კარგი სცენური ვარგეობა აქვს, მაგრამ ჩანს გამოცდილება აჯლი. ახალგაზრდა მსახიობმა მომავალში ბევრი უნდა იმუშაოს მეტყველების დახვეწვაზე.

ილი მონდომებით მოყიდებია ბ. ჯავახია (რესპ. დამს. არტისტი) გერმანელი კომენდანტის



როლს, მაგრამ მსახიობი რატომღაც რბილად თამაშობს ფაშისტის როლს. ყარკე იქნებოდა თუ იგი ცოტა უფრო მეტ სიმკაცრეს მოსცემდა თავის სახეს.

ჰიესის ზოგიერთი სახე სქემატურია: მავალი-თად ვალია — (მსახ. — თ. შუბლიძე), ზინა (რ თინკაშვილი), ნინა (ე. ავაზაშვილი), სინ-როლოვი (ე. თავდადიშვილი), მარგარ, მიუხე-დავად ამისა, შემსრულებლებმა კარგად გაართ-ვეს თავი დაკისრებულ როლებს.

წარმოდგენა მხატვრულად მოსაწონად არის ვადაწყვეტილი მხატვარ დ. ბლარჯიშვილის მიერ. მცირე კონსტრუქციის დეკორაცია, რომე-ლიც ფაქტიურად ქობის შიდა ხედს წარმოად-

გენს, კარგ სამოქმედო ფონს უქმნის მსახიობ-ბებს. სხვაგვარი დეკორაციის უქმნის საშუალებ-ა არც იყო სცენის სიმდიერის გამო. სწორედ არის შერჩეული კრიმი და კოსტუმები.

საერთოდ იგრძნობა, რომ მუშაობას თავისი ნაყოფი გამოუღია..

თელაველებს უყვართ თეატრი. სუპერტაკლი ხალხით ვაკედილ დარბაზში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ის სასიხარულო ფაქტიც, რომ თელავის სახელმწიფო თეატრი მალე ახალ შე-ნობაში გადავა, რომელიც როგორც ამბობენ ხოლმე, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედ-ვით შენდება.

თეატრალურ საზოგადოებაში

6 ივნისს საქართველოს თეატრალური საზო-გადოების ახალგაზრდობის სექციამ თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებასა და მო-ზარდთაყრდნობელთა ქართულ თეატრთან ერთად მოაწყო კონფერენცია თემაზე: „სკოლა თუ თე-ატრი“. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სა-ქართველოს თეატრალური საზოგადოების თა-მჯდომარემ, სსრ აკადემიის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. მოხსენიებით გამოვიდა ამავე საზოგა-დოების თავმჯდომარის პირველი მთავარი ა. იაყაშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღო: ი. ისაიამ (მე-14 საშუალო სკოლა) ა. ცხიკაძე (32-ე საშუალო სკოლა), თ. ციხისაიამ (მე-15 საშუალო სკოლა), ალ. თაბორიძემ (მოზარდ მა-ყურებელთა თეატრი). რეჟისორმა თ. მალაო-შვილმა, თბილისის მშრომელთა თეატრატრუსის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგამ თ. ივანიძემ და სხვ.

8 ივნისს საქართველოს თეატრალურმა სა-ზოგადოებამ და საქართველოს მხატვართა კავში-რმა ა. ზორაიას სახელობის მსახიობთა სახლის საგამოთვლელ დარბაზში მოაწყო მხატვრების — თ. ჭიჩიკიძის, ა. სლოვიანისა და ი. ჩიკაძის ნამუშევართა გამოთვა. გამოთვლა შესავალი სიტყ-ვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოთაველიმ ა. იაყაშვილმა. სარ-ყვებით გამოიხილნენ სსრ აკადემიის სახალხო მხატვარი უჩა გათარძიძე და რუსპოლიტის სა-ხალხო არტისტი, რეჟისორი ა. ლორთქიფანიძე.

12 ივნისს საქართველოს სსრ კულტურის სა-მინისტრომ, საქართველოს თეატრალურმა საზო-გადოებამ და მარჯანიშვილის სახელობის სა-ხელმწიფო აკადემიურმა თეატრმა შემოქმედე-ბითი საღამო მოუწყოს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ტარაელ საყარულიძის მისი დაბაოე-ბითან 50 წლისათათან დაკავშირებით. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რე-ჟისორის რუსპუბლიკის სახალხო არტისტმა, შექმნილის სახელობის პრემიის ლაურეატმა დ. ალექსიძემ. იუბილარს სიტყვებით მიმართეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ე. ვნეჯაფაი-

ძემ და ე. ვოძაშვილმა. რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა რ. ჩხევიძემ, ე. მანგალაძემ და ა. პიასკიძემ. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჭეიშვილმა. (ქუთაისი), თ. გოგო-ლაშვილმა (თელავში) და სხვ. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელთ იუბი-ლარს მოსალაბა გ. იაყაშვილი.

22 ივნისს თეატრალურმა საზოგადოებამ ა.ე. წერეთლის სახელობის ქიათურის სახელმწი-ფო თეატრთან ერთად, გამართა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ანტონ ბარათაშვი-ლის შემოქმედებითი საღამო. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ მოხსენ-ება წაითხა აქურნალისტმა რ. ხაჯასიმ.

25-27 ივნისს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად, მოაწყო დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატ-ვრული კითხვის კონკურსი. ეიურში, რომლის თავმჯდომარეც იყო მწერალთა აკადემიის მდივან-ი ბ. კლენტი, პირველი პრემია მიანიჭა რესპუბ-ლიკის დამსახურებულ არტისტს ე. ბაიკოვისს, მეორე პრემია — მსახიობ ზ. ბაქრაშვილს, ხო-ლო მესამე პრემია — რესპ. დამს. არტ. დ. ქუ-თაოვაძის და ზ. იოსელიანს.

29 ივნისს თეატრალური საზოგადოების სა-დადგმო ნაწილის სექციამ გამართა რესპუბლი-კის თეატრების სუპერტაკლების განხილვა მხატვ-რული ავტორების თალსახარისით. სხდომა შე-ნაილი სიტყვით გახსნა დ. ანთაძემ. მოხსენებე-ბით გამოიხილნენ: სახალხო მხატვარი ე. ლაშ-ვილი ხალ. დამს. მოღვაწე ა. ციკაძე და მხატ-ვარი მ. მურვანიძე. კამათში მონაწილეობა მი-იღეს: გ. ლორთქიფანიძემ, დ. თაყაიძემ და სხვებ-მა.

12 ივნისს მოეწყო თ. ჭიჩიკიძის, ა. სლოვიან-სკისა და ი. ჩიკაძის ნამუშევართა გამოთვნი-ს დასრულება. სიტყვით წარმოთქვენ დ. ანთაძემ, ე. ბერიძემ, დ. ალექსიძემ, გ. ლორთქიფანიძემ, კ. მაჩაბელი და გ. ტარაძემ.

19. 9. 89

თ. ბერიძის სახ. ს.კ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკის კულტურის მინისტრის განკარგულებაში

საბავშვო თეატრალური სანახაობანი

ხანძანე პასრამე

პირველი საბავშვო თეატრალური სანახაობების მოწყობა ცხინვალში სკოლების გახსნასთან არის დაკავშირებული. ვაზეთ „ივერიის“ ცხინვალელი კორესპონდენტი 1902 წლის № 105-ში გვაუწყებს, რომ ცხინვალის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში აღნიშნავთ რუსეთის გამოჩენილი მწერლის ყუკავსკის გარდაცვალების 50 წლისთავი. საზეიმო დღიანზე მონაწილეობა მიუღიათ მოსწავლეთა მხატვრულ თეათრომქმედ წრეებს. მომღერალთა გუნდს მასწავლებელ ვიახარივიის ლობჯინაძის შეუსრულებია რამდენიმე რუსული სიმღერა და ბავშვებს წაუკითხავთ ლექსები რუსულ ენაზე. კორესპონდენტი სიამოვნებით აღნიშნავს სკოლის ამ ინიციატივას და ბოლოს დასძენს: „სამწუხარო ვახლდათ, რომ აუარებელი მშობლები ბავშვებისა, რომელნიც დაესწრნენ ამ სალიტერატურო დღიას, იყდნენ და პირღია შესტეკროდნენ თავიანთ შვილების გალობას, ლექსების ტიტის და კი არა ეყურებოდნენ რა, რადგან მოსწავლეების მშობლებმა იხნი არ იცოდნენ რუსულისა. ნუთუ არ შეეძლოთ ამ მასწავლებელს ზიმიშავილის, ან პატრიცემულ მამა ბლანიონის, რომელიც საღმრთო რჯულის მასწავლებელიც არის, აეხსნათ, მოკლედ გადაეცათ მინც და განემარტათ რისთვის და ვისთვის გადაიხადეს ეს დღეობა“.

ამ ბავშვა მიღწეა დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ყურამდე და ცხინვალელების დაშეებულ შეცდომაზე ამ ტიპის სკოლის გახსნის შესახებ აღნიშნავდა:

„ცხინვალელები გაბრავდა ამ რამდენსამე წლის წინათ და დააარსა ნორმალური სასწავლებელი. დიდი იმედი ჰქონდათ ცხინვალელებს, როგორც რაკველს კორესპონდენტისა, მაგრამ პირველსავე ხანში დაინახეს, რომ ქართლის წიგნის რაგინს სწავლებას, რის გულისთვისაც დააარსეს უმეტესად ეს სკოლა, სრულიად ადგილი არ აქვს. დაფატურდნენ, შეუდგნენ ჩივილს, სიტყვით თუ კალმით, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, წადილი ვერ შეისრულეს, ჩვენი რა ბრალისა, პროგრამა ნებას არ იძლევა და ნორმალური სკოლა ხომ თქვენი სტრუქტურისამებრ დააარსდაო, მიიტან პასუხად“.

ამიტომ ერთადერთი საშუალება, რომლითაც ბავშვებს არ უნდა დაეიწყებოდათ ქართული

ენა, იყო კლასგარეშე მხატვრული თეათრომქმედი წრეების მოწყობა. ხალხის საყვედურებს უშედეგოდ არ ჩაუვლია და შემდგომში გამოვლინდნენ ისეთი მასწავლებლები, რომელთაც ეროვნული სული ჩაუდგეს ბავშვთა მხატვრულ-ესტეტიკურ აღზრდას და მშობელთა მოწონებაც დაიძახებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ინიციატორი იყო ცხინვალის დაწყებითი სკოლის ზედამხედველი მარიამ დავითაშვილი, რომლის ხელმძღვანელობით 1913 წლის 27 მაისს სკოლაში გამართულა საყმაწვილო-სალიტერატურო საღამო ცოცხალი სურათებით. ვაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი 1913 წლის 921-ე ნომერში გვაუწყებს, რომ „საყმაწვილო-სალიტერატურო დღიანზე მოსწავლეებმა ბევრი ლექსი წარმოსთქვეს, რომელთა შორის მოსწავლე ქუთრიშვილმა წაიკითხა აკაკის ლექსი „პატრიოტი“, რამაც ერთის მხრივ საზოგადოების დიდი აღტაცება გამოიწვია, მეორე მხრით კი აურ-ზაური“. აქ ერთი თავადი გაჯავრებულა და დაუწყია ხმაილა დაპარაკი. მოწაფეებს ლექსების კითხვა ვანუგრძობათ. ქუთრიშვილი მეორედ გამოუძახინათ და, მიუხედავად თავადის მუქარისა, ლექსი მეორედაც წაუკითხავს. მაშინ გაბრაზებულ თავდას წამოუვლია ხელი თავისი რვა წლის გოგონასთვის და წასულა ხმამაღლა ძახილით: „ჩვენ აქ იმისათვის მოგვიწვიეს, რომ შეუტაცხოვა მოგვაცენონ, აქ ჩვენი ადგილი არ არის, აქ სულ სხვა ხალხი უნდა ყოფილიყო მოწყვეული. აბრამ, ხაში, კარაბეტ, პოლოსა და ბევრი სხვა ამისთანები“.

აქედან იტყვევა, რომ შემდგომში ჩატარებულ მხატვრულ თეათრომქმედების დონისძიებებზე ყურადღება ექცეოდა არა მარტო ქართული ნომრების შესრულებებს, არამედ მის იდეურ მხარესაც. აკაკის ლექსში „პატრიოტი“ სწორედ ასეთი გადაგვიარებული თავადებია გამათრახებული და მათ ეს არ მოეწონებოდათ.

1910-იან წლებში ჯერ კიდევ ცხინვალის ნორმალური სასწავლებლის მოწაფე გრიგოლ მებურნუთოვი აყალიბებს დრამწერს თავის თანატოლებთან ერთად და ცხინვალის სხვადასხვა უბნებში მართავს წარმოდგენებს ეზოებსა და აივანზე. ამ დანში შედიოდნენ: თვითონ გრიგოლ მებურნუთოვი, ვანო ბეთაშვილი, გიორგი ცერაძე, ალექსი თედიამვილი და სხვები, რო-



მელთაგან მომავალში გ. მებურნეთოვი ცნობილი რეჟისორი და ვ. ცერაძე ნიჟერი სცენისმოყვარე გახდა. პირველ ხანებში დასწი ქალეზის როლებს ბიჭები ასრულებდნენ, ხოლო შემდეგში შეემატათ მარიამ მელქოევა (ამჟამად საქართველოს დამსახურებული არტისტი—პენსიონერი). დასმა ორი წელი იაჩრება. დგამდნენ თეატრისათვის პიესებს. გრ. მებურნეთოვი, რომელიც სხვადასხვა თეატრში რეჟისორად მუშაობდა, იკონებდა: „ჩვენ ერთი რამ ვაძლიათ — ხალხს სძულდა ბოროტი და უყვარდა კეთილი. ამიტომ ჩვენს პიესებში ყოველთვის კეთილი იმარჯვებდა ბოროტზე“.

ცხინვალის ჟმალეს დაწყებით სასწავლებელში 1920 წლის თებერვალში მოეწყო ნაძვის ხე. შესანიშნავი იყო მხატვრული ნაწილი, სკოლის მომღერალთა გუნდმა კ. წუცუბიძის ხელმძღვანელობით შესრულა ქართული სიმღერები და ციკვები. ამავე სკოლის მხატვრულმა კოლექტივმა 1921 წლის იანვარში, სასამართლოს დარბაზში ჩაატარა საღამო, სადაც დაიდგა ტარნოვსკის ერთომოქმედებიანი ვოდეილი „გაბატონებული მსახური“, ხოლო მეორე განყოფილებაში შესრულებული იყო საგუნდო სიმღერები და ლექსები. პიესაში მონაწილეობდნენ: ვახტანგ საპავლიშვილი, დ. მჭედლიძე, შ. ნასყადაშვილი, თამარ ცერაძე და სხვები. საკონცერტო განყოფილებაში წარმატება ხვდა წილად მოსწავლე ვალაქტიონ ივანიშვილს, რომელმაც ყარგი გამოქვეყნებული წიკითხა იუმორისტული ლექსი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საბავშვო მხატვრული წრეების ჩამოყალიბებას და მუშაობას ცხინვალში ფართო ხასიათი მიეცა. 1921 წლის ზაფხულში ანეტა ზახანოვა ცხინვალის საზაფხულო კლუბთან ჩამოყალიბდა ბავშვთა სიმღერისა და ციკვის ანსამბლი, რომელშიაც გაერთიანებული იყო ქალაქის ყველა ეროვნების 40-მდე ბავშვი. ანეტა ზახანოვას მუსიკალური განათლება თბილისში ჰქონდა მიღებული, კარგად იყარავდა ფორტეპიანოს და წერდა მუსიკალურ ნაწარმოებებსაც. მან შექმნა მომღერალ ბავშვთა ყარგი გუნდი, რომელიც ასრულებდა ქართულ, რუსულ, სომხურ და ოსურ სიმღერებს ფორტეპიანოს თანხლებით. გუნდში მონაწილეობდნენ მარგო და ანა მებურნეთოევი, ვარა, ელენე და რუბენ მელიქოევი, მარო კობაძე, ნინო ზასოხოვა, სოფიო და დათიკო ტერსტეფანოევი, იური და ნელი ნაზაროევი, ამ წერილის ავტორი და სხვები. სიმღერის გუნდიდან ერთად მუშაობდა ქართველი მუსიკალური ჯგუფი და დრამატული წრე მასწავლებელ ვარო მღვბროვას ხელმძღვანელობით. მხატვრული კოლექტივის პირველმა სექტაკლმა, რომელიც საზაფხულო კლუბში ჩატარდა, ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. დაიდგა პიე-

სა „ზიძია“ ქართულ და სომხურ ენებზე, ხოლო გუნდმა შესრულა მრავალი საბავშვო სიმღერა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად საბავშვო ციკვის გოგონების შესრულებით. საზოგადოების თხოვნით საღამო-კონცერტის პროგრამა განმეორებულ იქნა, ანსამბლში ნაყოფიერი მუშაობით გატარებული შინაარსიანი ზაფხული დღესაც ტკბილად აგონდება მის ყოფილ მონაწილეებს.

იმევე ზაფხულს ცხინვალის ქართული სკოლის მასწავლებელმა სოფიო კობაძემ, რომელსაც სცენაზე მუშაობის საცამო გამოცდილება ჰქონდა, ჩამოყალიბა მოსწავლეთა ქართული დრამატული დასი, რომელმაც პირველი სექტაკლი სათვის მომზადდა საბავშვო პიესები: „ტყუილის ტყუილი მოსდევს“, „უმცროსი“ და „საკონცერტო განყოფილება“. დასში შედიოდნენ: თამარ ლაშხი, ნადია ცერაძე, მინდლორა და ანიკო ხშიადაშვილები, ტასო ჭამბურიძე, მარო კობაძე, სევერიან არსენიშვილი, ივორგი მისურაძე და ამ წერილის ავტორი.

სექტაკლი ჩატარდა საზაფხულო კლუბში, იელისში, სექტაკლს დიდძალი ხალხი დაესწრო. განსაკუთრებული წარმატება ხვდით წილად თამარ ლაშხს, რომელიც პიესა „უმცროსში“ მთავარ როლს თამაშობდა და მინდლორა ხშიადაშვილს მთხოვრის როლში. საკონცერტო განყოფილებაში შესრულდა სიმღერები და კრილოვის ივგა-არაქების „კვარტეტის“ და მგელი და კრავის“ ინსცენირებები; აგრეთვე წიკითხის ლექსები. სოფიო კობაძე ამ დასს შემდეგვითაც ყარვა ზანს ზელმძღვანელობდა და რაკი ქართულ ენაზე საბავშვო პიესები ნაკლებად იყო, ზშირად იგი რუსულადან თარგმნიდა შესაფერ პიესებს. ამ დრამატულმა წრემ თავის მუშაობის ორმა კვალად აღტოვა და ბევრი ყარვა თეატრალი აღზარდა.

1923 წელს, ჯერ კიდევ საშუალო სკოლში მოსწავლემ ევეგენია ხეთაგურიამ (ამჟამად საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი) ჩამოყალიბდა რუსული საბავშვო დრამატული დასი და წარმოადგინა პიესა „გნომების მოგზაურობა“. სექტაკლი ძალზე დამაზად იყო გაფორმებული და მრავალი სიახლე იქნა ნაჩვენები — პანტომიმური სცენები, საბავშვო ციკვები, გამოყენებულ იქნა განათება და სხვა, რამაც სექტაკლს დიდი წარმატება მოუპოვა.

1924—1925 სასწავლო წელს ცხინვალის ქართულ შეიღწილან შრომის სკოლაში მასწავლებელთა მაღალკვალიფიციურმა კადრმა მოიყარა თავი. აქ მუშაობდნენ კოლა კასრაძე, ა. მელქოევი, ოლღა სოლოდამვილი, ნინო ჩოჩიევა, შიხელ ჩიტაივი და სხვები, რომელთაც მრავალი სიახლე და ინტერესი შეიტანეს სკოლის ცხოვრებაში. სასწავლო წლის ბოლისათვის მასწავ-



ლებლების კოლა კასრადის, ვასილ იარალოვის, მიხეილ ლიპის და სხვათა ხელმძღვანელობით საზღვრულ კლუბში ჩატარდა ქართული მწერლების დანიელ ჭონქაძის და იოსებ დავითაშვილის ლიტერატურული-შემოქმედებითი საღამო დაიდგა ვიგო ხეჩუაშვილის პიესა „მუშა ვეოსანი“, რომელიც ასახავდა მწერალ იოსებ დავითაშვილის ცხოვრებას; მოეწყო „სტურამის ცინის“ გამირის ვარდოს ლიტერატურული ვასამართლება და საკონცერტო განყოფილება. ბიესამ, რომლის დადგმაც ვასილ იარალოვს ეკუთვნოდა, ძალზე კარგად ჩაიარა. ასევე მაღალ დონეზე ჩატარდა ლიტერატურული ვასამართლება და კონცერტი, სადაც გუნდს ხელმძღვანელობდა მასწავლებელი მიხეილ ლიპაძე.

1927 წელს სამხრეთ ოსეთის ცაკის ბავშვთა კომიტეტთან ჩამოყალიბდა საბავშვო დრამატული დასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა რეჟისორი გრ. მეტურნუთოვი. მან შეარჩია ქალაქის სკოლებში სასცენო ხელოვნებით დაინტერესებული ბავშვები და გააერთიანა ამ დასში. დასი მუშაობდა პროფესიულ საწყისებზე და საღამო-წარმოდგენებს ატარებდა მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე. ამ დასიდან შემდეგში აღიზარდა რამდენიმე პროფესიონალი მსახიობი, მათ შორის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ივანე შახელი და თამარ ვასანოვა. ვრ. მეტურნუთოვი ცალკეული დადგმებისათვის იწვევდა სპეციალურ მხატვრებს და მუსიკალურ გამფორმებლებს. ამ დასმა ორი წელიწადი იარსება და ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქალაქის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

1931 წელს მუსიკის მასწავლებელმა ანტონინა ფლიევა შეადგინა ქალაქის სკოლების ბავშვთა ჯგუფი და მათი მონაწილეობით ჩატარა საბავშვო მუსიკალურ-ლიტერატურული დილა ცხინვალის სახელმწიფო თეატრში. ამ დონისძიებით საფუძველი ჩაეყარა ცხინვალის მოზარდ-მყურებელთა თეატრს და ბავშვთა მუსიკალურ სკოლას. დილას ესწრებოდნენ ოლქის ხელმძღვანელი მუშაკები და რაკი დინახეს ბავშვთა

დიდი მისწრაფება თეატრალური სანახაობების და მუსიკალური განათლებისადმი, დააყენეს საკითხი კულტურის ამ ორი კერის გახსნის შესახებ. მოზარდ მყურებელთა თეატრმა, რომელსაც ანტონინა ფლიევა ხელმძღვანელობდა, იარსება 1936 წლამდე, რამაც დიდი როლი შეასრულა ცხინვალის მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისათვის. თეატრს ჰქონდა მრავალფეროვანი რეპერტუარი. იდგმებოდა პიესები ქართულ, ოსურ და რუსულ ენებზე. ყველა სპექტაკლი გაფორმებული იყო მხატვრულად და მუსიკალურად, ტარდებოდა კარგი საკონცერტო განყოფილებები ნიჭიერ ბავშვთა მონაწილეობით, სადაც არსებობდნენ ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ნომრებს და კითხულობდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს. ბოლო წლებში შემოღებულ იქნა თოჯინების წარმოდგენებიც. როგორც აღვნიშნეთ, მთელ ამ საქმეს დიდი მონაწილეობით და ხალისით ხელმძღვანელობდა ანტონინა ფლიევა. იგი საკუთარი ხელით კერავდა ტანსაცმელს, ესმარებოდა დეკორაციების ხატვაში და სპექტაკლებს ფორტეპიანოთი უწევდა მუსიკალურ თანხლებას. დასში გამოირჩეოდნენ ნიჭიერი სცენისმოყვარენი ეკატ. ცხოვრებოვა, იულია ხეთაგუროვა, აზა თიბილოვა, ქანტა ჩოჩიევა, ზინაიდა ჯიოევა, ჭრისტინე თელიაშვილი, არდევიან მოწონელიძე, ვალიზა შახპარონი, ბიძინა ჯიოევი, კონსტანტინე ელანოვი და სხვები. ამჟამად მათი უმეტესობა სკოლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და მუშაობს ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

1962 წლიდან ცხინვალის პიონერთა სახლთან შეიქმნა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საბავშვო თეატრი, რომელსაც რეჟისორი ოტ. ვახაევი ხელმძღვანელობს, აქვეა ჩამოყალიბებული თოჯინების თეატრი და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქალაქის სკოლებში არსებული მხატვრული თვით-მოქმედი კოლექტივებიც, რომელთა მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია ბავშვთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის დარგში.

ბერძნული ღრმავარგობა ქართულ სცენაზე

ზოთა რაპიზვილი

ზრანც ადამ ბაიერლინი (1871—1949) ავსტრიელი პროზაიკოსია და დრამატურგი, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ერთხანს ნატურალიზმის მიმდევარი იყო. იგი კრიტიკულად ეპყრობოდა გერმანიის მილიტარიზტულად განწყობილი წრეების რეაქციულ სულიკვეთებას და პოლიტიკურ ორიენტაციას. მწერლის ასეთმა იდეებმა და პოზიციამ თვალნათლავ იჩინა თავი 1903 წელს დაწერილ ორ ქმნილებაში: რომანში — „იენა თუ სედანი?“ და დრამაში: — „სალამოს დაფიონი“. ამ ორივე ქმნილებამ მალე დაიპყრო მკითხველთა და მხილველთა საზოგადოება, რაკი ომისა და მშვიდობის თემა სულ უფრო მეტად აქტუალური ხდებოდა. დასახელებულ ქმნილებებში ავტორი აყენებს იმ დროის პრუსიულ-გერმანული პოლიტიკის მტკიცეულ პრობლემატებს და ხატავს ისეთ სურათებს, რომლებიც თავისი გამოკვეთილი ტენდენციით გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე. კერძოდ დრამაში „სალამოს დაფიონი“ ურთიერთს ერწყმის აშკარა ანტიმილიტარიტული ტენდენცია და ეფექტურად დახატული სურათები.

„სალამოს დაფიონი“ ერთი საუკეთესო ქმნილებაა სამხედროთა ცხოვრებაზე დაწერილ ნაწარმოებთაგან. ავტორმა გვიჩვენა გერმანული მხედრობის ყოფა; ინტერესები და სულისკვეთება მშობლიური არმიის როგორც ოფიცრობის, ასევე ობიერი მეთორბების. აჩვენა დაპირისპირებაში და თვით შეჯახებაში სხვადასხვა სამხედრო წოდებისა და თანადებობის მქონე პირთა შორის; მათი ურთიერთობა და გაუტანლობა ადამიანის გრძნობათა სამყაროს უნახვს უბანში — სიყვარულის სფეროში.

პიესაში ჩვენ ვიკვებთ: ლეიტენანტმა ფონ-ლაუფენმა შეიყვარა და შეაცდინა ვახსიტრ ფოლკარტის ქალიშვილი კლერხენი, მაგრამ ლეიტენანტს არა სურს ცოლად შეირთოს იგი, რადგანაც საამისო უფლებას მას არ აძლევს სუბორდინაციის პიტიება. ლეიტენანტს არა სურს კლერხენზე ქორწინებით საკუთარი ბედი დაუკემბროს მდებობ, თუმცა მატოსან მოუერებს. უბედურება ტრიალდება მიხილად ფოლკარტების ოჯახში. უმოწყალოდ მიტოვებულ კლერხენი მომხდარ უსიამოვნო ფაქტში მორალურად ამართლებს ლეიტენანტს და ადინაშაულუმს მხოლოდ საკუთარ თავს. შერცხენილი და გამწარებული ვახსიტრი დამბაზის გაროლით ჰკლავს ქალიშვილს.

ლეიტენანტი ფონ-ლაუფენი თავის ყაზარმულ საზოგადოებაში გამონაკლისს არ შეადგენს. ფონ-ლაუფენს არც კი შეუძლია ამაღლდეს იდეურად და პიროვნებაში დაეახოს ჰუმანური ღირსებები. მისთვის არსებობს მხოლოდ გარეგანი საკვალეობა, რომლითაც სულთ დატკივი ადამიანები იფარავენ შინაგან საკუთარ არარადობას და სიყარბიელს. სამხედრო სამსახურში უფროსებისადმი მონური მორჩილებს შედეგად

მას დასჩლუნვებია გონება და გრძნობა. შემორჩინია მხოლოდ იმისი უნარი — ვერ დაინახოს თავისზე უმცროსი, უგულვებებუქვის პატივად ადამიანის პატიოსნება. სათონება და თავმოყვარება, პრუსიელი ოფიცერი ფონ-ლაუფენი თავისი სამხედრო გარემოს ტიპური ნაშეირია — უფროსების ტრფიალი და ქვემდგომების მოძულე.

დიდი ორიგინალობით არც კლერხენი გამორჩევა. მისი ბედი რამდენადმე ჩამოგავს ლესინგის ემილია გალოტის იღბალს. კლერხენიც იღუპება საკუთარი მამის ხელით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ოლიაროდ გალოტიმ ემილია წინასწარ იხსნა შესაძლებელი მორალური დაცემისაგან, კლერხენი კი სიკვდილის წინ უკვე დაეცემულია, შევიწხებული და შელანძმული. ფიზიკურ განადგურებაზე ბეგრად აღრე იგი განადგურდა მორალურად. მომავლდები კლერხენი მადლობას სწირავს თავის მკვლელ მამის სულიერი ტანჯვიდან განთავისუფლებასათვის. ამ ნაკლებს მიუხედავად, ვეროპის სცენებზე ბაიერლიანის პიესას უდიდესი წარმატება ჰქონდა.

ბაიერლიანის პიესა „სალამოს დაფიონი“ ქართულად „სამხედრო ბანაის“ სახელწოდებთ იღმეგებოდა. პირველად იგი დაიდგა თბილისში 1906 წლის 26 ოქტომბერს აკაკი ფაღვას თარგმანით და ვ. გულისა რეჟისორობით. პიესა მეორედ თარგმნა ალექსანდრე იმედაშვილმა და წარმოადგინა თბილისის დრამატულმა დასმა თავისი გასტროლებს დროს 1907 წლის 1 აპრილს. ეს დადგმა იხილეს აგრეთვე ახალსენაკისა და ფოთის მაცურებლებმაც. ორივე ქართულ დადგმაში წინ წამოწყული და გამკვეთებული იყო გერმანული მხედრობის ყველა ის თვისება, რაც შემდეგ აშკარა მილიტარიზმსა და შოინიზმში გადაიზარდა. პიესის ჩვენებით შეინდებულად სააშკარაოზე იყო გამოტანილი მეფის რუსეთის სამხედრო ნაწილების ყოფა, მათში ვაბატონებელი ადამიანის სულსშემხეთავი პირობები.

პიესასა და მისი ვასცენურების შესახებ ქართულ პერიოდიკაში განსხვავებული მოსაზრებანი გამოითქვა. ზოგს ვერ აწყყოფილებოდა პიესის იდეის გახსნის ლოგოკური თანმიმდევრობა. ხოლო სხვებს ხიზალუდა სამხედროთა ყოფის რეალისტური სურათების ექნოა. მაგალითად, ვახუთი ამგვობარა“ აღნიშნავდა: ბაიერლიანის დრამა იმითმდ ვერ აყაყოფილებს მაცურებელს, რომ მწერლის ძირითადი აზრი, აშკარა განზრახვა, არ არის აქ მხატვრულად თანდათანობა ვანეთათავებულ. პირველ სამ მოქმედებასა სიცოცხლე აკლიათ, თითქმის ყაზარამად და იმისმა მკვდარმა წესრიგმა თვით ავტორიც დაჩაჯარა, იგი ვერ მოერია ამ მკვდარ მასალას და ცოცხლად ვერ წარმოგვიდგინა თვალწინ. ვახუთი მსკელობას უფრო ანზოგადიებს და შეამდეგ დებულებას ვეთავაზობს: „ღრამა მხოლოდ მა-



შინ იზიდავს მძლავრად ადამიანის ყურადღებ-
ბას, როცა ავტორი თავიდან ბოლომდე დაგვი-
ხანავებს თავისი აზრის ზრდა-განვითარებას,
ამოარჩევს აღამიანთა ცხოვრებაში საყურადღე-
ბო მოვლენებს, ცოცხალის აზრით გადაბმულ
მომენტებს, როცა თვითიული სცენა თითქო
გაუმხელს მაყურებელს მოქმედების შემდგომ
მიმდინარეობას¹.

ბიერლიანის პიესის ღირსებაზე ლაპარაკობს
ავტორთვე ვაგნთი „თეატრი და ცხოვრება“. ავ-
ტორმათ, წერს იგი, „შეიქვირტა სამხედრო ყა-
ზარში, მან სავსებით გადმოგვცა ამ დაწესე-
ბულების ორგანიზაცია, სადაც თვითიული წევ-
რისაგან მოითხოვენ ბრმა მორჩილებას, დაუფიქ-
რებელი ბრძანების ასრულებას, რიხიან და მკა-
ფით სიტყვა-პასუხს, სიმართლასა და სიმკაც-
რეს“².

როგორც არ უნდა იყოს აზრთა სხვადასხვაო-
ბა, ბიერლიანის პიესა მაყურებელმა ინტერე-
სით მიიღო. გ. ბუნნიკაშვილის მართებული აზ-
რით ქართულ სცენაზე ამ ნაწარმოების წარმა-
ტება გაბირობებელი იყო მისი საინტერესო
შინაარსით. მასში გამოსახული იყო სამიპერა-
ტორო გერმანიის სამხედრო წრეების ცხოვრება,
მისი წოდებრივი ხასიათი, თვითერთა კასტის
ქედმაღლობა გარისკაცთა მიმართ. სწორედ ასე-
თვე ხასიათის იყო რუსეთის სამიპერატორო
ჯარი, და ეს ანალოგია იზიდავდა ცარიზმის მი-
მართ მტრულად განწყობილ ქართველ მაყუ-
რებელს³.

ავსტრიელი პროზაიკოსი და დრამატურგი
ფლიპ ლანგმანი (1862—1931) სამოღვაწეო
ასპარეზზე გამორჩა გასული საუკუნის დანა-
სრული და ეგონათ, რომ მისი სახით ლიტერატუ-
რა და დიდი სოციალური პრობლემების მწერალი
მოგვედეს; კრიტიკოსთაგან ზოგიერთი მას ავსტ-
რიელ გერპარტ პაულტმანს უწოდებდა. მისა
პირველი ქმნილებები, მართლაც მწერლის
დაბრკელებულ ნიშნულს და სოციალური პრობლემებით
ღარკეთილსებზე მეტყველებდნენ, რის გამოც
ლანგმანის შემოქმედებითი ევოლუცია კრიტი-
კოსებში თვითიანი თვალთი უცვლელდნენ, მაგრამ
მომდევნო პერიოდის ნაწარმოებებმა გააწვლილეს
ლანგმანის პატივისცემლები, რაკი ისინი ვეღარ
იდგნენ აბრეულ ქმნილებათა იდეურსა და
მხატვრულ დონეზე.

ქართულმა მაყურებელმა გაიცნო ლანგმანის
ამჟრას ტენდენციური ხასიათის ორი პიესა, რომ-
ლებშიც ელენდება ავტორის დანიტერესება სა-
ზოგადოების დემოკრატიული ფენების თანამედ-
როვე ყოფით და მომავალი ცხოვრებით: „ბარ-
ტელ ტურაზური“ და „კაპარალი შტეერი“. ნატუ-
რალისტური სტილი დაწერილ „ბარტელ ტურა-
ზურს“ ხშირად აღარებენ პაუტმანის „ფიქ-
რებს“. რადგანაც ავტორი მასში თვალსაჩინოდ ხა-
ტავს ფაბრიკის მუშათა გაჭირვებასა და გაფიცვას,
იმ ტანჯვასა და ეყებას—აქსემობიანათვის ბრძო-
ლაში რომ იტანს მშრომელი ხალხი, სამღებროს

მუშებს — ვიგებთ პიესიდან, — მოუწევია
გაფიცვა, რომელიც გრძელდება ორ კვირისმდე
მეტე. გაფიცულებმა იციან, რომ უნდა დაიღუ-
პონ უფროსები, რომლებიც მათ ყვლეფენ და
ყენებენ მორალურ შურისასყოფას; რომლებიც
განუკუთხავად ავლებენ ფაბრიკიდან მოხუც მუ-
შებს მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ იქნებოდა
მუშობა მთელი დატვირთვით. და იქნებთან
მღებავები გაფიცულები მანამდე, ვიდრე არ
დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნას — არ მოუ-
მატებენ ხელფასს. გაფიცულთა შორის განსა-
კუთრებით აქტიურობს ბარტელ ტურაზური —
ოღესობაც მეტადი რეცხური ოჯახის უქანსა-
ცნელი მემკვიდრე. იციან რა მისი ავტორიტეტი
მუშათა შორის. უფროსებს სურთ მოისყიდონ
და ჩააფიქონ ბარტელ ტურაზური; ერთხანს ავი
მტკიცედ იცავდა მღებავების საერთო გადაწყვე-
ტილებას გაფიცვის ბოლომდე მიყვანის თა-
ობაზე. მაგრამ შემდეგ, მშვიდი ბავშვების და
სნეული მუშულის შეწყურებ, ვიღარ გაუძლო
ცდუნებას და მიიღო უფროსების მიერ ოსტატრი
კლუპელის ხელით შეთავაზებული დიდი თანხა.
ბარტელ ტურაზურმა ამ „ძღვევის“ საფასურად
უნდა დაიწყოს მუშობა ფაბრიკაში, ხოლო სასა-
მართლოში უნამუსო კლუპელის გასამართლებ-
ლად მოისყ ყალბი ჩვენება თავისი თანაგაფიცუ-
ლი მღებავი ქაილის ინტერესების საზიანოდ. რა-
კი ტურაზური მოისყიდეს, უფროსებმა სამღებ-
როდან დაითხოვეს გაფიცულები, ხოლო მოსა-
მართლებმა კლუპელი გაამართლეს, გამოაცხა-
დეს პატიოსან და უდანაშაულო პიროვნებად.
ტურაზურის საქციელი აღმოვათებული მუშე-
ბი ჩაქოლვას უპირებენ მოლაპატესა და ვიკის
ვამტებს, ქვებით უფროსენ ფანტრებს.

ტურაზურის „ბედნიერება“ აღმოჩნდა მეტად
ხანმოკლე. დღენიდაც შიმშილს მიჩვეული მისა
ორი შვილი დაიღუბა უზომოდ გაძლიერდა
ვად. თვით ბარტელ ტურაზური ჩაყარდასილა
სულიერ დეპრესიაში; ზურგმეკეცული ყვილას
მიერ სამწიფე მარტოობას განიცდის. როცა
ტურაზურის შეუღლები დანაშაულს, მიუტევე-
ბენ საქციელს, ტურაზური გადასწყვეტს ძვილი
დანაშაული გამოისყიდოს ახალი კეთილი საქ-
მიებას ჩადენით. ავფიკატის დანაშაულებით იგი
ყველას აუწყებს სიმართლეს და მაშინ, მართა-
ლოა, პირდად ტურაზურს დასჯიან, მაგრამ გა-
მართლებენ უდანაშაულო ადამიანებს, ხოლო
ბოროტმოქმედსა და გარყვნილებს სისუსთავენ
თავისას — დასჯიან კანონის მთელი მიხატკიკათ.

იგი მოიხდის სასჯელს და შემდეგ იცხოვრებს
ისევ პატიოსან ადამიანად. ტურაზურის ცხოვ-
რების ჩვენებით ავტორი გარკვევით ავითარებს
იმ აზრს რომ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა
და სულმოკლეობა ადამიანს ვერ იხსნის გა-
ჭირვებიდან. ნამდვილი ბედნიერება ხალხთან
ერთად ყოფნა და არა მისგან განდგომა. თუშკა
პიესაში მახვილი უფრო ვიდრე გაყოფილთა
ბოროტების მხილებაზე, მეტად ბოროტების
წინააღმდეგ შეგნებულსა და იღურ ბრძოლაზე.
მინც „ბარტელ ტურაზური“ რჩება მუშათა
ცხოვრების თემაზე დაწერილ საუკეთესო პი-
ესად პაუტმანის დრამასთან ერთად. თუ იმა-
საც გავსებენ, რომ პიესა დაწერილია დიდი
სცენური ნიჭით, კარგად მოფიქრებული მიზან-
სცენებით და ლოკუტურად განვითარებული მოქ-
მედებით, მაშინ ადვილი წარმოსადგინებ იქნება,
თუ რატომ ხვდა წილად ეგოლენი წარმატება
ლანგმანის პიესას, როგორც თავისი სამშობლოს,
ასევე სხვა თეატრების სცენებზე.

¹ „მეგობარი“, 1906; № 53, 28 ნოემბერი, გვ. 3.

² „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 28, 26 სექტემბერი, გვ. 15-16.

³ გ. ბუნნიკაშვილი, გერმანული დრამატურგია ქართულ სცენაზე, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, №10, გვ. 26.



„ბარტელ ტურაზერი“ დ. ბაქრაძისეული თარგმანით წარმოადგენს პირველად ქუთაისში 1906 წლის 21 ნოემბერს მეორედ — თბილისში მიელი ათი წლის შემდეგ, 1916 წლის 9 მარტს, სცენური თვალსაზრისით ქუთაისის სამოქმედოებანი სპექტაკლი მეტად მისაწყენი და გაკაინურებული აღმოჩნდა. მაგარა იგი მკაცრულად მანაც ინტერესით მოისმინა. რაკი მისი შინაარსი ეგებოდა ზოგიერთ ცხოვრებულს და საკრეატარაჲო საკითხს. დაის მსახიობებიც სათანადოდ მომზადებულიყვნენ და სწორედ მათი კარგი თამაშის მეშვეობით არ იგრძნობოდა პიესის ნაკლოვანი მხარეები. რეჟისორი განსაკუთრებით ცდილა შესაფერისად მოეწყო სცენა. წარმოდგენას საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვა. თვით ბარტელ ტურაზერის პასუხსაგები რთლი კეთილსინდისიერიად და წარმატებით შეუსრულებია გ. თუთბერიძეს: სხვა მსახიობებსაც შეუწყვიათ ხელი ანსამბლის საერთო წარმატებისათვის. სამუხებოდ იგივე ვერ ითქმის თბილისურ დღეგმაზე. გარდა იმისა, რომ „ბარტელ ტურაზერი“ თბილისელებმა კარგად ვერ გასცილურეს, არც მსახიობები იდგნენ ჯრღოვან სიმბოლზე. მოთამაშეთაგან გამოირჩეიდა მხოლოდ ალ. იმედაშვილი; აგრეთვე — ნ. მკვლდიველი, რომელიც ტურაზერის შვილის — ბართლომეს — როლს თამაშობდა ბავშვური გრძნობიერებით, სიცოცხლითა და სიმკვარცხლით.

1906 წლის 19 იანვარს თბილისში წარმოადგინეს „კაპრალი შტეერა“, რომელსაც იროლიანე ევლოშვილის თარგმანში „ახალი ძალა“ ერქვა. „კაპრალი შტეერა“ თავისი სულსკვეთებით ამკარად ტენდენციურია, ხოლო მეოთხედ — ნატურალისტური. ერთი ოჯახის ცხოვრების მკალოთზე, მასში ნაჩვენებია წარმოების კაპიტალისტური წესის ზეგავლენით საზოგადოების ამკარა გადაჯვარება, დამლა და გახრწა.

პიესის მოქმედება სწარმოებს მორავიის ერთ-ერთ სოფელში, რომლის ბინადარი გერმანელიც ძირითადად შუშის ქარხანაში მუშაობთ ირჩენს თავს. მასაზრდოებელ წყაროსთან ერთად ეს ქარხანა მახლობელი სოფლების უბედურებისა და გაკირვების მიზეზიცაა. ამ ქარხანაში მუშაობისა დალაჲა ხელისანი შტეერა, რომლის დაობლებული ოჯახის ყოფა პიესის ძირითადი თემაა. ქალბატონმა შტეერამ სახელდაბელოდ გამოაგოვა ქმარი, მოზალო თანამეცხედრედ შეარჩია თავისი შესავფერისი თვექარაანი, თუმცა შეძლებული გლეხი. დედას არაფრთ ჩამოუვარდებია უმცროსი ვაჟიშვილი ანტონი და დელოლი ქალიშვილი — ანა. ეს უყანასქენელი, გახანებული და შერცხენილი, უყანონოდ ვაჩნელი ბავშვთან ერთად, მატალო დანონშულმა; ხოლო ანტონი, თავდაც ვარყველი და ზნედაცემული, გადაეცილება არანაკლებ უზუნეოსა და უსარეხლო ტურეზას, რომელსაც საკუთარი დედა, ქალბატონი შოპთი, ყოველწარად ენებრება ავტორიტეტისა და ბორიტანზრახელობაში. მთელ ნაშრომსა და ნაშაპარს, ანტონი ახარგებს თავისივე ხასია ოჯახს. ერთადერთი არსება, რომელსაც ოჯახში შერჩენია ადამიანური ღირსება და მორალური სისპეტა-

კე, არის ლეიზა, ნაშვილობი და სამადლოდი აღზრდილი, გულბერკეული გოგონა.

შტეერა ოჯახის წევრები შშით მიოლიანე უფროსი ვაჟიშვილის — ლუკას — ჯარიდან დაბრუნებას, შებდალოლი სინდისისა და შეგინებულ რეპუტაციის გამო მათ ერიღებთ ლუკასთან შეხედარა, და როცა კარალი შტეერი მართლაც დაბრუნდა, მან ირავლოდ დაინახა მხოლოდ ნივთიერი ზელოკლობა, ვინებრავი ჩამორჩენილება, ზნეობრივი ვარყველობა და გაათახსირება. ჯერ კიდევ ჯარში წასვლამდე მკიცეე და შეუღოვარი, პირდაპირი და ვაეკუტური ლუკა კითხულობდა ვინების სავარჯიშო წიგნებს და სხვათა გათვითცნობიერებასაც ლაზობდა. ლუკას ჯარში თავისი ვინების სალაო სხვა ვამქრიაბ ადამიანებთან სიახლოვით ვაუშმდირებია. დატვირთული ახალი სოციალისტური იდეებით, ლუკა მოყვასთა ბელზე ფექრობს, ძელო ყოფის ალკეეკასთან ვერსად, ახლის შექნაზე ოცნებობს. მის ლეე თანდათან ჩამოყალიბდება ორი მიზანი: დარღვეული ოჯახური პარმოიის აღდგენა და ვარემომცველი საზოგადოებრივი ყოფის ვარდაქმნა.

„ახალი ძალა“ ჩვენი თეატრის ისტორიაში ჩაითვლება თავისებურ მხატვრულ მოქმენად. კრიტიკამ მართებულად შვაფასა სპექტაკლის ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები, ამასთანავე, მიუთითა თვით ფ. ლანგმანის პიესის ღირსებაზე. „ცნობის ფურცელი“ აღნიშნავდა: ლანგმანის დრამაში აღწერილია სიღარიბით და უპეობით ტანჯული მუშეობის ცხოვრება. მარტო ეს ვარემობაც საინტერესოდ ზღისო დრამაა. დღემდე იშვიითაო ისეთი ნაწარმოები, სადაც ქარხნის დიღური მუშეობის ნამდვილი ცხოვრება იქნება ნაჩვენები. ბელეტრისტიები და დრამატურგები, თითოოროლას ვარდა, თავიანთ ქმნილებაში თითქმის არ აქციენენ ყურადღობას მწრომელთა ლაისის არ ვაგუფს. ლანგმანის დრამა მარტო ამ მხრეაც საინტერესოა. ამას ვარდა, დრამა ნამდვილი ნაწარმოებია, მადლოანი ხელით დასურათებული და ცხოვრების სიღრმისად ვადმოღებელი. ავტორი აშკარად გვიმტკიცებს, რომ ყოველივე უბედურება ამქვეყნად შედგება დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილობისა, იმ უთანასწორობისა, რომლითაც ადამიანთა შორის დოვლათია ვაწაწილებული. თუ ლანგმანის ვმირები ცუდ საქმეს სჩადიან, ვარყენილებას მისდევენ და ავკაცობას არ ერიღებენ, ეს მხოლოდ ლუკამ პულისათვის ხდება.

ლანგმანის პიესის ღირსებებზე ანალოგურად მსველოდენენ აგრეთვე ვაზეთები „ისირა“ და „ჩვენი ვაზა“.

„კაპრალი შტეერის“ იდეურმა და მხატვრულმა ღირსებებმა ვერ უზოუნველჲყვეს „ახალი ძალის“ სპექტაკლის წარმობება. „ცნობის ფურცელი“ გვეუწყებს: ქართულმა მსახიობებმა ლანგმანის პიესა ვერ დასძლოეს, დრამის ვმირებს ვერ ჩაებრეს ცხოვრებულყოფილობის სული; ვერ დასაღურათეს გეოქანელი მუშეობის სულიერი მდგომარობა. სპექტაკლი არ იყო შეკრული ერთ მილოან ანსამბლად; მსახიობთაგან ზოგიერთს როლი არა ჰქონდა კარგად ვაახრებულად, რის გამოც ვერ დახატეს მუშათა ყოფის სურათები. „ახალი ძალის“ სხვადასხვა დადგმების შემსრულებელთა შორის გამოირჩეოდა დამწყები მსახიობი იღენე ანდრონიკაშვილი. 1907 წელს იგი პირველად გამოსულა ტერეზას როლში და ვარეგული სიკოზტავით, ვონიერებითა და მომზადებით უმაღლე

⁴ „მეგობარი“, 1906, № 50. 24 ნოემბერი, გვ. 3.

⁵ „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 12. 20 მარტი. გვ. 15-16.



დაუპყრია საზოგადოების სიმპათიები. საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩენილა მისი თამაშით და მხურვალე ტამითაც დაუეჭილოდობია.

გერმანელი დრამატურგი გეორგ ენგელ (1866—1931) ცნობილი გახდა პოპულარისის გლეხებისა და მეთევზეების ცხოვრებაზე დაწერილი რეალისტური ნაწარმოებებით, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიესა „ნაკთსადგურში“. სახელწოდებით „ზღვასთან“ ჩვენში იგი პირველად წარმოადგინეს ქუთაისში 1907 წლის 11 ოქტომბერს, ხოლო უკანასკნელად განახლეს 1920 წლის 5 დეკემბერს თბილისის თეატრში. სამოქმედოებიანი პიესის თარგმანი შესრულებული იყო ვ. შალივაშვილის მიერ⁶.

პიესის მოქმედება სწარმოებს მეთევზეთა სოფელში ბალტიის ზღვის ნაპირას. ლამაზი და ჯან-ღონით აღსავსე ჰაინრიხ იარმერი, — ვიგებით მასში, — ბავშვობიდანვე დაუმეგობრდა ჰედვიგს. მათი მეგობრობა სიყვარულშიაც გადაიზარდა და თუ ქორწინებით არ დამთავრდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰაინრიხი სასწავლებლად წავიდა უცხოეთში. ჰედვიგმა თავი შტოგებულ ქალად მოიხრია და ბედს დახეებულ უსაყვარულოდ მისთხოვა მეთევზე კლას დრიუსს. მშვიდობიან ცხოვრებას მოყვარულა, კეთილი კლასი ხვდება, რომ ცოლს არ უყვარს იგი მთელი გატაცებით; რომ თანამეცხედრის საქციელში

იკრძობა უშუალო მოვალეობის შესრულება, ვიდრე გატაცება ახალგაზრდული გრძობით. ავტორის რეაქციური სულის დასაწყნარებლად კლასი ცოლს დაადებინებს მარადი ერთგულების ფიცს და გულდამშვიდებული წავა საქმეზე.

ექვსი წლის შემდეგ ჰაინრიხი ბრუნდება უცხოეთიდან და ირკვევა, რომ ჰედვიგი მას ძველებურად უყვარს. ჰედვიგის გულში კვლავ იფეთქა ახალგაზრდული სიყვარულის ძლიერმა ვნებამ. ერთხანს სულიერი ტანჯვისა და შინაგანი ყოყმანის შემდეგ, მან გაატეხა ოჯახური ერთგულების ფიცი, მიატოვა კანონიერი მეუღლე და უარყო პატარა ანასადმი დედობრივი სიყვარული და როცა ჰედვიგი სამუდამოდ გაჰყვა ჰაინრიხ იარმერს, იძუდამხსენებელმა კლასმა გამოსავალი თვითმკვლელობაში ხახა: უღედოდ დარჩენილ შვილთან ერთად, მან ზღვია ტალღებში ჩაიხრჩო თავი. პატარას ნაქადაგვის მოსმენით, დარწმუნებული იყო, რომ საკვდილოს შემდეგ ღმერთებმა საშუალოში დაამკვიდრებდა საუკუთოდ სასუფეველს.

იმისდა მიუხედავად, რომ პიესა მოკლებულია რაიმე სოციალურ ქლერადობას, მაყურებელმა სპექტაკლი მაინც მიიღო, როგორც ოჯახური დრამა ზოგჯერ მომენტურ კარგად ამსახველა სანახაობა. 1920 წლის თბილისურ დადგმაში კლას დრიუს ტრაგიკული განცდები მეტად კარგად განუახიერებია ა. იძუდამკვილს. ჰაინრიხ იარმერს როლში მოსაწონი ყოფილა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი მ. ქიაურელი. აქვე მოხდენილად უთამაშოთ თავიანთი როლები სპექტაკლის დანარჩენ მონაწილეებსაც.

⁶ „ცნობის ფურცელი“, 1907, №2984. 21 იანვარი.

⁷ ე. ანდრონიკაშვილის თამაშზე გულთბილად ლაპარაკობენ რეცენზენტები (იხ. „სენი გზა“, 1907, № 36 და „ისარი“, 1907, № 229).

⁸ „ისარი“, 1907 წ. № 230, 20 ოქტომბერი.

⁹ „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, № 278, 7 დეკემბერი.

ლიჯორის ხმის შესახებ

რადიულ სამეცნიერო

ლიდი ინგლისელი მწერალი, მოაზროვნე და გამოჩენილი ორატორი ბერნარდ შოუ წერდა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ არ არის უბრალო საქმე ილაპარაკო მიკროფონთან... ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც მე ორატორთა რიგებში ვიმყოფები, შევეჩვიე დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლას, მაგრამ მიკროფონი მოითხოვს მეტყველების სავსებით განსაკუთრებულ კონსტრუქციასა და თავიანთურ ინტონაციას“.

საქართველოს ტელევიზიას ყოველდღიურად მილიონობით კაცი უსმენს და უყურებს. ჩვენ არასოდეს არ გვეყოლია ამდენი მაყურებელი და მსმენელი. ამიტომ ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა დიქტორის ხმას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

როგორც ცნობილია, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების ენა გათვალისწინებულია მხედველობითი აღქმისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მკითხველს შეუძლია დაკვირვებით, აუღელვებლად ჩაუფიქრდეს სიტყვებს, ფრაზებს, წინადადებებს. რამდენჯერმე დაუბრუნდეს მათ. მაყურებელი ამ შესაძლებლობას მოკლებულია.

„როცა გაზეთს კითხულობ, — წერდა მ. ი. კალინინი, — შენ ჩვეულებრივ ყველაზე მთავარს აქცევ ყურადღებას, ხოლო მეორეხარისხოვანს ტოვებ. ეს ხდება თვალებით. მაგრამ, როცა უსმენ, აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ყოველი სიტყვის ჟღერადობაზე, იმაზე, თუ როგორ აღიქმება იგი სმენით. საქმე ისაა, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება ერთმა და იმავე აზრმა ერთნაირი ეფექტი დატოვოს კითხვისას და მოსმენისას“.

წიგნებში და ჟურნალ-გაზეთებში იპოვის მკითხველი ნახატებს, ილუსტრაციებს, რომლებიც გვეხმარებიან უფრო სრულყოფილად აღვიქვათ დაწერილი. მიკროფონის საფუძველი კი მხოლოდ სიტყვაა, ხოლო ილუსტრაციის როლი შეუძლია შეასრულოს ხმებმა და მუსიკამ. თავისთავად ცხადია, თუ როგორი ძლიერი, შთაბეჭდავი და ხატოვანი უნდა

იყოს ის სიტყვა, რომელსაც დიქტორისაგან ვისმენთ, რათა მან ადეკვატურად გადმოგვცეს სათქმელი.

როცა მასალა რადიოსათვის იწერება, უნდა ვეცადოთ ვიპოვოთ ყველაზე ზუსტი, ყველაზე ნათელი სიტყვები და შევქმნათ ამათგან ცოცხალი და შთაბეჭდავი სახეები. რადიო ვერ იტანს გრძელ, რთულ ფრაზებს. დინამიკურობა, ლაკონიურობა და სახეობრიობა — აი, რადიოს ენის სპეციფიკური ნიშნები. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ როგორი რიტმული თანმიმდევრობით არის განლაგებული სიტყვები წინადადებაში. ამას მნიშვნელობა აქვს ფრაზების სმენითი აღქმისათვის. უნდა ვერიდოთ ერთნაირად ჟღერადი სიტყვების განმეორებას.

უკანასკნელ ცნობათა რედაქციის მუშაკებთან შეხვედრის დროს მ. ი. კალინინმა მათ მისცა მითითება იმის შესახებ, რომ დაწერილი შეემოწმებინათ ხმამაღალი კითხვით, წაეკითხათ მასალა ნათესავეებისათვის, შემდეგ გადაეცათ მიკროფონით.

რადიოსმენელი და ტელემაყურებელი დღეს უფრო მეტი მომთხოვნი გახდა. მოუთმენელ მკითხველს ნაწარმოებიდან შეუძლია გამოტოვოს ესა თუ ის ნაწილი, ან მთელი თავი. რადიოსმენელი და ტელემაყურებელი ან მიიღებს პროგრამას, ან სრულებით არ მოუსმენს, ან არ ჩართავს ტელევიზორს, ამიტომ საჭიროა დიქტორის ენა გავხადოთ აზრით მდიდარი, ტემპერამენტისანი, ხატოვანი, სახეობრივი, გამომსახველი ინტონაციით.

დიქტორის მდგომარეობაც რთულია სტუდიაში. იგი შეზღუდულია, რადგან გადმოსცემს არა თავის აზრს, არამედ სხვისას, გამოდის, როგორც მკითხველი და დამოკიდებულია ავტორის ტექსტზე.

მოკლე და გამომსახველი ძალის სათაურები ყოველთვის იქცევიან მსმენელთა ყურადღებას. ამიტომ ასეთ სათაურებს უნდა მივმართოთ ხშირად გადაცემისა-



თვის, რეპორტაჟისა და გამოსვლებისათვის.

საკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ რადიოგადაცემის პროგრამის ტექსტი ხშირად დიდია, გადატვირთულია ციფრებით. დამარწმუნებელი არგუმენტაცია და ნათელი ფაქტები არცთუ ისე იშვიათად შეცვლილია გადაცემებში ზოგადი მსჯელობით. ასეთი მასალის მოსმენა კი ძნელია, მომპაწველი. ბევრი რამ არის დამოკიდებული კვალიფიცირებულ ჟურნალისტზე, მასალის ავტორზე, რედაქტორზე, რომელიც ამზადებს მასალას ეთერში გადასაცემად, შემდეგ კი დიქტორზე.

ხშირად რადიოთი მოისმენთ დიქტორის განცხადებას: „მოისმინეთ ექიმის საუბარი“, „პედაგოგის საუბარი“, „სპორტის ოსტატის საუბარი“. სინამდვილეში ესენი ჩვეულებრივი სტატიებია, რომლებიც შეიცავენ რჩევა-დარიგებას, ახსნა-განმარტებებს და ა. შ.

იმისგან დამოუკიდებლად ასეთ მასალას დიქტორი კითხულობს, თუ ავტორი, იგი მაინც არ არის საუბარი, რადგან საუბარი გულისხმობს მეტყველების დიალოგურ ფორმას. მიკროფონთან კი ამ დროს ჩვეულებრივ ერთი პირია.

ამა თუ იმ ამბის ან მოვლენის შესახებ ცოცხლად, ხატოვნად მსჯელობა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. სწორედ ამიტომ დიქტორის მიერ წასაკითხ ტექსტს უნდა საფუძვლიანი ლიტერატურული დამუშავება. ამის გარეშე მასალა ვერ დატოვებს კვალს, ვერ მიადრეკს მიზანს, ვერ იმოქმედებს მსმენელზე.

იბადება კითხვა: შეგვიძლია თუ არა მივუთითოთ ობიექტურად და კონკრეტულად, თუ რა ნიშან-თვისებების მატარებელია საერთო ქართული წარმოთქმითი მეტყველება? ამის შესახებ აკად. გ. ახვლედიანი ასეთ პასუხს იძლევა:

„ესაა თბილისის საშუალო და მომდევნო ასაკის ქართველი ინტელიგენციის მეტყველება, ის საზოგადოებრივად გასაშუალოებული მეტყველება, რომელიც წარმოიქმნა თბილისში ამ საუკუნის დასაწყისში, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უმძლავრეს გამაერთიანებელ კულტურისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ცენტრში და დამკვიდრდა მწერლობის, თბილისის უნივერსიტეტის, თეატრალური ინსტიტუტისა და

ორი სახელმწიფო (რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის) თეატრის არსებობის პირობებში და მათი მეოხებით“.

აკად. გ. ახვლედიანი თბილისის საშუალო ასაკის ინტელიგენციის მეტყველების დახასიათებისას მიუთითებს: „ესაა ნელტემპიანი, დინჯი, მკაფიო მეტყველება, რომელიც გამომუშავებულია ლიბერალ-დემოკრატიული მეტყველების საკმაოდ შესამჩნევი შეფერილობით, მეტადრე — წარმოთქმის ტემპისა და ინტონაციის მხრივ. საკმარისია შეადაროთ, ერთი მხრივ, ქართლის სოფლის მოხუცი თაობის წარმოთქმა თბილისის შუახნის ინტელიგენციისა, ან იმავე სოფლის სკოლაგავლილი ახალგაზრდობის წარმოთქმას, მეორე მხრივ, რომ აჩქარებული, მაგრამ მაინც დინჯი, მკაფიო, ტონდაბალი, სწორედ ეს წარმოთქმა ნაკლებად დამორებული ქართულ მართლწერას“. (იხ. საქ. თეატრალური საზ. მოამბე. № 4, 1963 წ.).

აქედან თავისთავად ცხადია, თუ როგორი უნდა იყოს დიქტორის მეტყველება. დიქტორად უნდა შეირჩეს საუკეთესო წარმოთქმელები, რომლებიც აკად. გ. ახვლედიანის სიტყვით, აკმაყოფილებენ საერთო ქართული წარმოთქმის ნორმების მოთხოვნებს (ზომიერი, დინჯი, მკაფიო, ტონდაბალი). დიქტორის მიზანი უნდა იყოს აზრის სწორად, ზუსტად მიტანა მსმენელამდე. ენის სწორი, წმინდა ლიტერატურული სტილი, სამეტყველო აპარატის წესიერად მოხმარების შედეგად მიღწეულ ბუნებრივი და მკაფიო წარმოთქმა (დიქცია), სიტყვის ლიტერატურული ფორმები მთლიანობაში ქმნის იმას, რასაც სპეციალისტები სწორმეტყველებას ეძახიან.

დიქტორისათვის ხმა ყველაფერია. ეს არის სწორედ მისი იარაღი. მაგრამ ყველა დიქტორს როდი აქვს ერთნაირი ხმა. სალაბარაყო ხმა შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი. დაბალი ხმა მძიმე და ბუნდოვანია, მაღალი — მკვეთრი და მშრალია და თუ იგი ყვირილში გადადის, არასასიამოვნოდ მოქმედებს მსმენელზე. მსმენელისათვის ყველაზე უფრო სასიამოვნო, ბუნებრივი და ემოციური სწორედ დინჯი, მკაფიო საშუალო ხმა. სამწუხაროდ, ყოველთვის როდი გვიხდება მოსმენა ისეთი დიქტორებისა, რომლებიც ფლობენ ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ნორმებს. ცნობილია,

რომ საფრანგეთის ტელევიზიისა და რადიომალაშობლების სამმართველოში არსებობს, მაღალავტორიტეტული კომისია, რომელიც შედგება მაღალკვალიფიცირებული ლინგვისტების, მწერლებისა და მეცნიერებისაგან, რომელთაც ევალებათ თვალყური ადევნონ რადიოსა და ტელევიზიის დიქტორების მეტყველებას, მათი ენის სინტაქსს, სტილს... ამ კომისიის მუშაობის შედეგები ყოვეთვიურად განიხილება. (ვ. მაჭავარიანი, ფრთხილად, ჟარგონი! „ლიტ. საქ“, 26. III, 1971 წ., გვ. 2).

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აკად. ს. ჯანაშია ქართული სალიტერატურო ენის საკითხებისადმი მიძღვნილი დისკუსიის დროს ამბობდა: „მე ვიცნობ ერთ მსახიობს, რომლის მოსმენისას ჩემს მხატვრულ შთაბეჭდილებას ზიანი ადგება. იმიტომ რომ ეს მსახიობი არ ამბობს „ლ“-ს ისე, როგორც ბუნებრივია ლიტერატურული მეტყველებისათვის“. (ს. ჯანაშია, შრომები, III, 1959, გვ. 229). მრავლისმთქმელია ეს პატარა დეტალი იგი, რა თქმა უნდა, დიქტორსაც ეხება.

მეტყველების პროცესში მიკროფონთან სუნთქვა უნდა იყოს მშვიდი, თანაზომიერი, მწყობრი. მთავარია ის, რომ სწორედ და ეკონომიურად ვხარჯოთ ის ჰაერი, რომელიც ფალტვებშია დაგროვილი. ყურადღება უნდა მიექცეს არტიკულაციას არ უნდა ვცდილობდეთ ხმის აპარატის ზედმეტ დაძაბვას.

კ. ს. სტანისლავსკი თითქოს პირდაპირ დიქტორებისათვის წერდა ამ სიტყვებს: „მახვილი, რომელიც არ მოხვდება განკუთვნილ ადგილს, ამახინჯებს აზრსა და

მთელ ფრაზას. მახვილი მაჩვენებელი თითაა, რომელიც მიგვიითებებს ფრაზის ყველაზე უფრო მთავარსა და მნიშვნელოვან სიტყვაზე. ამ გამოსაყოფ მახვილიან სიტყვაში არის დამალული ფრაზის შინაგანი აზრი, ქვეტექსტის მთავარი მომენტი“.

ამ მოთხოვნის დაცვით შეიძლება ღრმად ჩაწვდეს ავტორის აზრს და იგი მართებულად მიიტანო მსმენლამდე. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ფირზე ყველაფერი იწერება, გარდა უკანასკნელი ცნობებისა, დიქტორის როლი მაინც დიდია. ანბანური ქვეშარიტებაა — შეიძლება დიდი მსახიობი იყოს, მაგრამ სალიტერატურო ტექსტი სრულყოფილად ვერ წაიკითხო, არიან გამონაკლისებიც — მშვენიერი მსახიობებიც და შესანიშნავი დიქტორებიც ერთდროულად. „დიქტორი მსახიობიცაა, პედაგოგიც, ორატორიც“, — თქვა ამ ექვსიოდე წლის წინათ ცნობილმა დიქტორმა ქეთევან ლანდიამ. სწორედ დიქტორისაგან სწავლობს ჩვენი ახალგაზრდობა დახვეწილ, გამართულ ლიტერატურულ მეტყველებას.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ახალგაზრდობას დიქტორის მიერ დამახინჯებული გამოთქმაც კი სწორი ჰგონია, მაშინ მათელი გახდება ჩვენთვის ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც აწევთ ამ პროფესიის ადამიანებს.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ქართული სასცენო მეტყველების კულტურისათვის ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. კარგი იქნება, თუ დიქტორთა მეტყველების საკითხიც გახდება სპეციალური მსჯელობის საგანი.

თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა სხინვალში

23-26 ივნისს ქ. ცხინვალში გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა. სხდომის დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა: „სამხრეთ-ოსეთის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრი დღეს“.

პრეზიდიუმის წევრებმა ნახეს ოთხი სექტაკალი: ოსეთი დასის „თქმულება მარტოხელაზე“ და „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“, ქართული დასის „გლახის ნაამბობი“ და „ხანუმა“.

პრეზიდიუმის გაუარყოფელ სხდომას ესწრებოდნენ ადგილობრივი თეატრის მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, მეტრელები, დრამატურგები, პრესისა და რადიოს მუშაეები.

სხდომის განხილვის საზოგადოების თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ აღნიშნა, რომ ამ სხდომის ცხინვალში ჩატარება მიზნად ისახავს ყოველმხრივ შესწავლილ იქნას კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრის მდგომარეობა.

თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს განზრახული აქვს თეატრალური საზოგადოების ფულიად განხილავს ცხინვალში, რომელიც თეატრს ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს.

სხდომაზე ოსური და ქართული დასების შემოქმედებით ნაძმეგრებს ახალიზი გაუკეთა გ. კიხაძემ. მან გამოჰყო მალაი შემოქმედებითი დონის სექტაკლები: მ. კარიძის „მთვარის დაბნელების დაქვს“, რომელსაც მიენიჭა მეორე პრემია საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ დათვალერებაზე; ვ. ვაგლოვის „თქმულება მარტოხელაზე“ და თაბორიძის. კაჭკაჭიშვილისა და კურტიდის მუსიკალური კომედია „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“. კარგი შთაბეჭდილება დატოვა აკრეფვე ქართული დასის სექტაკლმა „გლახის ნაამბობი“.

ვასო კიკნაძემ განსაკუთრებით აღნიშნა რეჟისორისა და მსახიობების მალაი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი სექტაკალი „თქმულება მარტოხელაზე“. აქ მსახიობები თამაშობდნენ დიდი მოწოდებით და კიდევაც შექმნეს მკვეთრი, ნათელი სახეები. თვით პიესაც სანტიერესოა, მუხედრად, იმისა, რომ კომპოზიტორად სავსებით წელგამართული არ არის და ცალკეული სცენებიც გაჯანუხრებულია.

მსახიობებმა სექტაკლში „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“ — გამოავლინეს კარგი პლას-

ტიკურობა, მუსიკალურობა, რიტმის გრძნობა. ამას ვერ იტყვი ქართული დასის სექტაკლ „ხანუმაზე“. სექტაკლი დადგეულია პრიტიკულად, მასში არ არის პიესის თანამედროვე თვალთვითხვა.

სამხრეთ ოსეთის თეატრში არის ერთი კარგი ტრადიცია—ყოველ თეატრალურ სეზონში ოსური დასის რეპერტუარში არის ქართველი ავტორების 1 ან 2 პიესა და პირიქით, ქართული დასი დგამს ოსი დრამატურგების პიესებს. ამ მხრეც ცხინვალის თეატრი ახორციელებს სწორ სა-რეპერტუარო პოლიტიკას. ე. კიხაძემ აგრეთვე ხაზი გაუსვა იმას, რომ ცხინვალის თეატრის მუშაობას ძალიან ცუდად აშუქებს, როგორც ადგილობრივი, ასევე რესპუბლიკური პრესა.

გასულ წელს თბილისში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის თეატრის გასტროლები და საფუძვლიანად განიხილეს თეატრის შემოქმედებითი მუშაობა. მართალია, მას შემდეგ თეატრში მაინც დამაინც დიდი ვარაუტება არ მომხდარა, მაგრამ არ შეინიშნება უკან სვლა.

თავის გამოსვლაში რეჟისორმა კ. ლორთქიფანიძემ დაწვრილებით განიხილა ოთხი წარმოდგენილი სექტაკლი. მან ილაპარაკა იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მოახდინა მასზე სექტაკლმა „თქმულება მარტოხელაზე“, მშვენიერი აქტიორული შესრულებითა და დახვლო-ნებული რეჟისურით. შემდეგ გ. ლორთქიფანიძემ ისაუბრა მსახიობის მაღალ მოწოდებაზე, იმაზე, რომ მსახიობის შემოქმედებისათვის უნდა იქმნებოდეს მაქსიმალური პირობები.

სესიაზე გამოსულმა ამხანაგებმა: ვ. გოძია-შვილმა, ნ. შვანიტაძემ, ო. ევაძემ, დ. შველიძემ, პროდ. ს. გაბარაძემ, საქ. სსრ სახ. არტისტმა დ. მამიევმა, რესპუბლიკის დამს. არტისტებმა, ი. ჯავახიშვილმა, ნ. ჩოჩიაშვილმა, რ. პლიევამ, საქ. სსრ ხელოვნების დამს. მოღვაწემ ვ. კი-როვმა და ქართული დასის მთავარმა რეჟისორმა ვ. მოღვაძემ ილაპარაკეს თეატრის მსახიობების ოსტატობაზე, მათ მშვენიერ პლასტიკაზე, მუსიკალურობაზე, ტანისამოსის ტარების ცოდ-ნაზე, გარდასახვის ოსტატობაზე და იმ პირობებ-ზე, რაც ხელს უშლის თეატრის მუშაობაში.

სხდომის შედეგები შეაჯამა დ. ანთაძემ. დასასრულს სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. თედევანი.

3. ხარამოვი

გამოყენა მიქლვანა კუბანს სიზმონ ნაციონალი

ნათელა იანჭოშვილია საინტერესო შემოქმედებითა ვაზა ვანელი. 1937 წელს იგი შედის თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. მას ასწავლიდნენ დ. კაკაბაძე, ალ. ციმაქურიძე, მ. თოიძე, უ. ჯგერაძე, თ. აბაკელია, ს. ქობულაძე. იგი 1943 წელს წარმატებით ამთავრებს აკადემიის მოსკოვითი თიბისის კლასით, მისმა სადიპლომო შრომამ „განათვისფლებულ ქალაქში“ — 1941-45 წწ. სამამულო ომის თემაზე დიდი მოწონება დაიმსახურა. მას შემდეგ სისტემატურად ვხვდებით მის ნამუშევრებს. საინტერესოდ მონაწილეობს თბილისის, რესპუბლიკურ და მოსკოვის საცემორო გამოფენებზე, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ქართველი მხატვრების მომადგ გამოფენებზე, ქართველ მხატვართა ჯგუფურ გამოფენებზე საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

ინტერესმოკლებული არაა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1960 წელს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში მოეწყო მისი ფერწერისა და გრაფიკის პირველი პერსონალური გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო 250 სხვადასხვა ტანის ნამუშევარი. ამ გამოფენამ ხელოვნების მოყვარულ ფართო საზოგადოებაში უდიდესი სიმაჟია დაიმსახურა.

სულ პირველად ნათელა იანჭოშვილი კუბანს ესტუმრა 1961 წელს, იმთავითვე კუბანს, მესპიკასა და ბელგიაში, რის შემდეგ ხელოვანმა შექმნა გრაფიკული სერიები: კუბა, მესპიკა. ამ ნამუშევრებით არაერთხელ წარსდგა საზოგადოების წინაშე. უკვე 1970 წელს სახელმწიფო სურათების გალერეაში იწყო მისი ნამუშევრების მეოთხე პერსონალური გამოფენა, სადაც იყო ექსპონირებული პორტრეტი, პეიზაჟი, გრაფიკა, სერიები — კუბა, მესპიკა და სხვა ნამუშევრები. 1972 წელს ნათელა იანჭოშვილი საზოგადოების წინაშე წარსდგა თავისი მეხუთე პერსონალური გამოფენით თემაზე — კუბა, მესპიკა. ეს გამოფენა სპეციალურად მოეწყო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის და მეგობრობის საზოგადოების შენობაში. ამჯერად საქართველოს თეატრალური საზოგადოების მსახიბთის სახლში მოეწყო ნათელა იანჭოშვილის მეექვსე პერსონალური გამოფენა თემაზე: „კუბა“.

ამ საინტერესო გამოფენებმა საქართველოს საზოგადოებრიობას კარგად ვაცნო ნ. იანჭოშვილის ფერწერა, გრაფიკა და წიგნის გრაფიკა და ერთხმად აღიარა, რომ მას აქვს თავისი სტილი, თავისი ხელწერა, საოცრად დახვეწილი, ნაზი, ფაქიზი გემოვნება, კომპოზიციის გრძნობა, მოვლენის საყუთარი აღქმა, ფერთა საოცარი შინაგანი ხილვა, გამოსახულების რელიეფურობა.

კუბისადმი მიძღვნილი ნათელა იანჭოშვილის ფერწერა და გრაფიკა ერთი მთლიანი შთაგონე-

ბული სიმღერაა თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირ ხალხზე. სწორედ ამიტომ მისი მხატვრი ხელოვნება ვახდა ქართველი და კუბელი ხალხების ძმობის სიმბოლო. შეუძლებელია ნახოთ ეს გამოფენა და არ მოიხიბლოთ ხელოვანის ინტელექტით, მისი პოეტური შთაგონებით და დიდი ესთეტიკური საამოვნება არ განიცადოთ. გამოფენაზე ექსპონირებულია 60-მდე სხვადასხვა სუბეტის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. თვითველ მათგანში ჩაქსოვილია ცხოველი ფანტაზია და ნოველები იკრთება. ფერწერისა და გრაფიკის ერთ მხატვარი გულმოგვცემს თავისუფლებისათვის მებრძოლი კუბელი ხალხის სულიერ ძალას, მისი ქვეყნის ბუნების სოლამაზეს, ვინც დაათვალიერებს ამ წარმატებულ, ხალისიან და სასიამოვნო გამოფენას, მის ნათელი წარმოდგენა ექნება თუ რანი იყვნენ და რანი აიან კუბელები.

აქ ყოველი ექსპონატი მხსველს იზიდავს თავისი ღრმა შინაარსით, შესრულების მაღალი ოსტატობით, მხატვრული ფანტაზიის მიმდგომი კვებით ძალით.

ნათელა იანჭოშვილი ქვემარატი პოეტია. მისი შალიტრა ჰქმნის ფერთა დაუსრულებელ თაფლადობას, მომხიბლავ სიმფონიას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის სახვითი ხელოვნებას არცერთ წარმომადგენელს არ უძლიერა ახალი კუბისათვის ასეთი პოეტური ძალით.

უდიდესი პოეტური აღმადრენით არის დამხტული ფერწერული სურათები: „ზანგი გოგონა“, „კუბელი სტუდენტები“, „მოცეკვვე ზანგები“, „ზანგი ბიჭები“, „ქუდილი“, „ქუდილის ოსტატი“, „მეგობრები“ და სხვა. არ შეიძლება დადამანი არ მოიხიბლოს ისეთი გრაფიკული ქმნილებებით, როგორცაა: „ჩალის ქუდიანი კუბელი ზანგი“, „ზანგი ქალები პლაჟზე“, „მულტი მოცეკვვე“, „ზანგი ქალი“, „კუბელი ზანგი ჩალის ქუდი“, „ჰეპინესის სახლი“, „ზანგი ბიჭი“, „ზანგების გამყიდველი“, „კუბელი ზანგი ქალიშვილები“.

საოცარი სოლამაზით, სათნოებით სავსეა „ზანგი გოგონა სამეგობრებით“, „ქუდილი“ „პატარაძალი“, „სამი ზანგი ქალიშვილი“ და სხვა.

ნათელა იანჭოშვილი შეუქმნია ფიცილი კასტროს ფრად ორიგინალური კომპოზიციის გრაფიკული პორტრეტი, მასში ამეტყველებულია ფიცილის შინაგანი სულიერი ძალა, მის სახის აღნაგობაში ამეტყველებულია კუბელი ხალხის გმირის შინაგანი სამყარო.

ჰეოროვანი და ფერთა პარონით აღბეჭდილი ნ. იანჭოშვილის პეიზაჟები. მისი თვითველი პეიზაჟი კუბელი ხალხის მდიდარი სამყაროა, ესთეტიკურად ლამაზი, შინაარსიანი და მხატვრის სიყვარულით გამბარო, ზოლი ამ პეიზაჟთა ფერები, მათი ნმინობა, არა მარტო კოლორიტისა და კომპოზიციის თავისთავადი



ფაქტორია, არამედ მხატვრის ნაფიქრის, მისი განწყობის და მსოფლმხედველობის უტყუარ სარკესაც წარმოადგენს. დეკორატიულობით აღსავსე პეიზაჟებს საფუძვლად თვით კუბის ბუნება, მისი მიწა-წყალი და ტრადიციები დასდებია. რეალისტური და საზღაბრო სილამაზით აღტყვამს ნ. იანქოშვილს კუბის პეიზაჟი. ფერადოვანი ლაქებს ვირტუოზული შეხამებით და ტონალობით ოსტატურად გადმოუცია კუბელი ხალხის ბუნება. მხატვარი დიდი გემოვნებით ქმნის ზურმუხტისა და ლალის, ქარვისა და ოქროს, იისა და თეთრი ვარდის, ცისა და ზღვის, კაშკაშა წითლისა და მინანქრის, შვების, მწკანინისა და სხვა ფერთა გამას, მათი სინთეზით შექმნილია ზღაპრული სილამაზის კომპოზიციები.

გამოფენის გახსნისას საინტერესო სიტყვებით წარმოთქვეს: საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. დვალიშვილმა, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პროფ. შ. ამირანაშვილმა, ხელოვნებათმცოდნემ ო. ფირალიშვილმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. იაკაშვილმა.

უდავოა, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ნათელა იანქოშვილის გამოფენა ჩვენი ეროვნული სახვითი ხელოვნების აღმავლობის ფრიალ მნიშვნელოვანი მოვლენაა.

სვლანგთა ახალი საერთო სახსოვრებალი

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის დასაწყისში დაიწყება სამი უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიისა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა 550 კაციისათვის.

პროექტის ავტორები არიან რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი მ. ჩხიკვაძე და მისი შვილი, რქიტექტორი ა. ჩხიკვაძე.

საერთო საცხოვრებელი აშენდება დავითაშვილის ქუჩის დასასრულს კოვჩისკენ მიმავალი გზის დასაწყისში, რესტორან „სამადლო“ უკან მდებარე ტერიტორიაზე.

პროექტი შეიცავს: საძაღვ, სასწავლო, სამეცნიერო, საწარმოო კორპუსებს, კეების და ჯანმრთელობის ბლოკებს, თეატრის და კინოს დარბაზებს. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, სპორტ-დარბაზს და სხვა სათავსოებს სამი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა პროფილის სპეციფიკის გათვალისწინებით: სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტთათვის სახელოსნოებს, საექსპოზიციო და სადისპუტო დარბაზებს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთათვის საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებისა და სა-

ღისკუსიო აუდიტორიებსა და დარბაზს, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტთა საფორტეპიანო, ვოკალური, ინსტრუმენტული საკრავების სამეცადინეო აუდიტორიებს, საკონცერტო დარბაზს.

გარდა გამოყოფილი სამშენებლო ტერიტორიისა, სოლოლაკის მთის კალთები, რომელიც შეფენილია ახალი ნერგებისაგან შემდგარი ტყე-პარკით, არსებული ბუნებრივი ტბით და მოკუნებით ორგანულად შეუერთდება გამოყოფილ საერთო საცხოვრებლის მოედანს. სტუდენტთა მომავალი საერთო საცხოვრებელი აშენდება თანამედროვე არქიტექტურულ-კონსტრუქციულ სტილით. მხოლოდ მაღლივი კორპუსების ნაცვლიად იქნება 2-3-4 სართულიანი, რაც გამოწვეულია იმით, რომ მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას ბუნებრივი რელიეფი.

როგორც წესი, საერთო საცხოვრებლის ექსტერიერი და ინტერიერი დავეიარაღებება ხუროთმოძღვრების და სახვითი ხელოვნების სინთეზით, ნაკვობის მთელი ტერიტორია მოცავდება გაზონებითა და შადრევნებით.

ახლო მომავალში სახვითი ხელოვნების, თეატრალური ინსტიტუტის და კონსერვატორიის სტუდენტები და ასპირანტები ამ დიდ საჩუქარს მიიღებენ. მათ აქ ექნებათ საუკეთესო პირობები — მეცადინეობის, დასვენების და გართობისა.

მოგონებები ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინზე

ლოლო გოჯგუა

„დაე მის სახელს მუდამ სიყვარულით იხსენიებდეს ახალგაზრდობა, რომელთა ბედნიერებისათვის ცხოვრობდა, მუშაობდა და ჰქმნადა თავისი ხელოვნებით შთაგონებულ უკვდავ რეალისტურ სახეებს.“
გ.ს. აქსიონოვი

ფასდაუდებელია გამოჩენილი რეჟისორის, დრამატურგის, მსახიობის და თეატრალური მოღვაწის ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის ღვაწლი რუსული თეატრის ისტორიაში.

ის იბრძოდა რეალისტური თეატრისათვის და მისთვის „თეატრი იყო ცხოვრების სარკე.“¹

1909 წელს ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი დაინიშნა მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელად, ხოლო 1922 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მისი საპატიო დირექტორი იყო.

მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ძირფესვიანად გარდაეკმნა თეატრის მუშაობა, შეეტანა მასში რაღაც ახალი და საინტერესო. ეს დასახული მიზანი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინმა ბრწყინვალედ განახორციელა.

საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის პირად არქივში დაცულია მცირე თეატრის გამოჩენილი მსახიობის ა. ა. იაბლოჩკინას, ცნობილი ბალერინას ეკატერინე გელცერის, გამოჩენილი საბჭოთა ლიტერატორია და ენათმეცნიერის ვსევოლოდ აქსიონოვის და მსახიობ თინათინ სუნდუკიანის მოგონებები ალ. სუმბათაშვილი-იუჟინზე.

რუსული დრამის გამოჩენილი მსახიობი ალექსანდრა იაბლოჩკინა 1888 წელს მოვიდა მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ დაუტოვებია სცენა.

მცირე თეატრის სცენაზე მან ბრწყინვალე სახეები შექმნა და გამოდიოდა ისეთ კორიფეჟებთან, როგორებიც იყვნენ: ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინი, მ. ნ. ერმოლოვა, პ. ლენსკი და სხვ.

ალ. სუმბათაშვილი-იუჟინთან ერთად ის გამაღიოდა სპექტაკლებში: „ვაი ჰუუსიგან“, „ორღუანელ ქალწულში“, „ღალატი“ და მრავალი სხვა.

თავის მოგონებაში ა. იაბლოჩკინა დიდი სიყვარულით იხსენებს იუჟინს. ის წერს:

—გენიალური მსახიობები არიან და იქნებან ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ისეთები, რომლებიც მთელ თავის სიყვარულს, ტალანტს და თავის სიცოცხლეს ახმარდეს ხელოვნების სამსახურს და იცავდეს მის ინტერესებს ჩვენს შორის ძალიან ცოტაა და იუჟინი იყო ერთი პირველთაგანი.

მისი ხსოვნა მარადის დარჩება ჩვენს გულში, სანამ იცოცხლებს თეატრი.“²

ალ. სუმბათაშვილი-იუჟინისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით არის გამსჭვალული რუსული საბჭოთა ბალეტის გამოჩენილი მსახიობის ეკატერინე ვასილის ასული გელცერის მოგონების თვითეული სტრუქტონი.

ეკატერინე ვასილის ასული გელცერი 1926 წელს უკანასკნელად შეხვდა ალ. სუმბათაშვილი-იუჟინს კასლოვსკოში, სადაც ის სამკურნალოდ იყო ჩასული. იუჟინმა გულთბილად მიულოცა მას დიდი წარმატება ბალეტ „ესმერალდაში“ და უსურვა შემდგომი წინსვლა, აი როგორ ახსიათებს იგი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინს:

„ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი იყო ზედმიწევნით კულტურული, კარგად აღზრდილი, უყვეთილწმიდისადმი ადამიანი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა და ესმოდა თეატრი. მის აქტიურულ ნიჭში იგრძნობოდა ნამდვილი ხელოვანი.“²

აი რას წერს ალ. სუმბათაშვილი-იუჟინზე გამოჩენილი საბჭოთა ლიტერატორი და ენათმეცნიერი ვსევოლოდ აქსიონოვი:

„მისი ხელოვნება ეკუთვნოდა რუსულ თეატრს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მართლ ჩვენ რუსებს გვეკუთვნის ის.

¹ ს. თ. მ. ფ. 1; საქმე 9, შენ. ერთ. 15493/1, გვ. 1.

² 1910 წელს გვ. გელცერი საფრანგეთში დააქილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — „აკადემიური პალმით.“

1. მ ლ ხ ც ა ფ, 892, შენ, ერთ, 46, გვ. 10.
„ტურჩანინოვას მოგონება იუჟინზე.“



მთელი თავისი ცხოვრებით ალექსანდრე ივანეს-ძე განამტკიცებდა იმ ქვეყნის დიდებას, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავისი წარმოშობით. თავის თავში მან ვაერთიანა მშობლიური ხალხის საუკეთესო თვისებები: ნებისყოფა და კეთილშობილება, მხურვალე გული და პირდაპირობა, უდიდესი ნიჭიერება, სულიერი კეთილშობილება და გულახსნიერება. მარადიული დიდება რუსული სცენის გამორჩენილ ოსტატს! საქართველოს დიად შვილს!

მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობის თინათინ გაბრიელის ასული სუნდუკიანის² მოგონება ალ. სუმბათაშვილ-იუქინზე გამსჭვალულია მიყვამი დიდი სიყვარულით და პატივისცემით.

„იუქინი! ჩვენი იუქინი!

ჩვენი დიდება და სიამაყე!

დაუფიქვარი, ძვირფასი, მომხიბვლელი ალექსანდრე ივანეს-ძე!

შესანიშნავე მსახიობი და ჩვენი დიდებული

მცირე თეატრის ხელმძღვანელი, რომელიც უანვაროდ უყვარდა და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ერთგულად ემსახურებოდა მას.

განა შეიძლება უნიკურესი მაღალკულტურული ადამიანისა და მსახიობის ჩვენი ძვირფასი ალექსანდრე ივანეს-ძე იუქინის დაიწვევა?!³

მან პირადად თეატრალური მუზეუმის სატელეო ფურცლებზე დააწერინა ეს მოგონებები იაბლოჩინას, ე. გელცერს, ე. აქსიონოვს და თ. სუნდუკიანს!

ფართო დიპაზონის შემოქმედი, საოცარი გარდასახვის უნარის მქონე — ასეთია იგი თეატრის ისტორიაში. თანამედროვეთა მოგონებებში ალ. სუმბათაშვილ-იუქინი წარმოგვიდგება. როგორც მგზნებარე, შთაგონებული შექმედი.

³ რუს მოღვაწეთა ყველა ეს მოგონება შეკრიბა ალ. სუმბათაშვილ-იუქინის ნათესავემა კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე სუმბათაშვილმა, რომელიც 1958 წელს საქ. თეატრალური მუზეუმის დავალებით მივლინებული იქნა მოსკოვში.

მზისკენ, მარადის! კაპური გოგიაშვილი

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს
ალ. ბეგალიშვილს

წუთისოფელი ვატარეთ ერთად,
ძმობა ოდიზე ვიწამეთ ღმერთად,
ჭირსა, თუ ღზინში ვიყავით ერთნი
მოწამეთის და გელათის გვერდით.

ახლაც ვიგონებთ ჭაბუკურ ხანძარს,
წყალწითელას და ბაგრატის ტაძარს,
ორთავეს გვწვავდა თეატრის ბედი,
შენ იმ გზით, მე კი სხვა გზით წავედი.

ღამისთენება, ძებნა დიადის,
ცისკრის ბრდღვიალი და განთიადი,
გვატკბობდა ბავშვებს ჭიკჭიკი მერცხლის, —
კოტეს ნიჭი და უშანგის ცეცხლი.

ვიწვოდით ყველა, შევეტრფოდით დიადს,
ასეთ ჟამთასვლას ცხოვრება ჰქვია,

ჩიტვივით გაძვრა წუთისოფელი,
არა, არა ვართ მისი მგომბელი,
ძმოდ, ერთგულად კუბოს კარამდე,
ერთად ვიაროთ მზისკენ, მარადის!

თეატრის მომავალ მხენიერი იოსებ მებრელიძე

გარდამცემალ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი დამაარსებელთაგანი და მისივე პროფესორი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო წევრი, ამავე საზოგადოების ენის სიწმინდისა და სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე, ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოებისა (1932 წლიდან) და ამერიკის ლინგვისტიკური საზოგადოების წევრი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სპეტაკი მოქალაქე გიორგი სარიდანის ძე ახვლედიანი.

86 წელი იცხოვრა მან ამქვეყნად და წარუშლელი კვალი დასტოვა. მისი კვლევისა და ლექციების ობიექტები იყო: ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი ფონეტიკა, ექსპერიმენტული ფონეტიკა, ქართული ფოლოკა, რუსისტიკა, ინდოლოგია, ირანისტიკა, ლექსიკოლოგია, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა, ლოგოპედია (ენის მოშლილობა). მშობლიური და უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია, უკანასკნელთა ორთოგრაფია და ორთოეპია.

გ. ახვლედიანის მრავალრიცხოვან გამოკვლევათა შუამავაშემელი და კაპიტალური ნაშრომაა „ზოგადი ფონეტიკის საკითხები“ (1949), რომელშიც, ზოგადი ფონეტიკის გარდა, კერძო ფონეტიკის — ქართული და ქართველური (სვანური, მეგრული, ქანური და ამათი კილოები), აფხაზური და კავკასიური, ირანული (კერძოდ — ოსური), კლასიკური და ახალი ინდოევროპული ენების ბგერათა, ასოთა და მეცნიერულ ტრანსკრიფციათა, მარტივი, მახვილისა და სხვა მრავალი საკითხია გაშუქებული.

გ. ახვლედიანის პირველი ზოგადი ფონეტიკური ნაშრომის თუნდაც მხოლოდ სათაური — „ნარკვევი წარანარა და ცხვირისიუღ თანხმოვანთა ისტორიიდან სანსკრიტულს, ბერძნულს, ლათინურსა და სლავურ ენებში“ — მეტყველებს ამ მეცნიერის ფართო დიაპაზონზე.

ქართული სასცენო მეტყველების შესწავლისათვისაც აქვს მნიშვნელობა, რომ ქართულ ფონეტიკაში გ. ახვლედიანმა პირველმა გამოიყენა ბგერის შესწავლის პლატოვარამული მეთოდი და შექმნა ორიგინალური ნაშრომი საკვანძო საკითხზე — „მკვეთრი ხშულები ქართულში“ (1922). რომელიც შემდეგ კავკასიურ

ენებშიც გაარკვია და გააშუქა ამ ენების ფონეტიკის სპეციფიკური რიგი საკითხები, გამოიმუშავა ქართულ სიტყვათა დამარცხლის ახალი პრინციპები. გ. ახვლედიანმა წამოაყენა თანხმოვანთა შეერთების აქცესიურობისა და დეცესიურობის თეორია. ეს სასარგებლო აღმოჩენა ქართველურ-კავკასიურ და ინდოევროპულ ენათა ისტორიული ფონეტიკის კვლევისათვისაც (შმდ. ს. ქვენიტი. წიგნი „გიორგი ახვლედიანი“, თბილისი, 1963 წ.).

ჩვენმა მეცნიერმა დაადგინა ქართულ ჰარმონიულ ხშულ ბგერათა ორი სისტემა და გამოავლინა ქართული წარმოთქმის მიდრეკილება ერთ-ერთი ახმეობისაკენ, ხშულთა სისტემის ბუნება და ყრუ მედია ქართულში, ნათელყო ქართული ენის ბგერათა სისტემის ისტორიული გამქლუვება (1925), მეცნიერულ საფუძველზე დამკვიდრა ქართული ორთოგრაფიის (მართლწერის), ორთოეპიის (მართლმეტყველების) და ქართული საესტრადო და სასცენო მეტყველების ნორმები.

გ. ახვლედიანი წლებს განმავლობაში თავმჯდომარეობდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების ენის სიწმინდისა და სასცენო მეტყველების მეთოდურ საბჭოს. თეორიულად ასაბუთებდა და პრაქტიკულად იძლეოდა მავალით სწორი სასცენო ორთოეპიისა და აქცენტუაციის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დახეწილი ლიტერატურის ენის სცენაზე დამკვიდრებას, კილოური წარმოთქმით კუთხურობის ზანჯასმის პრიმიტიულ წერხად თელთა, ჩვენი დედაქალაქისა და რაიონის თეატრებში ატარებდა სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებს. ბეჭდოვდა წერილებს, სასცენო მეტყველების საკითხებს მიუძღვნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მოამბის“ სავანებო ნომერი...

საერთოთ დიდი იყო გ. ახვლედიანის ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და სიწმინდისათვის, მის შიგნით ჩვენში საფუძველდებული მეცნიერების ახალი დარგი ლოგოპედია.

საყურადღებოა გ. ახვლედიანის წვლილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც. გარდა იმისა, რომ ის იკვლევს ლიტერატურის საფუძველთ-საფუძველს — ენის ბგერობრივ შედგენილობასა და მის კანონებს, ეხება აგრეთვე ქართული, რუსული, ევროპული, ძველი ინდუ-



რი და ირანული (განსაკუთრებით — ოსური) ლიტერატურისა და დრამატურგიის თეორიულ-სა და პრაქტიკულ საკითხებსაც. გ. ახვლედიანი 1926 წლიდან ხანგრძლივ კითხულობდა ჩეხის უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ორ: — 1) საშუალო საუქუნეთა და 2) აღორძინების ხანის ლიტერატურათა — კურსს. ჩვენი მეცნიერის მიერ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის რავ ქალაქებში ოპონირებული 100-ზე მეტი დისერტაცია ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგებს განეკუთვნება. აქედანვე ნათელია მისი დიდი ამავე ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში.

გ. ახვლედიანმა გამდიდრა ჩვენი თარგმნითი ლიტერატურა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის უძველესი ნიმუშებით, ძველ ინდურ-სანსკრიტულადან ქართულად თარგმნის 3500 წლის წინათ შექმნილი საკულტო ჰიმნების წიგნის „რიგ-ვედას“ თავები, ძველი ირანულიდან კი ორი ათასზე მეტი წლის წინათ ჩამოყალიბებული „ავესტის“ შესანიშნავი ნიმუშები და ვამოაქვეყნა ვრცელი კომენტარებითურთ.

ძვირფასია გ. ახვლედიანის საქმიანობა სახელმძღვანელოების შედგენაში. მისი „სანსკრიტული ენის გრამატიკა“ ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ (1920) თბილისში ყოფნისას მიერთვან ინდოეთის პრემიერს ნერუსსა და ინდირა განდის. 1947 წელს კი გ. ახვლედიანი თვითონ იყო სტუმრად ინდოეთში.

გამოცემულია გ. ახვლედიანის მიერ ჩვენს უნივერსიტეტში 1918 წელს წაკითხული ენათმეცნიერების კურსის 18-დან 15 ლექცია სამ ნაკვეთად, „ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ (წ. I — ქართველური ენები, 1937 წ.; II — აკავასიური ენები, 1940 წ.; ს. ჟღენტთან ერთად), „რჩეულ ნაშრომთა კრებული ოსური ენის შესახებ“ (18 ნაშრომი, 1960 წ.) და სხვა.

გ. ახვლედიანს, ი. გოგებაშვილის შემდეგ, ყველაზე დიდი ამავე მიმართის რუსული ენის ჩვენი ახალგაზრდობის მიერ დაუფლებამო. მისი „რუსული ენის გრამატიკა“ (1919) ქართულად შედგენილი პირველი მეცნიერული გრამატიკაა. მრავალჯერ გამოცემული მისივე „რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის“ ლექსაც მოქმედია.

იგივე მეცნიერი თანაავტორია „ქართულ-რუსულისა“ და „რუსულ-ქართული“ სასკოლო ლექსიკონებისა, „უცხო სიტყვათა ლექსიკონისა“ და მთავარი რედაქციის წევრია ქართული განმარტებითისა და რუსულ-ქართული დიდი ლექსიკონებისა.

ჩვენი უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის გარდა, გ. ახვლედიანის მონაწილეობითვე დაარსდა თბილისის ა. ს. პუშკინის სა-

ხელობის სამსწავლებლო (შემდეგ — პედაგოგიური). ქუთაისის პედაგოგიური და თბილისის უცხო ენების ისტიტუტები; უმოაგრესად მისი თაოსნობით შეიქმნა ჩვენი საენათმეცნიერო საზოგადოება, უნივერსიტეტის ფონეტიკისა და შემდეგ ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია.

თანამდებობათაგან აღსანიშნავია, რომ გ. ახვლედიანი არის თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის დამაარსებელი და იყო მისივე უცვლელი გამგე, იმავე უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის პირველი თავმჯდომარე, ა. ს. პუშკინის სახელობის სამსწავლებლო ინსტიტუტის პირველი დირექტორი, ქუთაისის ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი, იმავე განყოფილების თავმჯდომარე, აკადემიისივე ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი და სხვა.

გიორგი ახვლედიანი ხანგრძლივ პერიოდში იყო საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური საზოგადოების ენისა და ლიტერატურის სექციის ხელმძღვანელი. 1924—1933 წლებში უძღვებოდა პროფკავშირების ხაზით არსებულ საქართველოს მეცნიერ-მუშაკთა სექციას, რომელსაც ჰქონდა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

გ. ახვლედიანი მონაწილეა საერთაშორისო რიგი კონგრესებისა, 1928 წელს — ოქსფორდში, 1960 წელს მოსკოვში და სხვა დროს სხვა ქალაქებში, აზიის ხალხთა კონფერენციის დელეგატი იყო საქართველოდან 1947 წ. ინდოეთში (ქ. დელი), მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის პირველ საბჭოთა კონფერენციის მუშაობაში (1960 წ., ქ. დუშანბე) და სხვა.

კომუნისტი მეცნიერი და სახელგანთი მოქალაქე იყო საშობლოს დიდი პატრიოტი, აღაშინათა შორის სათნოებისა და ხალხთა ძმობის მქადაგებელი. მსოფლიოში მშვიდობის დაცვას მომხრე, ნამდვილი ჰუმანისტი აღაშინა.

ყოველივე ამისათვის გ. ახვლედიანს კერ კიდევ 1943 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დიდი თუბილეთი აღინიშნა მისი დაბადების 70 წელი (1957), და 80 წელი (1967), დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის მეთელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებითა და სიკვლებით.

გიორგი ახვლედიანის მეცნიერულ დამსახურებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვერაღივიწყებ მისი კოლეგები. სრულიად სხვა დანსხვ ერთგუნვის უმარბიე მოწაფე, მადლოერი თანამედროვეს საზოგადოებრიობა, ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორია.

ქოსტა მიუსურაძე—ხელოვანი

თამაზ ანთაძე

იშვიათად შეხვდებით სპორტის მოყვარულს, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთის კოსტა მიუსურაძის სახელი რომ არ სმენოდეს.

კოსტას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოუზღაპრა მოგზაურობა, დიდ წარმატებას მიაღწია იაპონიაში, ირანში, ბუხარაში, საფრანგეთში, რუმინეთში, გერმანიაში და სხვაგან, მკერდს უშშ-ვენებდა მრავალრიცხოვანი თქროსა და ვერცხლის მედლები, მაგრამ ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ბეჭდაუდებულ ფალავანს ჩვენშიც იცნობდნენ აგრეთვე როგორც მსახიობსა და ჩინებულ მოცეკვავეს.

ძველი თაობას აღამაინებს მკაფიოდ შემორჩილ მესხერებაში კ. მიუსურაძის სპორტული ტრეფი. ახსოვთ მაყურებელი სავსე ცირკის დარბაზი, ახალგაზრდა ფალავანის მოდიმარი სახე, მისი მოხდენილი ცეკვა, სიღარბასილე.

...13 წლისა იყო კოსტა, როდესაც რესტორან „პურ-ღვინოში“ მოეწყო სამუშაოდ. ხშირად აკვარდებოდა საქეიფოდ მოსულ ყარაიოლებს. ზურნა-დუღუკისა და დოლას რიტმულ ხმაზე ცეკვაში ერთმანეთს ეგებებოდნენ ვაჟაკები. სწორედ მათგან შეისწავლა ჰაბუქმა მოხდენილი ცეკვა-სიმღერა.

ცირკის არენაზე გამოსვლის შემდეგ კ. მიუსურაძე გაიტაცა მხიარულმა სცენებმა. რებრიზებმა და თვითონაც შეუდგა ასეთი სცენების შექმნას. ბევრ მათგანში წამყვან როლს თვითონვე ანსახიერებდა. ცირკის ძველმა მსახიობმა ვ. გვიშაინმა გვიამბო რარიგ ოსტატურად ვარდაისახებოდა იგი ფრანგი ლერ ენის ვოდევილში ანდრეის როლში. სიუჟეტის მიხედვით შამაკაცი გამასხრებელი უნდა დარჩეს მოალატე ცოლასავან, მაგრამ მთელი რიგი გონებაშახილური სიტუაციის შემდეგ ანდრეი ფარდას ახდის მას შვაკერობას, საყვარელთან ერთად მაყურებელს მიჰვკრის. სიცილი, აღტაცების შექაბილება გვისმოდა დარბაზში, იგონებენ წარმოდგენაზე დამსწრენი.

...მანერზეა ორი მოჭიდავე. ერთი ძალზე მსუქანი და დაბალი, მეორე — გამხდარი და ძალზე მალალი. ისინი კარგა ხანს ძიჭილაობენ. ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ფალავნები მაყურებელში უნდა გადაცვიდნენ, მაგრამ უშაბვე ფეხზე დგებიან და ჰიდილს განაგრძობენ. ბოლოს ირკვევა, რომ ორივე მოჭიდავეს მხოლოდ ერთი მსახიობი ასრულებს მოზარდული

თოჯინის დახმარებით. ეს ნომერი პირველად აბაშაში იქნა ნაჩვენები და ცხადია, ახლა ბევრმა არ იცის, რომ მისი ავტორები იყვნენ იმხანად ცირკის გამოჩენილი მსახიობი ვანო გოლოაძე და კოსტა მიუსურაძე. ამ როლს კი წლების მანძილზე წარმატებით ასრულებდა თვით კ. მიუსურაძე.

ქართული ცირკი ლეჩხუმში იმყოფებოდა. წარმოდგენას დაესწრო მოგზაურობაში მყოფი აკაკი. კოსტამ მას ლექსი მიუძღვნა (სამწუხაროდ, დღეისათვის ეს ლექსი დაკარგულია). ჰალარა მგოსანი ფეხზე წამოდგა, მივიდა მასთან და მადლობის ნიშნად მკერდზე ემზებია.

ქართული ცირკის მსახიობებმა სიღნაღისაკენ გასწიეს. აქ ისინი მთელი ზაფხული შეჩერდნენ. მაყურებელი ორ-სამჯერ ესწრებოდა თვითონვე წარმოდგენას. მოსწონდათ მახვილგონებრულად შესრულებული პროგრამა, ხალისიანი ნომრები, ცეკვა-სიმღერა. ყველა აღფრთოვანებაში მოჰყავდა მოჭიდავეთა საჩვენებელ გამოსვლებს.

...გრილი სადამო იყო. ნისლში ვახვეული კიხეთის დიდებული ხედები კოსტას მშობლიურ რაქსს ავონებდა. ფიქრში ვართულს ათლტურთ აღნავობის გრუზათმიანი ჰაბუქი თავს წამოაღდა.

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის, — თქვა ჰაბუქმა.

— ჩამოვექი, — მიუღო კოსტამ.

— მომეწონა თქვენი წარმოდგენა, ძალზე შინაარსიანი, საინტერესო სანახაია, — მოკრძალებით დაიწყო ჰაბუქმა, — მაგრამ ავობებდა კიდევ უფრო „გავამხატვრულბინათ“ თქვენი საციკო პროგრამა.

ჰაბუქმა გონიერი თვალები ვარსკვლავებით მოქედილ ცას მიაპყრო. დაწვრილებით შეეხო მომავალი წარმოდგენისათვის პროგრამის შერჩევის საკითხს, ურჩია შეიქმნათ სანახაობა მუსიკის, ცეკვის, დეკლამაციის თანხლებით. ასეთ წარმოდგენას ორატორია დაერქმევაო, თქვა. რებრიზებზეც უნდა გადახალისდეს, ხალხი ცხოვრებას უფრო მეტად უნდა ასახავდეს. ცირკი შინაარსიანი სანახაობის, ვართობის კერად უნდა ვაქციეთ. ეს საპატიო მოვალეობა თქვენ გეკისრებათ...

დიღხანს ისაუბრეს. კოსტა მოხიბლა ახალგაზრდა კაცმა. გამოთხოვებისას სახელი ჰკითხა.

— სანდრო! — უპასუხა ჰაბუქმა.

— გვარიც მითხარი შენი, — დაადევნა მიმავალს კოსტამ.

— ახმეტელი! — თქვა ჰაბუტყმა, ჭვიტკირის ორმეტრანახევრიან ვალაენიდან ისეუბნა და სიბნელეში გაუჩინარდა.

როდესაც კოსტა სანდრო გაიწვია, იგი ჯერ კიდევ სტუდენტია იყო, მას შემდეგ დამეგობრდნენ. ხშირად მსჯელობდნენ ცირკის მომავალზე. ამ მეგობრობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. კოსტას ხელმძღვანელობით დაიდგა დიდი საცერკო წარმოდგენა, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგებოდა. სპორტული ნომრების გარდა, სანახაობა შეივსო სკეტჩებით, რეპროზებებით, მუსიკით, ცეკვა-სიმღერითა და დეკლამაციით. კოსტასა და სანდროს მეგობრობის შედეგად ცირკის არენაზე ჩაისახა ძველი ქართული სანახაობის-ყვენებისა და ბერძენობის მხატვრულად კარგად დამუშავებული ეპიზოდები.

კოსტას უნდოდა საქართველოში რაინდული ცირკი ჩამოეყალიბებინა. სწორედ ამას მიუთითებდა სანდრო ახმეტელიც. მათი აზრით, ცირკის კოლექტივი მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო, ხოლო სანახაობა მასობრივი, ეროვნული სულსკვეთებით აღსავსე. ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა სანდრო ახმეტელმა კოსტას თხოვნით მოამზადა რამდენიმე მიმავალი ნოველა, რომელსაც თავის დროზე განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა.

სიღნაღის შემდეგ ქართველი მსახიობები თელავში ჩაივლინენ. კოსტა აქ შეხვდა „წითელი ღიზიან“ ფალავანს (ს. ბურღულაძე) და დაამარცხა. ერთ-ერთ წარმოდგენას განმეორებით დაესწრო ჟელავის ინტელიგენცია. კოსტა შეერკინა ლეკ მოჭიდავეს და რამდენიმე წუთში გააკრა ხალიჩაზე. ორკესტრმა ჩვეულებრივად დაუკრა საცეკვაო. ამ სანახაობით აღტაცებულმა (თუ არ გცდები გენერალმა) ანდრონიკაშვილმა კოსტა 100 მანეთი დააჩილოვდა. ფალავანთან ერთად იცეკვა ქალბატონმა ლორთქიფანიძემ, ხოლო გამარჯვებულის პატივსაცემად მომღერალმა ჯენი მელაშვილმა ურმული შეასრულა.

ქართული ცირკის პროგრამა გაფართოვდა, გადახალისდა. ერთხელ ტუაშეში წარმოდგენას დაესწრო დიდი რუსი რეჟისორი კ. სტანისლავსკი (იგი მაშინ იქ ისვენებდა). სანახაობის დამთავრების შემდეგ რეჟისორმა ინახულა ქართველი მსახიობები, კარგი წარმოდგენისათვის მად-

ლი უძღვნა, ხოლო კოსტას მისამართით ასე დასძინა:

— მადლი გამიჩენს, ასეთი შესანიშნავი გარეგნობის ვაჟყავი ჯერ არ მინახავს. მადლი ბუნებას, სადაც შენ აღიზარდე!

გაზეთმა „ლელომ“ მრავალთა შორის მოგონების ერთი დიდებული ფურცელიც შემოინახა. ეს გახლავთ ფინელი მესაათის გიორგი ტურონენის საუბრის ჩანაწერი,სადაც ლაპარაკია კოსტას გარეგნობასა და მოხდენილ ცეკვაზე. იგი დაწვრილებით აღწერს პეტერბურგში გამართულ სანახაობას, სადაც თავიანთ ძალას ცდიდნენ ხალიჩის ოსტატები ივანე პოდუბნი, კლემენს ბული, ტუთისტო, ტოგინინი და სხვანი.

— ამ შეხვედრებში, — იგონებს გ. ტურონენი, — ჩემი მეგობარი თანამემამულეებიც მონაწილეობდნენ და მათი მიზეზით მალე მეც ცირკის ხშირი სტუმარი გახდი. განსაკუთრებით პოპულარობით ივანე პოდუბნი სარგებლობდა. მაგრამ იყო კიდევ ერთი ფალავანი. რომლის სახელის გამოცხადებას მთელი დარბაზი აღფრთოვანებით ეგებებოდა. ეს იყო ცნობილი ქართველი მოჭიდავე კოსტა მაისურაძე. როდესაც ხმაური ოდნავ მიწყურდებოდა, დარბაზს მშვენიერი ქართული საცეკვაო მუსიკის ხმა ეფინებოდა, კულისებიდან დინჯად გამოდიოდა შესანიშნავი აღნაგობის ჩოხიანი ქართველი. ცალ ხელს ხანჯლის ტარს დაადებდა, მეორეს გულთან მიიტანდა და საზოგადოებას მღაბლად თავს დაუქრავდა. შემდეგ მკლავებს გაშლიდა და საჭიდაოდ წრეს ცეკვით შემოუვლიდა. ჩვეულებრივად ცეკვა მაყურებელთა განუზომელი ტაშითა და აღტაცებით მთავრდებოდა. კოსტა გამოდიოდა, ოღონდ ამ ჯერად არა ჩოხით, არამედ საჭიდაო მაისურით. ქართველი ფალავნის სიმარდიით და იღეთების მრავალფეროვნებით დარბაზი განცვიფრებული იყო. მაყურებელი ჩვეულებრივად კოსტას მხარს იჭერდა, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ გამარჯვებას კვლავ ცეკვა მოჰყვებოდა. ისიც გულშემოტკივართ იმედს არ უტრუებდა. როგორც წესი, ყოველ გამოსვლას ვეჯაცური „ქართულით“ ამთავრებდა.

როგორც ცნობილია, კ. მაისურაძე, სრულიად ახალგაზრდა, 37 წლის ასაკში გარდაიცვალა, ბაქოში (1881-1918) და თან წაიღო ხელოვნის მგზნებარე გული.

ი რ ი მ ა ნ ე ჯ ე

მერაბ ხინიკაძე

ყოველ ადამიანს აქვს თავისი გატაცება, სიყვარული, რომელიც ანგრევს ყველა ჯებირს და შეუშპობრად ისწრაფვის მიზნისაკენ. ზოგს ძალიან ადრე უჩნდება ეს მისწრაფება. სწორედ ასეთი მისწრაფებით მოადგა სრულიად ახალგაზრდა იური ცანავა თეატრის კარებს. თეატრი მისთვის დაუოკებელი სურვილი იყო, მუდამ რეპეტიციებზე იჯდა, სპექტაკლებში დაკავებული იყო თუ არა, ყველას აკვირდებოდა, მონაწილეობდა მასობრივ სცენებში. მე შემომჩრა ურთი ფოტოსურათი, სადაც მე და იური ერთი გაღილებული. ეს იყო კ. სიმონოვის „ურჯულიანი საკითხში“. მე სმიტს ვთამაშობდი. სმიტის ბინიდან ივეჯი გაქვთ და ჩემთან დგას დაღვრემილი პატარა ზანგის ბიჭი, რომელიც თვალტრემიანი შემომედურებას. ძნელია იმის დაჯერება, რომ ეს პატარა ბიჭი დღევანდელი იური ცანავაა. დროებით შეწყდა იური ცანავას თეატრალური ცხოვრება — სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. სამი წელიწადი იმართობდა, ექვაცადებოდა და ცოდნას ირბამებდა, რომ უფრო გაბედულად ჩაბმულყო თეატრის ცხოვრებაში. ახლა უკვე ჯარისკაცის ფარავით დაბრუნდა თეატრში და ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიში“ სერკეი ლევაშოვის როლი შეასრულა. ყველა სიტუაცია და მდგომარეობა ლევაშოვისა ახლობელია ნაცნობი იყო მისთვის, რამაც დიდად შეუწყობდა წარმატებას. აქედან მოყოლებული იური ცანავა გახდა თეატრის ერთ-ერთი საიმედო ძალა, რომელსაც არცერთ როლში თავი არ შეუტრცხენია. ეპიზოდურ როლებში მუდამ აღწევდა იმას, რომ დასამახსოვრებელი სახე შექმნა. ასეთი მაგალითების მოყვანა იური ცანავას შემოქმედებიდან ჭარბად შეიძლება. გრ. ბერძენიშვილის „დაქრილ არწივი“ ახალგაზრდა გლეხის-გოგოს ეპიზოდური როლის თამაშობდა. გიგოიას მხოლოდ ერთი სცენა აქვს სპექტაკლში. თოფით ხელში სადარაჯოზე დგას ნასაკრალის მისადგომებთან და ოცნებაშია წასული. ოცნებობს პატარა მიწაზე, მიწა რომ მისცა, სახლს ააშენებს, ცოლს შეირთავს, თუმცა ვცარიე რომ დაიწეროს, ფული არა აქვს, მაგრამ სთხოვს მღვდელს და ნისიად დაიწერს ჭვარს, შეილება ეყოლება, ბედნიერად იცხოვრებს, ამ დროს უჩინოდ მიეპარება ყაზახი და ჰკლავს. ისეთი თბილი, მიმზიდველი და გულწრფელი იყო ამ როლში იური ცანავა, რომ ვი-

საც კი ეს სპექტაკლი უნახავს, არასოდეს დაიფიქვებს გიგოიას ტრაგიკულ სახეს. ასეთივე წარმატება ხვდა წილად ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხვდავ მზეს“, სადაც იური ცანავა ფოსტალიონ კოწიას როლს თამაშობდა. ეს პატარა ეპიზოდური როლი მსახიობმა ტრაგიკულ სიმაღლემდე აიყვანა. მან ევლარ გაუძლო სოფლიდან წასული ახალგაზრდების დაღუპვის ცნობებს, ის გრძნობს რომ მეზობლებს ემინიათ მისი დანახვა და მოთმინებიდან გამოსული უარს ამბობს ფოსტალიონობაზე, გმობს ომს, რომელმაც გაუფლანარი უბედურება მოუტანა უდანაშაულო ხალხს. ამ ეპიზოდურ როლში იური ცანავა დამახულობის ისეთ სიმძაფრეს აღწევდა, რომ მაყურებელი გაოგნებული რჩებოდა მსახიობის შესაძლებლობისა და ოსტატობის ასეთი მკვეთრი გამოვლენის გამო. ასეთი მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება იური ცანავას შემოქმედებიდან.

ისე განვლო 25 წელმა, რომ თითქმის ყოველივე ეს გუშინ ყოფილიყო. 14 მისს თეატრში შეიკრიბნენ მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, რაიონებიდან და თბილისიდან ჩამოსული სტუმრები, მისი მეგობრები და დიდი ზემოთ აღნიშნულ ი. ცანავას სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავი, ეს იყო თეატრისა და მისი მეგობრების ზეიმი, სადაც 25 წელია ტრიალებს ი. ცანავა, იღვწის სცენაზე, რომ პირუთენელი სიმათლე უთხრას მაყურებელს. წაახალისოს ყოველი ახალი და პროგრესული, დამკმის და უარპყოს დრომოქმული და ის მავნე გამორანაშთები, რაც აფერხებს ჩვენს დიად წინსვლას და გამარჯვებებს.

სასცენო მოღვაწეობის 25 წლის მანძილზე ი. ცანავამ 75-ზე მეტი როლი ითამაშა. ყველა მათგანი გამოირჩეოდა უბრალოებით, ღრმა აზრით, ძლიერი განცდით და სიმაართლით.

ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედაში“ ი. ცანავამ მია ვანოს როლი შეასრულა. მოუხედავად იმისა, რომ პიესის მთავარი მოქმედი გმარი აეთო ჯაყელია და მის ვარწმობ ტრიალებს ყველაფერი, სპექტაკლში მია ვანო ცენტრალურ ფიგურად იქცა და მნახველი არასოდეს დაიფიქვებს ასე მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულ სახეს. აი რას სწერდა ამის შესახებ ვაზეთი „კომუნისტი“: „ვიხილავ კი ბათუმის თეატრის



ეს სპექტაკლი უნახავს. მას არ შეუძლია და-
ვიწყდეს ის სცენაც, როდესაც ი. ცანავას ვანო
გ. ქავთარაძის ავთო ჭყაველი უყვება ერთ ებრა-
ზოდს, რომელიც მის სამამულო ომის დროს
გადახდა. სცენა პირდაპირ გამოგონებულ შთა-
ბეჭდილებას სტოვებს. ნ. დუმბაძის ნაწარმოე-
ბის ეს ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი სცენაზე
ისეა გაკეთებული და იმ აქტიორულ დონეზე
შესრულებული, რომ მარტო ამ სცენისათვის
ღირდა სპექტაკლის დადგმა. ამ შეფასებაში
არაფერი გადაჭარბებული და გაზვიადებული
არ არის და რეცენზენტმა სწორად შეაფასა ი.
ცანავას ძია ვანოს მიაღობატრული შესრუ-
ლება.

ვინა დელმარის დრამაში „დაუთმე ადგილი
ხვალინდელ დღეს“ ი. ცანავა მოხუცი კუბერ
ბარკელის როლს ასრულებს. მიდიდარმა დრა-
მატულმა მასალამ მსახიობს საშუალება მისცა
გამომქდევნებინა მთელი თავისი არტისტული
შესაძლებლობა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩა-
ვარდნილი, ყოველგვარ სახსარს მოკლებული
ბარკელი იძულებულია დაშორდეს საყვარელ
კოლს, რომელსაც უბატრონთა თავმუსავარში
გზავნის. ბარკელიმ აღზარდა შვილები, მიაღობი-
ნა განათლება, დაოჯახა, ისინი კი უმწეო
მდგომარეობაში ჩავარდნილი მშობლებს ზრუნ-
ვაზე უარს ამბობენ. მოხუცი მაინც შვილებზე
ზრუნავს, მათი ბედნიერება სურს. ფინალში
ცოლთან დაშორების სცენას ისე ოსტატურად
ატარებს, რომ მაყურებელი გულგატოლი ვერ
რჩება და ცრემლებით აცალებს მოხუცს. რა-
დენ დიდი სითბო, გულწრფელობა, უბრალოე-
ბა და მიმზიდველობა ჩაქოსთა ი. ცანავამ ამ
როლში. მიადწინა სრულ ვარდასახავს. მსახიობის
სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასე სრულყო-
ფილად შესრულებული სცენური სახე დიდი
მიღწევია მთელი თეატრის კოლექტივისათვის.

კ. ვიტონიერის ტრაგიკომედია „ვარსკვლავი-
დან ჩამოფრენილი კაცი“ საბჭოთა კავშირის
ბევრ თეატრში დაიდგა და დიდ პოპულარო-
ბით სარგებლობს. ბათუმის თეატრში მისი წარ-
მატება განაპირობა ი. ცანავას მდიდარმა აქტი-
ორულმა შესაძლებლობამ.

ყოველი მსახიობისათვის ძნელია ერთ პეესა-
ში ითანამოს ხუთი სხვადასხვა როლი და ყვე-
ლაში წარმატებას მიაღწიოს. ი. ცანავას სასახე-
ლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას მსახიობ-
მა შესანიშნავად გაართვა თავი. ექიმი შტალი,
მაგისტრატის უფროსი ბაუერი, მღვდელი, დამ-
ზღვევი, კანტორის დირექტორი და მეღვინე
საღვავტორი. მსახიობმა ხუთივე როლში შინა-
განი ბუნებით განსხვავებული მხატვრული სა-
ხეები შექმნა. ვაზეთი „კომუნისტი“ ამ დადგმის
შესახებ წერდა: „ქების ღირსია ი. ცანავა, რო-
მელიც რთული აქტიორული ამოცანის წინაშე

იდგა, ის თამაშობდა პროფესიით, ბოგარდნი-
თა და ხასიათით განსხვავებულ სხვადასხვა
გმირს. ძალზე ძნელია ერთ სპექტაკლში ხუთი
აბსოლუტურად განსხვავებული სახის შექმნა,
მაგრამ მსახიობმა გამოიჩინა კარგი გარდასა-
ხვის უნარი“. ვაზეთი „კომუნისტი“ ეს შეფასე-
ბა სამართლიანად დაიმსახურა ი. ცანავამ.

მიდინარე წელს თეატრმა წარმოადგინა
ვ. კანდელიანისა და ნ. შამანაძის კომედია „გაუ-
მარჯოს სიცოცხლეს“. მიუხედავად იმისა, რომ
პიესა კარგად არის დაწერილი, სცენურია და
სახეებიც გამოკვეთილია, სპექტაკლი ვერ აღ-
მოჩინდა პიესის დონეზე, რაც გამოიწვია მთა-
ვარი მოქმედი გმირების ზერეულად თამაშმა,
მსახიობთა უმრავლესობა ვერ ჩაწვდა გმირთა
შინაგან სამყაროს. ამ სპექტაკლშიც გამოიკლი-
სია მსახიობი ნ. თეთრაძე და ი. ცანავა. ი. ცა-
ნავა ანსაიერებს გეოგრაფიის მასწავლებელს—
სამსონს, რომელიც პენსიაზეა, მაგრამ მუზობლე-
ბისა და სოფლის ჰირ-ვაიში მისი ცხოვრები-
დან განუყოფელია. მსახიობმა თავის გმირს მო-
უძებნა შესატყვისი სიარულის მანერა, მეტყვე-
ლება. ჩაცმულობაც გმირის შინაგან ბუნებაზე
მეტყველებს. იმდენად დამაჯერებელი, უშუა-
ლო და მიმზიდველია ცანავას სამსონი, რომ იგი
სპექტაკლის უსაყვარლეს გმირად იქცა.

მსახიობი ყოველ როლში ეძებს გმირის დამა-
ხასიათებელ შტრიხს და გარდასახვის უხე ფე-
რებს. ი. ცანავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ
ყოველი მისი როლი განსხვავებულია ერთმანე-
თისაგან, თანაბრად ემარჯვება, როგორც კომე-
დიური ხასიათების დახატვა, ისე დრამატული
ტრაგიკული სახეების შექმნა. ამ თვალსაზრი-
სით ბევრი როლის ჩამოთვლა შეიძლება, რომ-
ლებსაც ი. ცანავამ სცენური სიცოცხლე მიანი-
ჭა და დასამახსოვრებელი გახადა მაყურებლი-
სათვის. ასეთები იყო მისი მირიანე პ. კაკაბა-
ძის „კოლმეურნის ქორწინებაში“, პატიოსანი,
ერთგული და შრომისმოყვარე სოფლის ახალ-
გაზრდა. კ. ბუჩინიძის „პლატონში“ უცნობს თა-
მამობდა, მსახიობმა უცნობში დახატა ყველა
ქალაქისათვის დამახასიათებელი ტიპი, რომე-
ლიც არჩენილ ზის ყოველ ქმედესა თუ ქორ-
წილში ა. წიერეთლის „კინტოში“ აღმასხანის
როლს თამაშობდა. მისი აღმასხანი მოხერხებუ-
ლი და გონებაშახველი იმეატორი იყო, რომელ-
საც მუდამ სიცოცხლე და სიხარული უშეშოქონ-
და სცენაზე.

კ. სიმონოვის „მეოთხეში“ ი. ცანავამ დიკის
დასამახსოვრებელი სახე წარმოადგინა, ა. შერ-
ევაძის „სამიღერა შევარდენზე“-ში პიტელუ-
ლი არმის გაიძვერა შტერის როლი ითანაშა.
ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის — „მე ბე-
ბია, ილიცო და ილიაიონში“ ი. ცანავამ ზური-
კოს დასამახსოვრებელი სცენური სახე შექმნა.



ბავის დროზე ი. ცანავას ზურგიის დიდი ქება და მოწონება ხვდა წილად, როგორც პიესისა, ისე საზოგადოებაში. ლ. ზორინის „ფეხბურთელეში“ ამირან უკრებელიძის კვიკიანი, და მისაბაძი საბორტმენის სახე შექმნა.

დასამახსოვრებელი სცენური სახე იყო დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებაში“ ი. ცანავას ვიქტორი.

ფ. ხალვაშის „ვაზის ტირილში“ შესარულა პატიოსანი, მშრომელი და ერთგული მოხუცის მურად სირაძის როლი. ლ. მიტროფანოვის პიესაში „მგველელობა სადგურში“ თამაზ მაჩაბელს თამაშობს, რომელიც დიდი სახელმწიფო დამანაშავეა. მაჩაბელმა, იმ მიზნით, რომ თავისი დიდი დანაშაული დაეფარა და თავიც არ გამოემეცადებინა, წერილმანი დანაშაული ჩაიღინა და თავს აფარებს გამოსაწორებელ კოლონიას. აქ მას ენდობიან, სარგებლობს ავტორიტეტით, თვინიერია, მაგრამ როგორც კი გამოააშკარავენ, შეუპოვარი და დაუნდობელია. ასევე წარმატება ხვდა წილად მსახიობს სხვა როლების შესრულებისას.

შუქმღებელია დავითყვით ი. ცანავას მიერ შესრულებული „დონ სეზარ დე ბაზანში“ დონ ხოზე სან არე, ჩ. აიტმატოვის „ჩემი წიფელთავე-საფრანო ჩინარში“ ბაითემირი, ვ. როზოვის

„სიხარულის ძიებაში“ ნიკალაი, პ. ლორცხაშვილის „მეგველდში“ ბონდარენკო, შექსპირის „მეთორმეტე დამეში“ მალგოლია, გოგოლის „რევიზორში“ ლაპკინე-ტიაკინი, გ. ფანჯიყიძის „მეშვიდე ცაში“ ელიზბარი და სხვა მრავალი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ა. გეჟაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“.

პირველ პიესაში თამაშობს ჯონდო ქედიას, ხოლო მეორეში — დახუნდარას. ამ ორი სხვადასხვა ამპლუის როლს ისე ანსხვავებს ერთმანეთსაგან, რომ ძნელად თუ წარმოიდგენს მსაყურებელი რომ ეს ერთი და იგივე მსახიობია.

ასეთია მოკლედ ის 25 წელი, რომელიც ი. ცანავამ განვლო შრომასა და სიხარულში, დამატულ შემოქმედებით ძიებაში. იგი მუდამ მოწინავეთა რიგებში დგას. ამიტომაც მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება, დაჯილდოებულია საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის სიგელებით.

ი. ცანავა შემოქმედებით სიმწიფეშია, კიდევ ბევრ სიხარულს მოუტანს მსაყურებელს და ჩვენი ვუსურვებთ მსახიობს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

იოსებ ცხვირაშვილი

ნიკო კვლიშვილი

რასპუზაიკის სახალხო არტისტის იოსებ ცხვირაშვილს დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავი შეუსრულდა.

მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მსახიობის მოღვაწეობა ქართულ თეატრში. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უანგაროდ და გატაცებით ეწეოდა მსახიობის რთულსა და მძიმე კაპანს.

ი. ცხვირაშვილი დაიბადა 1910 წელს ხაშურის რაიონის სოფელ ჭალაში. მან აქვე გაატარა თავისი ბავშვობისა და ყრობის წლები. ჯერ კიდევ 15 წლისა იყო, როცა შრომის ფერხულში ჩაება. პირველად კერძო სახელოსნოში მუშაობდა, ხოლო შემდეგ ხაშურის პროფკავშირის ორგანიზაციაში, სადაც სამსახურთან ერთად ხაშურის სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში იღებდა მონაწილეობას.

იოსებ ცხვირაშვილს თეატრის განსაკუთრებული სიყვარული ჩაენერგა მამინ, როცა ხაშურში პირველად ნახა წარმოდგენა ქართული თეატრის კოორფეხის — ვასო აბაშიძისა და ნიკო გოციანიძის მონაწილეობით. სცენის დადი ოსტატების თამაშით მოხიბლულმა, გადაწყვიტა თავისი ბედი საბოლოოდ თეატრისათვის დაეკავშირებინა.

როგორც ცნობილია, ხაშურის სახალხო აე-ატრს დიდი ისტორია აქვს. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ხელოვანი, მათ შორის რესპუბლიკის სახალხო არტისტები — ი. ზარდალიშვილი, ი. მეტურიშვილი, დ. ძნელაძე, მ. დავითაშვილი და სხვები. თეატრალური ხელოვნებით ვატიცებული ი. ცხვირაშვილი ხარბად ისმენდა მათ საუბრებს ხელოვნებაზე და რჩევა-ღარაგებებს.

და აი ერთხელ რეჟისორმა სოსო მეტურიშვილმა ი. ცხვირაშვილს ი. ჭავჭავაძის „ბატონ და ყმაში“ მცირეწლოვანი თედოს როლის შესრულება დააკისრა. ახალგაზრდა დებიუტანტმა თედოს როლი შესანიშნავად შეასრულა. პირველ გამოსვლისთანავე მიიქცია მსაყურების ყურადღება. კმაყოფილი იყო თვით რეჟისორიც. ამის შემდეგ თეატრი ი. ცხვირაშვილისათვის მეორე ოჯახად გადაიქცა.

1932-33 წლების სეზონში ხაშურის თეატრის დასი ახალ შენობაში გადავიდა და მალე სახელმწიფო თეატრად გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ პირველი სეზონი ხაშურის ახლად გახსნილ სახელმწიფო თეატრში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებით დაიწყო, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით ქარ-



თული საბჭოთა თეატრის რეფორმატორი კ. მარჯანიშვილი.

სახელმწიფო თეატრის დასში, სადაც მოღვაწეობს.

ცხადია, მარჯანიშვილის გამოჩენას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ხაშურის მოსახლეობა და პირველყოფლისა, იქაურა მსახიობები, კ. მარჯანიშვილის განკარგულებით ხაშურის თეატრის მსახიობებს უფლება ეძლეოდათ უფასოდ დასწრებოდნენ მისი თეატრის საგატროლო სპექტაკლებს და ისინიც ხალხით სარგებლობდნენ ამ უფლებით. ი. ცხვირაშვილისთვის ეს იყო დიდი სკოლა. მას არ გამოუტოვებია არც ერთი სპექტაკლი, შედიოდა კულისებში, უყურებდა რეპერტოებს, უსმენდა საუბრებს, აკვირდებოდა მსახიობთა თამაშს.

ი. ცხვირაშვილს თავის სასცენო მოღვაწეობის მანძილზე შესრულებული აქვს 150-მდე დიდი და პატარა როლი. მათ შორის აღსანიშნავია: ბესო (აღ. სუმბათაშვილის „ოლატი“), ბეკინა (დ. კლიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალა“), ხუცია (ს. მთვარაძის „სურამის ციხე“), თორნიკე პაპა (მიხ. მრეველშვილის „ხარატიანთ კერა“), ვანო (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), ნიშომიოვი (გ. სუნდუკიანის „პეპო“), ავეტიქია (აღ. ცაგარელის „რაკ გინახავს, ვეღარ ნახავ“), ერეკლე მეფე (ვ. კანდელაკის „მთა წყნეთელი“), შმაგა (ა. ოსტროვკის „უღანაშულო დამანაშენი“), ანტონიო (ბოაჩიუსის „ფიგაროს ქორწინება“) და მრავალი სხვა.

სხვათაშორის ამ პერიოდში ხაშურის თეატრი ერთ-ერთ ძლიერ კოლექტივად ითვლებოდა. დასს ხელმძღვანელობდნენ რეჟისორი მიხ. ქორელი და გ. ფრონისპირელი. დასში ირიცხებოდნენ: ც. ამირჯები, გ. არაბიძე, შ. ხონელი, აღ. ოშიაძე, ვ. ჩხიკვაძე, ვ. ადამია, ნ. ზურაბულაშვილი, აგრეთვე თვით ადგილობრივი მსახიობები — მ. ნოზაძე, მ. კვალიაშვილი, თ. და ბ. ძიძიგურები, ა. ლაიძე, გ. ზუმაძე, კ. კალანდარიშვილი, კ. თევდორაშვილი, გ. მუხლაძე, ე. ნოზაძე, შ. ლელაშვილი, შ. ხერხეულიძე, შ. ქულაქიანი, ა. ავლანაშვილი, ა. მესხიძე, გ. ნოზაძე, გ. მშვენიერაძე, კ. ზამბახიძე, ერ. არაქლოვი, მ. ლომიძე და ი. ცხვირაშვილი.

საუგოვლო აღიარება ჰპოვა ი. ცხვირაშვილის მიერ შესრულებულმა დაქქოს სახემ კრ. პლიგვის პიესაში „ჩერმენი“, რომელსაც დიდა წარმატება ხვდა 1957 წელს თბილისში სამხრეთ ისეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში.

რაც დრო გადიოდა, ნიჟერი სცენისმოყვარე თანდათან ოსტატდებოდა და პირველად თუ მცირეწლოვან მოქმედ პირებს ან ეპიზოდურ როლებს ათამაშებდნენ, მერე თუკე პასუხაგებ როლებში გამოდის. იგი თავისი სადა და ოსტატური შესრულებით ხიბლავს მაყურებელს, ახარებს თავის პარტნიორებსა და მეგობრებს. ი. ცხვირაშვილის მიერ განსახიერებული სცენური სახეები ყოველთვის აღსაყვამა ღრმა აზრით, უდიდესი განცდით, ჭეშმარიტი შთაგონებით და დიდი სიმართლით. ხაშურის თეატრში მოღვაწეობდა დიდ სამამულო ომის დაწყებამდე.

ი. ცხვირაშვილმა შექმნა მოხუცი კულაკის, დესპოტისა და საგვარეულოს უფროსის დაქქოს მალაღმბატერული სახე, — წერდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ანჯაფარაძე გახუცო „რომუნისტი“, ასეთივე მალაღმბე მისცეს ი. ცხვირაშვილის შემოქმედებას ო. ევაქემ, ვ. კუპრაძემ, რეჟისორმა გ. დვინიაშვილმა და სხვებმა.

1941-45 წლებში ქართული თეატრის მრავალი მსახიობი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მათ შორის ერთი პირველთაგანი იყო ი. ცხვირაშვილიც, რომელიც ომის დაწყებამდევე ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, იგი იბრძოდა ლენინგრადის მისაღწეობათან, ვოლხოვის ტაყალებისა და უკრაინის ტრამპლებში.

ი. ცხვირაშვილისთვის არ არსებობს დიდი და პატარა როლი. იგი თანაბარი გულმოდგინებითა და მაღალი ოსტატობით ასრულებს ყოველ სცენურ პერსონაჟს, რომელსაც კი დააქირებენ. მისი დევიზია: ემსახუროს თეატრს, საბჭოთა მაყურებელს, სადაც უნდა იყოს — პერიფერიაში თუ ცენტრში, დიდ თუ პატარა თეატრში. ხალხის სამსახური მისთვის ღირსებას საქმეა.

სამამულო ომის ძღვენამოსილად დამთავრების შემდეგ ი. ცხვირაშვილი კვლავ უბრუნდება თავის საყვარელ თეატრს. იგი პირველად ისევ ხაშურის თეატრში იწყებს სამსახიობო მოღვაწეობას, ხოლო 1949-50 წლების სეზონში მიდის ახალციხის თეატრში. 1951 წელს კი გადადის ცხინვალში, კ. ხეთაგურაძის სახელობის

და აი, ხალხმა, მაყურებელმა ჯეროვნად დააფასა მისი ღვაწლი, სინაზულით აღნიშნა მზაი უნაღობი. 7 მაისს ცხინვალის სახელმწიფო თეატრში თავი მოიყარეს მსახიობის ნიჟის პატივისცემულმა, ცხინვალის მშრომელებმა, თბილისის, ვოროს, ახალციხის, ხაშურის და რესპუბლიკის სხვა რაიონების წარმომადგენლებმა, რათა აღნიშნათ მსახიობის დაბადების 60 წლისთავი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. იაკაშვილის შესავალი იტყვის შემდეგ ეთბოლისის ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ დამსწრეთ ესაუბრა თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძე, მიესალმნენ საქ. კულტურის სამინისტროს სახელით — გ. გოგოლაშვილი, კულტურის მუ-



შავთა პრეფეკტის რესპუბლიკური კომიტეტის სახელით — ნ. მესხი, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის კულტურის განყოფილების სახელით — ს. შველოხოვა, გ. ერისთავის სახ. გორის თეატრის სახელით — შ. ხერხეულიძე. ცხინვალის თეატრის ოსური კოლექტივის სახელით — თეატრის მთავარი რეჟისორი ვლ. კაი-

როვი და ნ. ჩოჩიევა, ქართული კოლექტივის სახელით — ი. შერეზადაშვილი, ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის სახელით — რ. ბაქრაძე, პედაგოგიკის სახელით — დოც. ნ. მესხროვაძე, ხაშურის რაიონის მშრომელთა სახელით — პ. დეკანოიძე და ი. ფთაძე.

თეატრისა და მხატვრული რეჟისორების საპატიო გეგმა

დრამატურგმა აკაკი გეგმაძემ დაწერა მოგონებების წიგნი — „ჩემი წუთი-სოფლის ავ-კარგი“. მწერლის დაბადების ორმოცდაათწლისთავთან დაკავშირებით ვბეჭდავთ ამ მოგონებების წიგნიდან ერთ თავს, რომელიც თეატრთან არის დაკავშირებული.

ახალგაზრდა კაცი ოცნებებით ცოცხლობს, ბერეკაცია — მოგონებებით.

აღამიანი თავის ორმოცდაათა წლის მთავრად რომ შეუდგამს ფეხს, შეუძლებელია, ერთხელ მაინც არ მიიხედოს უკან და თუნდაც კინოფირის სისწრაფით არ დაუტრიალდეს გონებაში წარსული დღეები, კვლავ არ გაახსენოს ის გზა-ბილიკები, რომლებიც ამ მთისკენ მოუძღვებოდნენ.

აი, სადაცაა ორმოცდაათჯერ ჩამორეკავს ჩემი წუთისოფლის საათი. ეს საათი, სიცოცხლის გაჩენის დღიდან ქვეყნიერებაზე მოსულ და წასულ აღამიანთა ყველა საათის მსგავსად, ოდნავ მეტად თუ ნაკლებად, ხან წარბშეკრული იყო, ხან მღიმარე... ზოგჯერ პირისახე რომ უღიმოდა, გული უტიროდა, პირმოქუფრული რომ იყურებოდა, გულში იღიმებოდა. ამ საათს ცხოვრების არცერთი ნიღაბი არ დაჰკლებია და ამ ნიღაბით ათამაშებდა იგი ჩემს ბედობლასაც... ამ თამაშით მომიყვანა აქამდე და, ალბათ, ჩემი წუთისოფლის დარჩენილ გზასაც ამ თამაშით გამატარებინებს, რამეთუ ასე გავარიგა ოდითგანვე განებამ თუ ბუნებამ აღამიანის მარადიული ყოფნა-არყოფნის დღემდე ამოუხსნელი ამოცანა.

ცხოვრება ყველაზე დიდი თეატრია, ყველაზე დიდი თამაშია და ჰყავს ორი მთავარი, უცვლელი გმირი: სიყვდილი და სიცოცხლე. აი, ეს ორი გმირი იკეთებს სხვადასხვა ნიღაბს და მათი თამაშით ერთობა ცა და მიწა... ეს ორი გმირი ოციანის და ტირის, მღერის და კენკის, მხარულობს და დარდობს. ამ ორი გმირის მოგონილია, რაც ქვეყნიერების ზურგზე თამაში უნახავს ვინმეს (და წარბობდგენთ ამ ქვეყნიერების მიღმაც). მსახიობებიც იმინი არიან, რეჟისორებიც. იმ დღიდან, რაც სამყაროს მოვე-

დინე, ამ ორ გმირს აბარია ჩემი ბედობლიც. მე თითქმის ყოველდღე ბეწვის ხილზე მივაბიჯებ და ჩემი მარჯვენა ხელი ერთს უტირავს, მარცხენა — მეორეს. საკმარისია, სიცოცხლემ ხელი გამიშვას და... ის მეორე ბეწვის ხიდიდან გადავადგდეს უპასრულო, უფერო და უდროკამო სამყაროში, სადაც აღარც სიცილ-ტირილია, აღარც სიბორო-სიცივე, აღარც სიყვარულ-სიძულელი, აღარც სინეღ-სინათლე...

ეს სხვათაშორის! ჩემი წუთისოფლის საათის ორმოცდაათჯერ ჩამორეკვის მოლოდინმა გააღვიძა ეს ფიქრი.

1940 წელს საშუალო სკოლა წარჩინებით დავამთავრე და თეატრალურ ინსტიტუტში შესვლა გადავწყვიტე. მითხრეს: ექ სტამენდიას არ იძლევიან, არც საერთო საცხოვრებელი აქვთო. ჩამოვყარე ყურები: მე თბილისში ბინა არ მქონდა და უსტიპენდიოდაც არ შემეძლო ცხოვრება. მივამუტე უნივერსიტეტს და იურიდიულ ფაკულტეტზე დავიწყე სწავლა. მაგრამ არტისტის ჭია გულიდან როდი ამომივდია, ისევ მიფუთფუთებდა სულში და როგორც კი გავიგე, უნივერსიტეტს თეატრალური დასი ჰყავსო, უშალვე მივაკითხე. მითხრეს: ამ დღეებში გამოცდები გვექნება და მოზრბანდიო. დასში მიღებას თუ გამოცდები სჭირდებოდა, ამას ჩემს სიცოცხლემ ვერ ვიფიქრებდი. ამან კიდევ უფრო დამაინტერესა.

მსახიობობის მსურველი ათიოდე ახალგაზრდა სტუდენტი შევიყირებეთ ერთ დიდ აუდიტორიაში, რომლის ფანჯრებიდან ჩინებულად ჩანდა თბილისი და გამაჯუთრებდა მტკვარი. აქ გავიცანი პეერ კობახიძე — უნივერსიტეტის დრამა მამინდელი ხელმძღვანელ-რეჟისორი. პიერმა ყველას სხვადასხვა თეატრალური ამოცა-



ნა მისცა და ლექსი წააკითხა. დადგა ჩემი ვა-
მოცდის კვირიც.

— აბა, წარმოიდგინე, რომ მოხვედა შინ
მთვრალი და დაწევი. საღვაც თავი ფხაჭუ-
ნობს და ძილს არ განებებს, განერვიულებს.
ბოლოსდაბოლოს, მოთინებდიდან გამოხვედი და
თავს ფეხსაცმელი ესროდი. დაფიქრდი, ყვე-
ლაფერი წინდაწინ აწონ-დაწონე და წარმომი-
გინე. აი, ეს მერხი იყოს ტახტი.

შემოვედი ბარბაცით, ვიბორაღე, დაწევი,
დავიწყე შფოთვა-წრიალი, მერე ვითომ სა-
წოლქვეყნიდან დათრეული ფეხსაცმელი ვესრო-
ლე თავს, წამოვედე და გამოცდელს მივა-
ჩერდი.

— ყველაფერი სწორად გაითამაშე, სიმთვრა-
ლევ, დაწოლაც, მოთინებდიდან გამოსვლაც,
ოღონდ... ერთი რამ გამოგრაჩა: ფეხსაცმლის
ვხდა დაგავიწყდა. ასე რომ, თავს საწოლქვე-
შიდან ვერაფერს ესროდი.

— მე ისეთი მთვრალი ვიყავი, ფეხსაცმელე-
ბის გახდა ნამდვილად დამავიწყდა, საერთოდ
გაუხდელი მივეგვლე ლოგონზე, მერე საწოლ-
ქვეშიდან ფლოსრდი დავიტარიე და ის ვისროლე.

— ჰოო, თუ ასე იყო, მაშინ სწორად მოქ-
ცეულხარ. — დამეთანხმა პიერი. — აბა ახლა
ლექსიც ჩამიხულებულე!

— წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ
გასართყებლად, აქ ვეძიებდი ნაცნობს ადვილს
განსასვენებლად... — ჩაეყვიო ლექსს, თან
უნებლიეთ ფანჯრისკენ მივიწვიდი და ხელს
წამდაღუწუმ იქით ვიშვერდი, საღვაც მტკვარი
ჩანდა.

— მოიცა, მოიცა, ყმაწვილო! შენ ახლა მართ-
ლა არ გადახტე ამ ფანჯრიდან და მტკვრისაკენ
არ გაუტოლო! წარმოიდგინე, რომ მტკვარი აქ-
ვეა, აი, ეს მერხებია მტკვარი! — პიერმა თეთ-
რი კბილები შემომანათა.

მაშინ უნივერსიტეტის დრამატული წრე „პა-
ტარა კახს“ დგამდა. ლევანს ჩვენებური დავით
კერესელიძე თამაშობდა (სტუდენტი-გეოლო-
გი), ბადალუს — იაკობ ტრიპოლსკი. მე მე-
თხზრების მასობრივ სცენაში უსიტყვო როლი
მთამაშეხ. ალბათ, უფრო გამოსაცდელად, თა-
ვი სცენაზე როგორ უჭირავსო. მაგარმ „პატარა
კახს“ არცერთი რეპერტუარი არ გამიცდენია
და მთელი ეს დრამატული შოგმა ზეპირად ვის-
წავლე.

მერე რეჟისორის თანაშემწემ ირაკლი უჯუ-
ლავამ მომიწყვა გამოცდა: აბა, სცენაზე შეშინე-
ბულმა გაიარ-გამოიარე, ვითომ რაღაც დანაშა-
ული გაქვს ჩადენილი, მიიპარება და ვილაც
მოგვეცსო.

წვეცუხტუხტი ქურდულად, ორიოდეჯერ მი-
ვიხედე დამფრთხალმა, ერთხელაც განგებ და-
ეხარე, ვითომ ძიქს რაღაცას ვეძებდი და ვა-

ლაჭული ღეგების მიღმა გავნდებ გზას
ხომ არაინ მომდევს-მეთქი.

— კარგია! „რღვევაში“ პატარა როლს ითამა-
შებ, მერე ვნახოთ!..

არც იმ პატარა როლის თამაში მეღირსა და
არც სხვა როლის აქ: მალე ოჯახური ხელმოკ-
ლეობის გამო უნივერსიტეტი მივატოვე და სო-
ფელში დავებრუნდი, კვლავ სცენის მოყვარეთა
დასია შეგკრიბე და 1941 წელში, ომის დაწყე-
ვამდე, თხუთმეტობედ წარმოდგენა ჩავატარე.
ბოლო დროს ჩვენი კლუბის ტყავში ვეღარ და-
ვეტრეთ და დავიწყეთ გასტროლები მხოზბელ
სოფელში: მუხლსა და სორში, ლიხნისა და
სადმელში. ერთხელაც სოფელ ბარში ავედი.

გასვლით წარმოდგენების დროს ღამეს
კლუბში ვათედლით, შიშველ სკამებზე. ზოგჯე-
რაც წარმოდგენის დამთავრებამდე ავლირებ-
დით თავს და ღამით შინ გბრუნდებოდით: ათ-
თორმეტ კილომეტრს კამათით გავცივლით
ხოლმე. ესეც თავისებურად საინტერესო იყო
ჩვენი ნებისყოფისა და გონების საწრთველად.
ამასთან დაეკავშირებოთ ერთი სტუდენტო-
ბისდროინდელი ამბავიც გამახსენდა.

ქერქინსკის კლუბში კომკავშირის ცეკვა რა-
ღაც ღონისძიების შემდეგ საღამო მოაწყო. მეც
მიმიწვიეს სცენიდან ლექსების წასაკითხად. (მა-
შინ საღამო ისე თითქმის არსად ტარდებოდა,
ორი-სამი პოეტი არ გამოეყვანათ სცენაზე).

მივედი და... უტებე საშინელი სიციხე მომცა,
ფეხზე ვეღარ ვდგებო. კონფერანსიე გუარამ სა-
ლარაძე იყო. ვუთხარა: ცუდად ვარ, სცენაზე
გასვლა არ შემძლია და პროგრამიდან ამოშშა-
ლე-მეთქი. მე მყუდრო კუთხე მოვქებე და სა-
ვარძელში ჩაეყვინე: ცოტა სულს მოვიტყვამ
და შინ როგორმე წავალ-მეთქი. არ ვიცი, გუ-
რამს დაავიწყდა ჩემი ნათქვამი თუ პროგრამაში
ჩახედვისას უნებლიედ წამოსცდა, სცენიდან
მომესმა მისი ხმა: ახალგაზრდა პოეტი აჯავი
გეწაბო! გაუსვლელობა არ ეგვების, რაც იქნე-
ბა, იქნება-მეთქი, სცენისკენ წავლასლასდი. რომ
გავედი, შემეშინდა, არ წავიქვე მეთქი და კე-
დელთან ავიტუხე. გაუბედავად დავიწყე ლექ-
სი, თანდათან ძალღონე მოვიკრიბე, გავთამაში
და... ოი, საკვირველებად, როს სიციხე, რა სიცი-
ხე, სცენიდან საღვალამათი გამოვედი, გამოვე-
დი კი არა, ჩიტვით გამოვფრინდი.

კაცოშვილი ვერ წარმოიდგენდა, რომ მე
ათობედ წუთის წინათ მისიყვდილებული ვიყა-
ვი სიციხით და ირგვლივ ყველაფერს ბურუსში
ვხედავდი.

მაშინ საბოლოოდ ვირწმუნე, რომ სცენას რა-
ღაც მაგური ძალა აქვს, იქ ძნელად ასახსნელი
ფსიქოლოგიური ამბები ტრიალებდა ხოლმე ამა
თუ იმ ადამიანის სხვაღქცვის წყალობით. ზე-
ლოვნების დალოცილი მუშა, ეტყობა, ადამი-



ანს ფიზიკურ და სულიერ ძალებს მატებს, უხილავ ფრთებს ასხამს და სწორად შეუძლებელსაც აკეთებინებს. ასე რომ არ იყოს, მალე დაიღლებოდა ხელოვნების მუხის მსახური ყველა ადამიანი.

1941 წლის შემოდგომაზე მ. ლერმონტოვის „ბელას“ მოტივებზე დაწერე პეისა „აბრაგის ცენია“ და დავდი კიდეც. მალე ომში წავედი და ფრონტზე მომივიდა ამბავი: შენი „აბრაგის ცენია“ ევგენი ლაიშვილმა კვლავ აღადგინა და „ბელას“ სახელწოდებით ამბროლაურის რაიონულ კლუბში რამდენჯერმე წარმოადგინა და შემოსავალი მთლიანად ფრონტის დამხმარე ფონდში გადაიტყესო. ასე რომ, ფრონტზე მყოფი ჯარისკაცი ჩემს თავს ზურგდანაც ვეხმარებოდი. მე, ჯარჯრობით მწერლობისათვის თითქმის სრულიად უცნობი ბები (მამის ცხრამეტი წლისა ვიყავი მხოლოდ) და უკვდავი რუსი მწერალი ლერმონტოვი ერთად ვმონაწილეობდით სამამულო ომში. ასე არღვევს დროყმის კვირებს ხელოვნების მუხა!

ომის გახსენებამ ერთი სხვა ამბავიც მომიგონა.

1942 წლის სექტემბერია. ჩვენი დივიზიონი სტალინგრადში იბრძვის...

მალე ჩვენი პოლკი ყალმუხეთის ტრაპალებზე გადასროლეს. ჩვენი დივიზიონის „ქატოშები-სათვის“ საფარება სოფელ დერბენდ ხელუკაში გავთხარეთ.

ხუთ ნოემბერს გამოვიცხადეს: ხვალ წინასამხედრომებრო საღამო უნდა ჩავატაროთ და ქართვლებმა უნდა იმღერონ და იცეკვოთ. დივიზიონში სულ ოთხი ქართველი ვიყავით: ქიშვარდი კობახიძე, ამბროსი გოგობერიშვილი, ლევან მახათაძე და მე. მეთაურის სიტყვა კანონია. რა მტეი გზა ვეჭინდა, დავთანხმდით. მტერე მე იმ საღამოსთვის სახელდახელოდ ერთ-მომეღებდებანი შევაცოდელოდ რუსულად „ფრაციუს ბედი“ და ფრაციუს როლის თამაში მევე ვიყისრე, ჩემი დამტერული რუსული დიხაზე შედგამოტერლი იყო ვითომ ახლახნად რუსულით მოსახებრე ფრაციუსათვის. პეისა არ შემეჩინახეს, მარტოოდენ მოგონება შემომიბრა. ფეფრინაჲ ვარისკაცი ვერმინაჲ გასაგზავნად აგროვებდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა ვარგისი თუ უვარგისი. საბჭოთა პარტიზანი, რომელსაც ჩვენი ოცქეთაურის თანაშემწე მტერზინი ანსახიერებდა, ხარბ ქურდაცაცა წაღებოდა უთვალთვალებდა და ბოლოს იჭერდა. წარმოდგენი დაწყებდა ვეხლავებ დავიარე ყალმუხთა ეზოები და ერთ ტომარაში ჩავუძახე ყველაფერი, რაც გადაყრილა ნივთი შემხვდა — ჯღანებო, კინკებო, გაქუცული ტყაპუცებო, ქუსლაგამოხეული წინდებო. ორიოდ ფილა წივაც კი ჩავდ (იქ შემად მხოლოდ წი-

ვას ხმარობდენ). მერე მეც ძეგლმანებო ჩავიციე და ქუდი უცნაურად ჩამოვიფხატე. კიდე ტომარა და ჩემი ავლადიდებით გამოცხადდი მასურებლის წინაშე. ვებრდღუნებდი დამტერული რუსულით რაღაც რალაცეებს და თან მაყურებელს ვუჩვენებდი, რა სასოებთი ელოდებოდა ეს ჩამობრძანებული ფრაციუსი ყოველგვარ ხარახურას, რა მოწიწებით იხუტებდა გულში და ფრახილად ალაგებდა ამანათის ყუთში. ჯარისკაცებს სიცილი ენატრებოდათ და უბრალო რამეზეც კი იცინოდენ, ზოგ მოულოდლო წიქვილივითაც რობრობდა. სხვათაშორის, ყალმუხებს საღამოზე ბავშვებიც წამოეყვანათ. ყვირალმაღალმა და ვიწროთვალეზინმა ბავშვებმა ერთხანს გამტერებით მიყუცეს: ეს ცხერისტყაპუცმოხურული, ჩამობრძინებული და დავლანული კაცი აქ საიდან ვანდაო, ბოლოს შინით თვალბო გაუფართოვდათ, ერთი აღრიალდა და აპყენენ სხვებიც. მათმა ტირილმა კიდე უფრო აახარხარა სიცილს მოწყურებულთა ჯარისკაცები. ჩემმა მოთვალთვალემ, პარტიზანის როლის შემსრულებელმა უფრისმა სერჟანტმა მტერზინმა, ეტყობა, იფიქრა, ამ შეჩვენებულმა ჯოჯოხეთის მამსალამ ბავშვები არ გადარიოსო, აეტომატომარჯვებული უფრო აღრე გადმოიხტა წინ და აქოდა, იქნებ ბავშვების დრალიად დავფაროა, მთელი ხნით დასქეპა: „ფრაცი, პენდე ზოხ, ფრაცი, პენდე ზოხ! სღავაისია!“ და გამაინტრიშა ხელუბაწეული მერე ოთახში, რომელიც კულისებად ავირჩიეთ.

ბავშვებს ეს ძალიან გავხარდათ, ბუა მოგვაშორეს, და უმაღლე გამოიდარეს.

მერე ქართველებმა ცეკვა გაეჩაღეთ. ჩვენ ვმღეროდით, ჩვენ ვცქრავდით ტაშს და ჩვენვე ცეკვავდით. უფრო სწორად, ჯარისკაცები „ასას“ მოგვძახოდენ და ჩვენ ვტლინჯაობდით, რადგან რივისანი ცეკვა არცერთმა არ ვიცოდით.

...ომში ყოფნისას რამდენჯერ მიფიქრია: შინ დაბრუნება თუ მეღრისა, კვლავ შევტრებ სცენისმოყვარეთა დასს და ჩემი წარმოდგენებით ქვეყანას მოვიცილი-მეთქი. ტყვის საბინოცლე ბუღ-კოლოფი გერმანული ჩინ-მედლებით გავტუნე სცენაზე გამოვიყენებ-მეთქი. ის კოლოფი მართლაც ჩამომყვა შინ, მაგრამ მაშინდელი გულბრყვილო ოცნება ოცნებად დარჩა, ცხოვრებამ სულ სხვა გზით სიარული მომთხოვა და ფრონტული ნადვლი გერმანული ჩინ-მედლები უსაქმურობით დამეყანგა. მერე იმ ჩინ-მედლებით ერთხანს ჩემი ბავშვები თამაშობდენ. როცა გაავეს, მამას ეს ყველაფერი ფრონტიდან ჩამოტანაო, გაცივრებთ შემომხედეს, რად ვინდოდაო?! ეს მართლაც ძნელი გასაგები იყო მათთვის. ახლა მეც კი მეცივინება ხოლმე იმ ჩინ-მედლებს რომ ვივინებ.



გზ, ნეტავი კი დადგეს ისეთი დრო, რომ ომის ყველა ჩინ-მედალი მარტოოდენ თეატრის რეკონსტრუქციას და ბუტაფორიად ვეკონსტრუქციას, ხოლო ომის ყველა იარაღი მარტოოდენ უბრალო სათამაშოდ გადასდეს შემორჩენს მთელ მსოფლიოს!

ომის დროს ვრცელი ნაწარმოებების დასაწერად ჯარისკაცს სად სცალია, ფორმებიდან საქართველოში ლექსებს ვგზავნიდა და უმრავლესობა იბეჭდებოდა კიდევ. ომის შემდეგ დრამატურების ქაბამ კვლავ გაიღვიძა გულში. ისევ ჯარში ვახლით, როცა „პრადლში“ წავიციოთ მთელი ინფორმაცია: ომის მიწურულში ტექსტულ ქართული ბატალიონი აჯანყდა. ზემდევის საეკუპანოში გამოცეხვე პიესა „სიკვდილის კუნძული“. ეს პიესაც მხოლოდ არქივისთვის შემორჩა.

შემდეგ ჯარიდან დავბრუნდი, უნივერსიტეტის კართი შევაღე, გამოაქვეყნე ლექსების კრებული და როცა სტუდენტობას მოვრჩი, კვლავ დავიწყე ფიქრი პიესაზე. ამჟამად სერიოზულად, რადგან მწერლური გამოცდილება უკვე მქონდა. თეატრსაც, ასე თუ ისე, უკეთ ვიცნობდი.

1954 წელს ამბროლაურის თეატრში მივდივარ რეჟისორ გიგა ჯაფარიძესთან გასაუბრებისას დამეხდა აზრი, როგორც რაქის ერისთავის და იმერტა მეფის სოლომონ პირველის მწვევე ურთიერთობაზე დამეწერა დრამა. დასრულებითანვე ეს პიესა („სისხლის ცრემლები“) გიგა ჯაფარიძეს გადავიცი, რეჟისორმა კარგა ხანს იმუშავა და 1957 წლის მაისის მიწურულში იგი ამბროლაურში რამდენჯერმე წარმოადგინეს. „სისხლის ცრემლებზე“ დასასრულებლად რაქის მთიანი სოფლებიდანაც კი ჩამოდიოდნენ კოლეგურად. წარმატებამ დრამატული დასი გაათამაშა: ქუთაისელებსაც ვაჩვენოთ. თანხმობა მიიღეს.

და, აი, სავსატროლო წარმოდგენის პირველ დღეს მოუთმენელი მღელვარებით ველოდებით ყველანი. შეუადრდა და სდრულს საღარო. მხოლოდ ცამეტი ბილეთია გაყიდული, ისიც შინაურებმა წაიღეს ნათესავ-მოყვრებისთვის.

— ვაი!

წარმოდგენა ფილარმონიის თეატრშია დანიშნული, ერთი კი არა, სამი. თეატრთან სამი აფიშა გაკრულა, მაგრამ ვინ უყურებს, ყველა მგზავრი გულგრილად მიიპიჯება, თეატრისკენ ყასიდადაც არ იხედება. არავის აინტერესებს, დღეს აქ რა წარმოდგენაა ან ვინ თამაშობს.

აი, ვიღაც ახლოს მივიდა აფიშასთან, თითქმის აეკრა ზედ, ცას ვეწიეთ სიხარულით: პირველი მხარეცალო მოფრინდ-მოტიკტილა-მითქო! სამივე აფიშას ხელი მოუფათურა, თითქმის მოეაღწიათ, ვამორდა და... რას ხედავს ჩვენი თვალები: მსხვილი წითელი ასობით დაბეჭდილი „სისხლის ცრემლები“ ნახშირისფერი ფანქ-

რით გადახზავს და იქვე გარკვევით მიუწერია: „სისხლიანი ცრემლები“ ისეც ჩვენს გზაზე ხელის მომყვანი პირველი მხარეცალო! კუქას გვასწავლის: ასე უნდა ეწეროს, ნუთუ ამდენი ქართულიც არ იცით, თქვე პრინციპებზე, რომ პიესის სათაური მაინც დაწერეთ გამატიკულად სწორად! თავისი ქუთით გავაშაყარა და არხინად ვანგრძობ გზა, მასხარად აგვივლო და ერთიც არ მოგვხდა, მაგრამ რა გამოვიდა ბოლოს? მხოლოდ ერთი: თვითონ ჩაგდო თავი სასაცილო მდგომარეობაში, თავისი უეცრობა გამოამყვანა მხოლოდ, ერთი ხელის მოსმით დაგვიბეჭდა, იმ ქუთამყვანს აჯავი წერეთლის „განთიადიც კი რომ არ წაუჯიხებხვ, სადაც შავით თეთრზე სწერია: „ვერ ავიტანე ობლობა, სისხლის ცრემლები ვღვარეო“.

დაბოლოდ ბიჭები. იმ უცნობის ხეპრული საექიელი მეც ძალიან მიწყინა, მით უმეტეს, რომ პასუხის ვაცემა არ შეგვიძლო.

ცამეტბილეთაყიდულ გასტროლორებს კიდევ ამ ცეცხლის გულზე შემონთება გვეჭირებოდა!

უცნობი დრამატურები, უცნობი რეჟისორი, პერფორმირის თვითმოქმედი დრამატული წრე ამ ძველ თეატრალურ ქუთაისს, ეტყობა, არ აინტერესებს ან სასაცილოდაც არ ჰყოფნის. ჩამოყვარეთ ყურები გულმომხამულბში.

ეს სულელმეჭვენავი დუმილი გაგრძელა საღამოს ზედიზე საათამდე და უკვებ ხალხის ნიადვარი დაიძრა საღაროსკენ. რვა საათამდე ბილეთის ყიდვა ყველას არ უხერხდება და ყვირიან: გადაციეთ რაზეველებს, წარმოდგენას ჯერ ნუ დაიწყებენ!

თქვენმა მონა-მორჩილმა ახალბედა დრამატურგმა იმ წარმოდგენაზე არა თუ დასაჯლომი, ფეხზე დასადგომი ადგილიც ვერ იშოვა.

შეუძებელია, ასეთი ბედნიერი წუთები დაავიწყდეს რომელიმე ავტორს. მით უმეტეს, იმ გულისმომკვეული დუმილის და აბუჩად ადგების შემდეგ.

ქუთაისია ფილარმონიის თეატრში სამეჭრევე ვაჭედა დარბაზი. დასი აღფრთოვანებული დამბრუნდა ამბროლაურში, ქუთაისმა კი იმ დღესვე ხალხურად მოთხოვნა: დაგვღეთ პატივი და „სისხლის ცრემლები“ ერთხელად წარმოავადგინეთო. ამბროლაურელებმა მეოთხე სექტაკლი უკვე ლ. მესხიშვილის დიდ თეატრში წარმოადგინეს ასევე მაყურებლთი ვაჭედილ დარბაზში.

პირველმევე გასტროლმა ფრთები შეასხა დასს. 1957 წლი შემოვლომის მიწურულში ამბროლაურელები თბილისსაც ეწვივნენ და რკინიგზულთა კულტურის სახლში სამი წარმოდგენის გამართვა ივარაუდეს. პირველ წარმოდგენაზე 13 ბილეთი დარჩა გაუყიდავი, მეორეზე უკლებლად გაიყიდა, მესამე წარმოდგენაზე კი...



დაწყების წინ ზღვა ხალხი იდგა უბილეთოდ დარჩენილი. კარისკაცები ხელნართული იბრძოდნენ. ყველა ცდილობდა, როგორმე შესულიყო. ხალხის დიდი ტალღა აგორდა, მიაწეო კარს და ორსამდე კაცი უბილეთოდ შეიჭრა წარმოდგენაზე. მათი უკან გამოყვანა შეუძლებელი გახდა.

თბილისშიც გამეორდა ქუთაისური ტრიუმფი: ამბროლაურის თეატრი კვლავ ჩამოიყვანეს დედაქალაქში და ამქამდე „სისხლის ცრემლები“ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში წარმოადგინეს. ხალხს ეს წარმოდგენა აბ ეყო, მოთხოვნის გაიმეორებოდა, მაგრამ ბუფონი მონაწილე ან მასწავლებელი იყო ან მოწაფე, ზამთ-

რის გამოცდები ახლოვდებოდა და... მაყურებლის თხოვნა ვეღარ დააკმაყოფილებს.

ასე იყო თუ ისე, მე „სისხლის ცრემლებით“ მოკინათლო ახალგაზრდა დრამატურგად. ასეთი იყო თეატრისკენ მიმავალი ჩემი ბილიკები, მერე დაიწყო გზა, ძნელი გზა. დიახ, ნამდვილად ძნელი და რთულია თეატრისკენ მიმავალი გზა, მაგრამ სწორად რთულ და ძნელ გზაზე სიარულია საინტერესო. მეც ამ საინტერესო გზას მიეყვები. შეიდი პიესა დაეწერე და შევიდოდე ვთარგმნე: ყველა დაიდგა... თვითუფს ეს ბედი ეწია, საზოგადოებისათვის ცნობილია და რაც ცნობილია, იმაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ.

საშურის სახალხო თეატრი ვანო მხაფიშვილი

ნათქვამი მუშაობას ეწევა საშურის სახალხო თეატრის კოლექტივი, რომელიც მოთავსებულია კულტურის სახლის ნათელ დარბაზში. სახალხო თეატრს აქვს რევოლუციური ტრადიციები, მან ვრცელი და რთული გზა გაიარა. ახლა იგი არსებობის 97 წელს ითვლის. საშურის სახალხო თეატრის კოლექტივი განსაკუთრებით ფართო შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა ჩვენს დროში. იგი დამსახურებული სიყვარულით სარგებლობს მაყურებელთა შორის. ამაზე მეტყველებს მისი მდიდარი დრამატული რეპერტუარი. მარტო ბოლო წლებში სახალხო თეატრმა განახორციელა მრავალი საინტერესო დადგმა, მათ შორის პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, „დავით მერვე“, ა. დევიძის „ნატერფალი“, ქ. ცინცაძის „მზექალა“. პ. გრუზინსკის „სასველი შიშით“, გ. სტეფანესკის „ჯადო“, პ. კაკაბაძის „დავით მერვე“, ვ. კახნიანიშვილის „ჰიქიკო და ბიქიკო“, გ. ნახუცრიანიშვილის „შაითან ხიხო“ და მრავალი სხვა. ეს დადგმები განახორციელეს რეჟისორებმა ვ. კაკაბაძემ, ი. ნადარეიშვილმა, კ. გოგოლიძემ, ი. ბარბაქაძემ, გ. ხარატიშვილმა და სხვ. მხატვრულად გააფორმეს ა. ოსიტაშვილმა და რ. თიბილაშვილმა, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით მ. სეხუას, ს. ლაზარიშვილს და რ. ინსარაძეს. როლებს ასრულებდნენ სცენისმოყვარეები: ელმავალის მემანქანე შ. მანჯავიძე, ექიმი ბ. თურმანიძე, მასწავლებელი ო. ძიძგორი, ხარატი შ. შათირიშვილი, ინჟინერი ი. ბარბაქაძე, დიასახლისები შ. ლომიძე, მ. გოგობერიძე, კულტურის სახლის მუშაკები გ. მაისურაძე, ა. ჭყოიძე და სხვები.

სახალხო თეატრმა თენგიზ ინსარაძის ხელმძღვანელობით განახორციელა გ. ქელბაქიანის

„ახალგაზრდა მასწავლებელი“. ი. ვაკელის „აბრაყუნე ჭიმიკი“, პარნისის „ფორდიტის კუნძული“, გ. ივანიშვილის „ქორწილი წყნეთში“, ა. სუმბათაშვილის „ფლანტი“ და სხვა.

სხვადასხვა დროს საშურის სახალხო თეატრმა განახორციელა: „ამ დროის გმირები“, „ამბოკარი“, „რღვევა“, „ანზორი“. „მათრახის პანაშვილი“, „ქიტო“, სტუმარ-მასპინძლობა“, „არსენა“, „როგორ“, „კაკალ გულში“, „ციმბირილი“, „მიაა წყნეთი“, „რობინ პუდი“, „ბატარა კახი“, „არშინ მალ-ალან“ და სხვა პიესები.

1876 წლის გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა, რომ აგვისტოში დაბა საშურში გამართულ პირველი წარმოდგენა. სცენის მოყვარეებს დაუღამებო ზურაბ ანტონოვის პიესა „ქმარი ხუთი ცოლისა“. წარმოდგენის შემოსავალი მოუხმარებიათ დაბის გადამწვარი უბნის მცხოვრებთათვის. ეს იყო პირველი სახალხო თეატრი საქართველოში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუშაობეტი სტეფანე ნოზაძე. თეატრის დასში მონაწილეობდნენ ა. გოქაძე, გ. გელიკურაშვილი, მ. კვალაშვილი, ნ. თევდორაშვილი, ივ. ჯოჯიშვილი, ლ. თურმანიძე, ვ. მურმანიშვილი და სხვა.

საშურის სახალხო თეატრის კოლექტივი ამჟამად ვაცხოველებით ემზადება სახალხო თეატრის დაარსების 100 წლისთვის იუბილეს აღსანიშნავად, სადაც აღიზარდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ალუ ომიამე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მერი დავითაშვილი, იოსებ ცხვირაშვილი, აქ დაეუფლენ მსახიობის რთულ, საპატიო პროფესიას: ნინო ხოზბერგელი, მარო ნოზაძე, გოგია ქუშმაძე, თენგიზ ინსარაძე, ყენია ბარბაქაძე, ერვანდ არაქელოვი, ლიდა ფერაძე, თამარ ტატიშვილი, გოგი ომიამე და სხვები.



„ქართული სათეატრო კრიტიკა“

სამართველოს თეატრალური საზოგადოების შექვეითთ გამომცემლობა „ხელოვნება“ გამოსცა ნ. ურუშაძის ნაშრომი „ქართული სათეატრო კრიტიკა“, ნაწილი პირველი, რომელშიაც განხილულია სასცენო ხელოვნებასთან დაკავშირებული კრიტიკური აზროვნება XIX საუკ. პირველი ნახევრის საქართველოში (1801-1860 წ.).

ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან. პირველი თავია „სათეატრო კრიტიკის რაობა“. ამ თავში ავტორი ცდილობს განსაზღვროს თეატრმცოდნეობის აერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის — სათეატრო კრიტიკის არსი.“ იგი არკვევს, თუ რას უნდა ისახავდეს მიზნად კრიტიკა, რას უნარს უნდა ამჟღავნებდეს კრიტიკოსი, რა თვისებები უნდა გააჩნდეს მას. აგრეთვე არკვევს კრიტიკისა და მისი აღრესათის ურთიერთმიმართებას. გამოჰყოფს კრიტიკის სხვადასხვა სახეობებს. ავტორს თანდათან, ლოგიკურად მივყევართ, თითოეულ წამოჭრილ საკითხზე მისეულ დასკვნებთან, პარალელურად იშველიებს გამოჩენილი მოაზროვნებისა და კრიტიკოსების მოსაზრებებს. შემდეგ განიხილავს თეატრალური ხელოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე თეატრალური კრიტიკის ნიშანდობლივ თვისებებს.

მეორე თავი „ქართული სათეატრო კრიტიკის სათავეებთან“ გვიხატავს იმ ისტორიულ-კულტურულ ვარემოს, რომლის წიადშიაც აღმოცენდა XIX საუკუნის კრიტიკული აზროვნება სასცენო ხელოვნების შესახებ. ამ თავში აღწერილია ძველი თბილისი თავისი ქუჩებითა და მოედნებით. ბაზრით, შენობებით, ტრანსპორტით; ქალაქის მკვიდრნი თავისი ჩაცმულობითა და ვარცხნილობით, სხვადასხვა გასართობები, აბანო, მკვლისები, ცეკვები და ბოლოს ხელოვნებაზე ს. ლღაშვილის, იოანე ბატონიშვილის, თეიმურაზ და ოქრობერი ბაგრატიონების, გრ. ორბელიანის შეხედულებები, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა ქართული პროფესიული თეატრი და ქართული სათეატრო კრიტიკა.

წიგნის მომდევნო, მესამე თავი გიორგი ერისთავის თეატრს შეეხება. შესავალ ნაწილში საუბარია იმ ოჯახურ სალონებზე, ლიტერატურულ საღამოებზე, საშინაო წარმოდგენებზე, რომლებიც წინ უძღოდა პროფესიული თეატრის შექმნას. ავტორი გვაცნობს გ. ერისთავის მოღვაწეობას თეატრის შექმნაზე. გვაცნობს მას როგორც რეჟისორს, პედაგოგ-აღმწოდელს, დრამატურგს, განიხილავს გ. ერისთავის დრამატურგიის პრობლემატიკას, ენას, პიესა „გაყარას“. გვაცნობს თუ რა პირობებში უხდებოდა გ. ერისთავის თეატრის შექმნა და როგორი წინააღმდე-

გობები ვადალახა. გვაწვდის ცნობებს გ. ერისთავის თეატრის მსახიობებზე, მათს საქმიანობაზე.

მეოთხე თავში — „სათეატრო კრიტიკა“ ნ. ურუშაძე გვაცნობს იმდროინდელი თეატრალური კრიტიკის კონკრეტულ ნიმუშებს, რომლებსაც ორ ჯგუფად ჰყოფს: 1. „სათეატრო კრიტიკა, რომელიც საჯარო განხილვის მიზნით იბეჭდებოდა პრესაში და 2. გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი მასალა, რომელშიც მოაბოვებოდა საგულისხმო შეხედულებები სათეატრო კრიტიკის შესახებ“. აქ გვაცნობთ გ. ერისთავის თეატრის მსახიობისა და დრამატურგის გ. ღვანაძის შეხედულებას კრიტიკის შესახებ. ვ. წიანაძის მძღვარიშვილის მრავალმხრივ საინტერესო ნარკვევას და დამატებას, რომელიც დართული აქვს მისსავე თარგმანს პიესის შემდეგ ნ. ურუშაძე მიჰყვება პერიოდული პრესის თანმიმდევრობას. მკითხველი თანდათან ერკვევა თუ რა სახის წერილები იბეჭდებოდა მაშინ თეატრზე, რა აზრები იყო მათში გატარებული. აღსანიშნავია, რომ წერილები გამოირჩევა ჟანრობრივი მრავალუეროვნებით. ამ მასალებიდან გვებულობთ თუ სად რა დაიდგა, როდის, ვისი შესრულებით. ვარადა ამისა, ვეცნობთ მყუფრებულთა დონეს, მათ ინტერესებს. თეატრის რეპერტუარს, სპექტაკლის მხატვრულ ხარისხს. მსახიობთა საშემსრულებლო დონეს, სპექტაკლების მხატვრულ ვაფორმებას და სხვა. ავტორს აგრეთვე დადგენილი აქვს, თუ რა თეატრალურ ტერმინებს იყენებდა იმ დროის თეატრალური კრიტიკა.

ბოლო თავში — „მიხეილ ბართველის ძე თუმანიშვილი“ — ნ. ურუშაძე გამოჰყოფს „ქართული სასცენო ხელოვნების პირველ კრიტიკოსსა და შემატანს“ — მიხეილ თუმანიშვილს, რადგან ავტორის აზრით იგი „ერთიანებს განხილული პერიოდის ქართული სათეატრო კრიტიკის ყველა თვისებას“. ავტორი გვაცნობს მ. თუმანიშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მოყვანილი აქვს მისი ძალზე საინტერესო წერილები, აზრები თეატრის შესახებ.

ამგვარად, ნ. ურუშაძის წიგნი „ქართული სათეატრო კრიტიკა“ გვაწვდის მრავალ მნიშვნელოვან მასალას და საინტერესო ცნობებს. XIX საუკ. პირველი ნახევრის სათეატრო კრიტიკის, მისი განვითარების შესახებ.

წიგნს ამჟღავნებს საქ. სსრ სახ. მხატვრის ე. ახვლედიანის მიერ შესრულებული ვარეკანი. წიგნს ერთვის უხვი ილუსტრაციები. იგი შეიცავს 2. 58 გვ., ტირაჟია 2000. ფასი 1 მან. 97 კაპ.

იანაზე გვათუა

СО Д Е Р Ж А Н И Е

| | |
|--|---|
| Главная забота — современность | 3 |
|--|---|

У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ

| | |
|---|----|
| Вано Шилакадзе — Вскользь о Сухумском театре | 9 |
| Этер Каджая — За высокохудожественный уровень репертуара | 11 |
| Важа Дзигуа — «Обвинительное заключение» в Руставском театре | 13 |
| Иа Абуладзе-Нуцубидзе — «Трибунал» в Телавском театре | 16 |
| В Театральном обществе Грузии (информация) | 17 |
| Вахтанг Касрадзе — Детские театральные зрелища в Цхинвали | 18 |
| Шота Ревишвили — Немецкая драматургия на грузинской сцене | 21 |
| Рафаэль Шамелашвили — О голосе диктора | 25 |
| Выездное заседание президиума Театрального Общества Грузии в Цхинвали | 28 |
| Симон Нацишвили — Выставка посвящена Кубе | 29 |
| Новое общежитие студентов | 30 |
| Додо Боджгуа — Воспоминания об Александре Сумбаташвили-Южине | 31 |
| Кукури Гогиашвили — Всегда к солнцу! (стихотворение) | 32 |

ПРОЩАНИЕ

| | |
|---|----|
| Носиф Мегрелидзе — Ученый—рачитель театра | 33 |
|---|----|

ВСПОМНИМ ЗАСЛУЖЕННЫХ

| | |
|--|----|
| Тамаз Антадзе — Коста Майсурадзе — деятель искусства | 35 |
|--|----|

НАШИ ЮБИЛЯРЫ

| | |
|---|----|
| Мераб Хиникадзе — Юрий Цанавა | 37 |
| Нико Кевлишвили — Иосиф Цхвирашвили | 39 |
| Акакий Гецадзе — Тропы, ведущие в театр | 41 |

КНИЖНАЯ ПОЛКА

| | |
|---|----|
| Вано Мчедlishvili — Хашурский народный театр | 45 |
| Иамзе Гватуа — «Грузинская театральная критика» | 46 |

ВЕСТНИК
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)
Тбилиси — 1973
№ 4 (74)

ლასი 25 კობ.
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 7/VIII-73 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/IX-73 წ.

შეკვეთა 2553

უე-11775

ტირ. 1.000

საქართველოს თეატრალური საზ-პის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии, ул. Горького № 3